ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს №39 (1669) 2–4 ივნისი, 1998წ. ● ფასი 50 თეთრი

## «ვისიც მრავალთ ეშინიათ, მას მრავალთა უნდა ეშინოდეს»

### საქართველოს მასშტაბისთვის დიდი თანხების წართმევითა და თავისი გუნდისათვის გადანაწილებით შევარდნაძემ ბევრი მტერი შეიძინა



მე-4 გვერდი

### ნავთობმაგისტრალი რომ ამუშავდება, სამოთხეში ვიცხოვრებთო... იქნება კი იქ ჩვენი ადგილი?..



მე-9 გვერდი



### იქნებ ლტოლვილების ახალი ნაკადი შემოსავლის ახალი წყაროა?

მე-2 გვერდი

### შევარდნაძის და არძინბას რეჟიმები ერთი მთლიანის ორი სხვადასხვა მხარეა

მე-9 გვერდი



### აფხაზებზე და აფხაზეთზე სინამდვილე უნდა ვწეროთ



მე-2 გვერდი

### პრეზიდენტებიც ადამიანები არიან... ისინიც ავადმყოფობენ



მე-9 გვერდი

# იქნებ, ლტოლვილების ახალი ნაკადი შემოსავლის ახალი წყაროა ვინმესთვის?

დიდი წინასწარმეტყველის მსგავსად ალთქმულ მიწაზე შესვლას ჰპირდებოდა პრეზიდენტი ქართველებს... არა შეჯდა მწყერი ხესაო... როგორ შევადაროთ მოსეს შევარდნაძე...

ვერც გეტყვით, ვინ იხსენიებს მას (როგორც დაჰპირდნენ) წმინდანთა გვერდით ათონში, მაგრამ ის, რომ წყევლა-კრულვიან საკითხავს მეორე კვირაა ლტოლვილები და მთელი საქართველო უგზავნის მას, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს...

საპნის ბუშტივით გასკდა დაპირება... „ცოტაც და...“ „ცოტაც და...“ ცოტა-ცოტაში შემოგვაფცქვნეს ხელში საქართველოც. ითმინეს, ითმინეს და აღშფოთებულებ-განრისხებულები რედაქციაში მოიჭრნენ წინა პარლამენტის დეპუტატები.

ასე გავიცანით ქალბატონი **ლედი თირქია** და ბატონი **გივი იორამაშვილი.**

აფხაზეთის ტკივილი აკვნესებდათ ჩვენს რესპონდენტებს... აფხაზეთისა თუ სამეგრელოსი?! „რაც გინდათ უწოდეთ, გინდ ეს, გინდ ის, ოღონდაც გვითხარით, რა ხდებაო ასე საშინელი იქ...“ სანუგეშოს ვერაფერს გეტყვით-თქო, — „დავაწყნარეთ“...

მაშინ ჩვენ გეტყვითო, — თქვეს და დაიწყო ცოდვის ტირილიც...

— შევარდნაძის საშინაო და საგარეო პოლიტიკა ბუნდოვანია... ამ „დიდ“ პოლიტიკას და „დიდ“ ნავთობს ეწირება პატარა საქართველო და ჩვენი ხალხი...

— საქართველო აღარ არის სახელმწიფო, არ გვყავს მთავრობა...



— უნდობლობას ვუცხადებთ პრეზიდენტს!

— რაც მოხდა, ყველაფერს ისტორია გაარკვევს... ერთი ფაქტია, უნდა გადადგნენ, სასწრაფოდ უნდა გადადგნენ! გადადგეს არა მხოლოდ შევარდნაძე, არამედ მთელი მისი მთავრობა...

— მე ემოციები არ მალაპარაკებს, პრეზიდენტს ვუჭერდით ყოველთვის მხარს, „ფხიზელი“ გონებით ავწონ-დავწონე. სიტუაციიდან გამომდინარე გეუბნებით, მეტი აღარ შეიძლება, ამ მოვლენის შეფასება არ ხერხდება...

— ორიოდე დღის უკან გვიმტკიცებდნენ ჯარი ფეხზე დგება, პარტიზანებიც ძლიერები გვყავსო, დავიბრუნებთ ტერიტორიებს, დავიცავთ საქართველოს ერთიანობასო... სიცრუე ყოფილა ყოველივე, შეიარაღება არ გვქონია! ჯარი არ გვყოლია!!! პარტიზანები ხელისუფლებისაგან უზურგოდ დარჩნენ...

— საკუთარი სკამის გადარჩენისთვის იბრძვიან ახლა... პარტიზანებს ახოცებ ხელს... ეს რა ხალხია...

— აფხაზეთში დსთ-ს სამშვიდობო ძალები დგას, თავის დროზე დსთ-ში შესვლას ჩვენც ხმა მივეცით, გვეგონა... ახლაღა ვხვდებით, ვნანობთ და ვალიარებთ, შეცდომა ყოფილა, დაუფიქრებელი ნაბიჯი და დიდი შეცდომა...

— დროა, დასვას საკითხი პარლამენტმა დსთ-დან ჩვენს გამოსვლაზე, ჯარების გაყვანაზე!

— პარლამენტი?! თუმცა, რა ძალა აქვს პარლამენტს? არაფერი! ის მხოლოდ მოლაყბეა! რამდენიც გსურს ილაპარაკე, თავი იმტვრიე, ათასი კანონი შეიმუშავე, რაც გინდა დაამტკიცე, ყველაფერი ისევ პარლამენტში რჩება, ცხოვრებაში?!

კომედიაა ყველაფერი, კომე-

(გაგრძელება მე-3 გვ.)

# უფრო უარესი დაგემართებათ — «გვპირდება» არძინბა



არძინბა კატეგორიულად ეწინააღმდეგება კონფლიქტის ზონაში მშვიდობის ძალით დამყარების ოპერაციის შესაძლებლობას. სეპარატისტული აფხაზეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში არძინბამ განაცხადა, რომ ამგვარი ოპერაციის განხორციელება ახალი ომის საბაბი გახდება, რომელიც რეგიონის ფარგლებს გასცდება და მისი შედეგები საქართველოსთვის უფრო უარესი იქნება, ვიდრე 1992-93 წლების ომის შედეგები იყო.

არძინბამ, ასევე, აღნიშნა, რომ მშვიდობის ძალით დამყარების ოპერაცია აგრესორის მიმართ უნდა იქნას გამოყენებული, ხოლო ასეთი აგრესორი სწორედ საქართველოა. მისი თქმით, აფხაზეთი გამოდიოდა და გამოდის კონფლიქტის მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით დარეგულირების წინადადებით. ამასთან დაკავშირებით მან კვლავ აღნიშნა, რომ აფხაზეთისა და საქართველოს მეთაურების უმოკლეს დროში შეხვედრის მომხრეა.

# ტრადიციონალისტები პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი მიიჩნევს, რომ გალში დატრიალებულმა მოვლენებმა და მასზე ხელისუფლების აბსოლუტურად შეუსაბამო რეაქციამ, კონცენტრირებულად წარმოაჩინა ის ყოვლისმომცველი კრიზისი, რაც დღეს საქართველოში სახეზე გვაქვს. ამ კრიზისის შედეგებს საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარ თავზე გრძნობს. დაქუცმაცებულია ქვეყანა, დანგრეულია ეკონომიკა, გვყავს ასიათასობით ლტოლვილი. ქვეყანას არ გააჩნია შეიარაღებული ძალები და, რაც მთავარია, არ არის იმედი, რომ რაიმე გამოსწორდება.

ტრადიციონალისტთა ლიდერის, აკაკი ასათიანის აზრით, კორუფციამ, რომელმაც მართლაც ფანტასტიკურ მასშტაბებს მიაღწია, მთლიანად შთანთქა ის დიდი მატერიალური და ფინანსური დახმარება, რომელიც განვითარებულმა ქვეყნებმა გაუწიეს საქართველოს. ტრადიციონალისტები აცხადებენ, ეს დახმარება მიიღო ქართველმა ხალხმა და არა ედუარდ შევარდნაძემ. შევარდნაძის ხელისუფლება კი ართმევს საკუ-



თარ მოქალაქეებს იმ დახმარებას, რასაც დასავლეთი უწევს დასავლური ცივილიზაციისაკენ ბუნებრივად მიდრეკილ ქართველ ერს.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი მიიჩნევს, რომ შექმნილ მდგომარეობაზე ძირითად პასუხს აგებს ქვეყნის პრეზიდენტი, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ედუარდ შევარდნაძე, ვინაიდან სწორედ ის არის საქართველოს ეროვნული ინტერესების საშინაო და საგარეო პოლიტიკის არქიტექტორი.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი მოითხოვს, რომ გადადგეს საქართველოს პრეზიდენტი.

# საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პარლამენტის წევრებს!

ბატონებო და ქალბატონებო!

პრეზიდენტმა შევარდნაძემ და მისმა ადმინისტრაციამ წინა პარლამენტისა და თქვენი თანამონაწილეობით — მართალია, ხშირად პასიური, მაგრამ მაინც თანამონაწილეობით — საქართველო კატასტროფამდე მიიყვანა. ამ კატასტროფის პარამეტრებს არ ჩამოვთვლით, ვინაიდან თქვენ მდგომარეობის კურსში ბრძანდებით. ჩვენ ვაფასებთ ზოგი თქვენგანის პრინციპულ ოპოზიციას ადმინისტრაციის დანაშაულებრივი კურსისადმი. ვითვალისწინებთ პროიმპერიული, მაშასადამე — ანტისახელმწიფოებრივი მიმართულების ახალი ეშელონის ტაქტიკასაც, რომელიც დედაქალაქში დემოკრატიული ან შედარებით დემოკრატიული ლოზუნგებით გამოდის, სამაგიეროდ პროვინციაში რუსული ორიენტაციის პროპაგანდას ეწევა. ვითვალისწინებთ პოლიტიკური და მორალური შეფერილობების მთელს მრავალფეროვნებასაც, რომელიც პარლამენტში სუფევს. მაგრამ ამჯერად უგულებელვყოფთ ყველა ამ ინდივიდუალურსა და ჯგუფობრივ განსხვავებებს და მოგმართავთ ერთობლივად, როგორც ადამიანთა ერთ კრებულს, რომელსაც განგებამ დღეს ხელთ მისცა ძლიერი იარაღი საქართველოს მოსახლეობისა და მისი მომავალის სასიცოცხლო პრობლემათა გადასაჭრელად.

სხვა მრავალ საფრთხეთა შორის საქართველოს დღეს უშუალოდ ემუქრება ცხინვალის ზონაში „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის, მაშასადამე, საქართველოს ერთ-ერთი ცენტრალური ტერიტორიის ხელყოფის ისტორიულმასშტაბიანი საფრთხე. დღიდან დღეზე პრეზიდენტი შევარდნაძე პარლამენტში შეიტანს პროექტის სახით ცხინვალის ზონაში „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის აქტს. წინამდებარე მიმართვის მიზანია, ყველას ერთად და თითოეულს ცალ-ცალკე შეგახსენოთ ორი გარემოება, რომელიც თქვენ სრული კატეგორიულობით ვალდებულს გხდით უარი უთხრათ ამ აქტის მიღებას. ეს გარემოებები სახელდობრ შემდეგია:

ა) ცხინვალის ზონაში „სამხრეთ ოსეთის“ შექმნა საქართველოსთვის არის ისტორიული მასშტაბის კატასტროფა, რომელიც ძირს უთხრის საქართველოს, როგორც ქვეყნის, მომავალ არსებობას;

ბ) საქართველოს ხელისუფლებას აქვს სრული საშუალება, უარი თქვას ამ აქტის მიღებაზე და ამით საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი სასიცოცხლო ინტერესი დაიცვას.

აი ამ ორი თეზისის არგუმენტაცია.

I. ცხინვალის ზონაში „სამხრეთ ოსეთის“ შექმნა საქართველოსთვის ისტორიულმასშტაბიანი კატასტროფაა, ვინაიდან

ა) საქართველოში „ოსეთის“ შექმნა კი არ დააცხრობს, არამედ, პირიქით, გაამწვავებს ქართულ-ოსურ კონფლიქტს და გააფართოებს მას. სახელდობრ, იგი შექმნის ილუზიას, თითქოს კავკასიაში არსებობს ოსური ეთნიკური ტერიტორია, რომელიც ამჟამად ორადაა გაყოფილი, როგორც იყო გერმანია და არის კორეა. ამით 600 ათასიანი ოსი ხალხის წინაშე, აგრეთვე მსოფ-

(გაგრძელება მე-3 გვ.)

# ამაზე უკეთესი კურსი არ არსებობს - დარწმუნებულია შევარდნაძე



„მადლობელი ვარ საქართველოს მოსახლეობის, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა დევნილთა გასაჭირი. ყველაზე მეტად კი - სამეგრელოს მოსახლეობის, რომელიც უკვე მერამდენედ შეწუხდა“ - თქვა საქართველოს პრეზიდენტმა. მისი განცხადებით, პარლამენტართა უმრავლესობამ, გარდა მცირე გამონაკლისისა, სახელმწიფო ინტერესები დააყენა წინ და არა ემოციები. ასევე ოპოზიციურად განწყობილმა ძალებმა შეიკავეს თავი და არ აყვნენ ცდუნებას იაფფასიანი ავტორიტეტის მოსახვეჭად.

რადიოინტერვიუში პრეზიდენტმა ჩვეულების საწინააღმდეგოდ ერთ-ერთ ოპონენტს, ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარეს, აკაკი ასათიანს მიმართა - „ვის ნებას გამოხატავს ნახევრად გაკოტრებული პარტიის ლიდერი, ვინ უნდა იყოს პრეზიდენტად; იქნებ, თავად ასათიანმა იტვირთოს ეს ტვირთი? მას უკვე ჰქონდა საშუალება ზვიად გამსახურდიას დროს გაფურჩქნილიყო, მაგრამ ყველამ იცის, რა შედეგიც მიიღო. რა თქმა უნდა, კაკო ასათიანის მოთხოვნით არ გადავდგები. ჩემი მოვალეობა მაკისრებს ვიფიქრო, რა იქნება საქართველო დღევანდელი პრეზიდენტის გარეშე. შემომთავაზეთ იმაზე უკეთესი პოლიტიკური კურსი, როგორიც მე განვსაზღვრე და მზად ვარ თქვენს ნებას დავემორჩილო. თუმცა, არა მგონია, ასეთ ვინმეს შევხვდე... ბოლოს და ბოლოს ვინ ხართ თქვენ, გაუთავებლად მოწამლულ ისრებს რომ მესვრით?“ - განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.



პრეზიდენტ შევარდნაძის ალტერნატივა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში იგორ გიორგაძეც ყოფილა (ვერაფერი სანუგეშო სიახლეა) — აი, რა საიდუმლო შეიძლება იფარებოდეს იმ გახმაურებული ჩხრეკის საფარველქვეშ,

# „დაწიოკებულ“ კომუნისტებს რეპრესიების სუნი სცემთ

ამ ცოტა ხნის წინ რომ მოხდა გაერთიანებული კომუნისტური პარტიის ოფისსა და მისი პირველი მდივნის, პანტელეიმონ გიორგაძის საწერ მაგიდაში.

როგორც მოსალოდნელი იყო, იგორ გიორგაძე მამის მაგიდაში არც ცნობას დატოვებდა თავის ასავალ-დასავალის შესახებ და არც მისამართს, სადაც ესოდენ იოლად „იპოვება“ გულმოდგინედ მძებნელთა მიერ.

უკვე ცნობილი გახდა, რომ „დათვალიერებამ“ „ცნობისმოყვარეებს“ მართლაც ვერანაირი სასიკეთო შედეგი ვერ მოუტანა, გარდა იმისა, კომუნისტებმა ხელისუფლების ამგვარ საქციელში განტევების ვაცის მოძებნის წყურვილი შენიშნეს.

განტევების ვაცები დღეს საიმედო ადგილზე სხედან.

— კიტოვანებს, იოსელიანებს, ლოთებს, ჯაბებს შეიძლება პანტელეიმონიც მიაყოლონ, მაგრამ დღევანდელ ხელისუფლებას ალარაფერი უშველის. ქართველი ხალხის გენოციდი სახეზეა და ამ გენოციდს საკუთარ მიწაზე საკუთარი ხელისუფლება უწყობს მათ, — ამბობს პანტელეიმონ გიორგაძე.

კომუნისტების ლიდერი თამამად საუბრობს პრეზიდენტსა და მის მთავრობაზე: ისინი „გამუდმებით ცრუობენ, ტყუილებით კვებავენ ხალხს, არ აძლევენ საარსებო მინიმუმს, ვერ იცავენ სოციალურად, ვერც პოლიტიკურად“.

აღშფოთებული კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი ამხანაგი პანტელეიმონ გიორგაძე (ასე უწოდებენ მას პრესკონფერენციაზე) გრძნობებს ველარ ფარავს.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე 1 ივნისი მხოლოდ საბურველი გახლდათ იმ ძირითადი საკითხისა, რომლის დაყენებასაც ბატონი პანტელეიმონი მასმედიის წინაშე ჟურნალისტთა სახლში ამ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე აპირებდა.

პარალელებით შობადობასა და სიკვდილიანობას, უწინდელსა და დღევანდელობას, შევარდნაძის მმართველობასა და კომუნისტურ წყობას შორის საქართველოს სავალალო მდგომარეობა ნათლად დაგვიხატა...

კომუნისტები კარგა ხანია აღარ მალავენ თავიანთ განწყობას არც

(გაგრძელება მე-3 გვ.)

# სხვა რეგიონებიც საფრთხეშია - გვაფრთხილებს ედპ-ის ლიდერი



ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას თქმით, არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ ძალები, რომლებმაც გალის რაიონში მდგომარეობის ესკალაციის პროვოცირება მოახდინეს, ანალოგიური გეგმების განხორციელებას საქართველოს სხვა რეგიონებშიც გეგმავენ. სარიშვილი-ჭანტურიამ გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას თავი შეიკავა ამ რეგიონების დასახელებისაგან იმ მოტივით, რომ ეს შესაძლოა მდგომარეობის დაძაბვის დამატებით ფაქტორად იქცეს.

„გეა“

# „დაწიოკებულ“ კომუნისტებს რეპრესიების სუნი სცემთ

(მე-2 გვერდიდან)

პრეზიდენტის, არც მთავრობის, არც პარლამენტის მიმართ და არც არაფრისა ეშინიათ (ყოველ შემთხვევაში, ასე იყო დღემდე...). ბატონი პანტელეიმონ გიორგაძე დღესაც ამტკიცებს, ყველაფრის გადასატანად მზად ვართო, თუმცა მოსალოდნელი რეპრესიების სუნი, რაც იმ გახმაურებულ ჩხრეკას ასდის, აიძულებთ თავიანთ ნაფიქრ-ნაიმედარზე ხმამაღლა ღალადებდნენ...



— შევარდნაძემ უკვე ამოწურა თავისი ლიმიტი, მეტის ვერაფრის გაკეთებას შესძლებს, იგი, როგორც სამხედრო პირი, აბსოლუტურად გაუნათლებელია, უმაღლესი მთავარსარდალი შერცხვა, ისტორიაში არ ყოფილა მაგალითი, უმაღლეს ხელისუფალს ბრძოლა წაეგოს და მერე თავისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე დაეყენებინოს, ასეთ შემთხვევაში მას დახვრეტდნენ... ჩვენთან ამის მაგალითი სახეზეა. საქართველოში რომ ხელისუფლების კრიზისია, დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, ამას თვით შევარდნაძეც ხვდება, — ამბობს პანტელეიმონ გიორგაძე.

საპარლამენტო კრიზისის საშიშროება — ამ ცოტა ხნის წინ რომ შეაშფოთა დეპუტატები, მონაგონი გახლავთ იმ აშკარა კრიზისთან, რასაც დღევანდელი ხელისუფლება განიცდის და იმ მღელვარებასთან, საზოგადოება რომ შეიპყრო უკანასკნელი მოვლენების, განსაკუთრებით კი გალის სისხლიანი ტრაგედიის დატრიალების შემდგომ.

— გადადგეს შევარდნაძე! — მრისხანებენ დევნილები აფხაზეთიდან.

— გადადგეს პრეზიდენტი! — ღელავენ დეპუტატები პარლამენტში.

„დაფლეთილი ოპოზიციაც“ კი გაერთიანდა ხელისუფლების წინააომდეგ.

— გადადგეს პრეზიდენტი! გადადგეს მთავრობა! თვითლიკვიდაცია მოახდინოს პარლამენტმა! — ყველას აჭარბებს გაბედულებით და იმით იმედოვნებს, რომ „მთელი საქართველო ყვირის — პრეზიდენტი გადადგეს, თვით დეპუტატთა უმეტესობაც და ყველას ხომ ვერ ჩაყრიან ციხეში“...

ვინ უნდა მართოს ქვეყანა, ამაზეც უზრუნია უკვე კომუნისტების ლიდერს, ეს უნდა იყოს „ეროვნული ხსნის კომიტეტი“, რომელიც სათავეში ჩაუდგება ქვეყანას და რაღაც 3-5 თვის განმავლობაში მოამზადებს ყველა პირობას ქვეყნის დემოკრატიულად სამართავად“ — აცხადებს ბატონი პანტელეიმონი, თუმცა არც თავად მას მოეხსენება ჯერ-ჯერობით ვინ „მოხვდება“ ეროვნული ხსნის კომიტეტში...

პრეზიდენტი რომ სხვა იყოს და არა შევარდნაძე, მოხდებოდა თუ არა ყოველივე ის გალში, რაც დღეს სახეზე გვაქვს, არავინ უწყის... ვერც ბატონი პანტელეიმონი დაიწყებს დაბეჯითებით ამის მტკიცებას, თუმცა იმაში ღრმადაა დარწმუნებული, რომ არა შევარდნაძე, ცოტა უკეთესობა მაინც იქნებოდა...

— კიდევ კარგი, გლობალურ ომში არ ჩავებით, აცხადებს პრეზიდენტი გალის დაკარგვის შემდეგ, — იხსენებს ბატონი პანტელეიმონი და ერთი შესანიშნავი ანეკდოტი აგონდება გურულ კაცზე, წვეთი წყალივით რომ ჰგავს ,ჩვენს დღევანდელობას (ვინ არის ანეკდოტის ავტორი, ჩვენთვისაც საინტერესოა, მაგრამ უცნობია...):

გურული მიდის ნათლიასთან ცხენზე ხურჯინგადაკიდებული. შეხვდა ყაჩაღი და უბრძანა:

— ჩამოდი ცხენიდან.

— ვერ ჩამოვალ თუ!

— უთხრა და ჩამოხტა.

— მოუსვი ახლა აქედან!

— ვერ მოვუსვამ თუ!

— უთხრა და გაიქცა.

შინ მისულ „ლტოლვილს“ ცოლმა ცხენის და ხურჯინის ამბავი მოჰკითხა.

— გლობალურ ჩხუბში უნდოდათ ჩემი ჩათრევა და საშუალება არ მივეციო, — დაამშვიდა აღელვებული ქალი.

— რისი იმედი აქვს პრეზიდენტს, როცა საქართველოში ყველას შესძულდა? ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩვენთან ხდება, შევარდნაძეს რატომ არ ეშინია?! — ღელავს ბატონი პანტელეიმონი შევარდნაძის ნაცვლად და გულმოდგინედ აფრთხილებს: „ფრთხილად, პრეზიდენტო, არაფერი მოგივიდეთ, თორემ კომუნისტებს დაგვაბრალებენო“.

„Милый лжец“ ანუ ახალი კომპლიმენტით შემკობილი პრეზიდენტი კი (ეპითეტის ავტორი ბატონი პანტელეიმონი გახლავთ), ალბათ, არც მის გულმოდგინე გაფრთხილებას წაუყრუებს და არც „იმედს გაუცრუებს“ ბატონ პანტელეიმონს, ხელისუფლების შესანარჩუნებლად ყველა ღონეს იხმარს (ტყუილად ხომ არ ჰპირდებოდა ხალხს ათწლიან რეჟიმს შევარდნაძე ჯანმრთელობის შესაბამისად, ყვანია კი სმკ-ს ოცდაათწლიან ბატონობას ხელისუფლებაში), ამის იმედი ხომ მარტო ბატონ პანტელეიმონს კი არა, მთელ საქართველოს-ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას, პარტიულს თუ უპარტიოს „ასულდგმულებს“.

**მანანა გელოვანი**

# იქნებ, ლტოლვილების ახალი ნაკადი შემოსავლის ახალი წყაროა ვინმესთვის?

(მე-2 გვერდიდან)

დია... რომ ჩვენ ვართ დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყანა ღირსეული პარლამენტით. ამ დროს კი ქვეყანას ერთპიროვნული მმართველი ჰყავს შევარდნაძის სახით.

— სანამ ქვეყანას შევარდნაძე მართავს, არაფერი გვეშველება, ჩვენ გვჭირდება ეროვნული მთავრობა, პატიოსანი ხელმძღვანელები. უმაღლეს ეშელონებში კორუფციის დონე ისე მაღალია, თავად კორუმპირებულებიც კი შეშფოთდნენ და დაუწყეს მას ბრძოლა...

... დიალოგს მონოლოგი ცვლიდა, მონოლოგს დიალოგი, ხანაც ერთხმად გულდაჯერებით ამტკიცებდნენ საერთო „ჭეშმარიტებას“.

იქნებ, გალის დაკარგვაშიც თამაშობდეს კორუფცია რაიმე როლს? იქნებო?! კორუმპირებულისთვის მთავარია ფულის კეთება ნებისმიერი გზით, ხერხით, საგვაქვს, 30000 ლტოლვილი ზუგდიდს მოსდგომია და მშიერ-მწყურვალნი, უსახლკარონი თავბედს იწყევლიან, ხელისუფლებაზე რომ აღარა ვთქვათ რა...

საუბარი უცხო კალაპოტში გადავარდა, იქნებ „დაუკრეფავშიც“ გადავედით, „არავის“ რომ არა აქვს უფლება...

რა გზას გაუყენეს ლტოლვილთა დასახმარებელი თანხები უწინ, ვინ იცის? ვინ, სად და როგორ მოითბო ხელი მათზე, დღეს ვილას ახსოვს? „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა“...

იქნებ, ახალი ლტოლვილები გამდიდრების ახალი წყაროც გახდა ვინმესთვის? ვინ იცის?

საქართველო კი სისხლისაგან იცლება... კვნესის... ერთ ტკივილს ვერ იშუშებს, ახალი ემატება...

ტკივილით ტკივილს დაგავიწყებო, ამაზე თუ უთქვამთ?

— ხალხმა რომ კორუფციის აჩრდილს თვალი არ გაუშტეროს,




შუალებით და რასაც ხელისუფლების კორუმპირებულობაზე უცნაურს, აშკარას და საიდუმლოს ამბობენ, მოდი და ნუ შეგეპარება ეჭვი. სხვას რას ნიშნავს, თითქმის „მოშინაურებული“ გალის ასე „უჭკუოდ“ დაკარგვა... ვერაფერს გეტყვით სანუგეშოს... სათქმელ-საფიქრალად დრო სადღა საფიქრალი ხომ უნდა მისცენ, აი, გალის მაგალითიც...

საუბარიც დავასრულეთ, ბევრიც ვიფიქრეთ და იქნებ ვიოცნებეთ, საბოლოოდ კი... ჩვენი პარლამენტის არ იყოს, მხოლოდ ვილაყბეთ, გალს და ლტოლვილებს რა ეშველათ?

**მანანა ლოგჯანიძე**

# საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პარლამენტის წევრებს!

(მე-2 გვერდიდან)

ლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე, დგება ამ ტერიტორიის „გაერთიანების“ ამოცანა. ეს ქართულოსური კონფლიქტი მიწა-წყლის გამო (რადგანაც ამ კონფლიქტის შინაარსი მხოლოდ ესაა და არა რაიმე სხვა) გაგრძელდება თაობათა მანძილზე. იგი უაღრესად სისხლიანი იქნება და ვერ დამთავრდება სხვაგვარად თუ არა ერთერთი მხარის ფუნდამენტური დამარცხებით მისი ეკონომიკური, ფსიქიკური და გენეტიური რესურსების ამოწურვის შედეგად.

დღეს ამ კონფლიქტის ალკვეთის გზა ჯერ კიდევ არსებობს. ესაა ოსებისთვის და მსოფლიოსთვის იმ ილუზიის არშექმნა, რომ ცხინვალელი ოსები „ოსეთში“ ცხოვრობენ.

ბ) ცხინვალის ზონაში „ოსეთის“ შექმნა რუსეთს მისცემს პლაცდარმს გაძლიერებული აგრესიისათვის საქართველოს წინააღმდეგ. კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე გამაგრებით, ოსური ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულისათვის მიცემული პოლიტიკური უფლებების გამოყენებით და ოს ხალხში ტრადიციულად გავრცელებულ პრორუსულ განწყობილებაზე დაყრდნობით რუსეთი ყველა ხელსაყრელ მომენტს გამოიყენებს, რათა შეიარაღებული კონფლიქტი გამოიწვიოს და სამხედრო ძალით დაიკავოს ტერიტორია ცხინვალიდან თავისი მოკავშირე სომხეთის საზღვრამდლე, რითაც ორ ნაწილად გაიყოფა საქართველო და შუაზე გადაიჭრება ე. წ. „აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანიც“ როგორც ბაქო-ფოთი-ბათუმის, ისე ბაქო-ჯეიჰანის მიმართულებით. ძნელი მისახვედრი არაა, რომ შევარდნაძის მისწრაფება „ოსეთის“ შექმნისაკენ სწორედ ამ მიზნითაა ნაკარნახევი.

გ) ცხინვალის ზონაში „ოსეთის“ შექმნა გარდუვალად გამოიწვევს (და მისი პერსპექტივა დღესაც იწვევს) ოსური ადმინისტრაციის მისწრაფებას ამ ზონაში მაცხოვრებელი ქართველი მოსახლეობის განდევნისაკენ, ვინაიდან ამ ავტოხთონურ მოსახლეობაში იგი მუდამ დაინახავს ხიფათს თავისი სამართალსაწინააღმდეგოდ მოპოვებული პოლიტიკური ავტონომიისათვის. ამგვარად, ქართველი მოსახლეობის მდგომარეობა გაუსაძლისი იქნება. ეს გამოიწვევს ქართველი მოსახლეობის ან გასვლას ამ რეგიონიდან, ან სრულ დეგრადაციას უსამართლო ძალისადმი დამორჩილების შედეგად.

დ) ცხინვალის ზონაში „ოსეთის“ შექმნა გარდუვალად გახდება ნიშანი საქართველოში კომპაქტურად მაცხოვრებელი ყველა ეროვნული ჯგუფისათვის ანალოგიური უკანონო პრეტენზიის წამოსაყენებლად, რაც, შესრულების შემთხვევაში, საქართველოს დაშლას გამოიწვევს, ხოლო არშესრულების შემთხვევაში — შემდგომ კონფლიქტებს საქართველოს შიგნითაც და მეზობელ ქვეყნებთანაც.

ე) ცხინვალის ზონაში მაცხოვრებელი 60 ათასი ოსისათვის, წინააღმდეგ 30 ათასიანი ავტოხთონური ქართველი მოსახლეობის ნებისა და ინტერესისა, „ოსეთის“ შექმნა გამოიწვევს ქართველი მოსახლეობის და ქართველი საზოგადოებრიობის უარყოფით დამოკიდებულებას საქართველოში მაცხოვრებელი დანარჩენი 100 ათასიანი ოსური მოსახლეობისადმი, როგორც ეს მოხდა 1990 წელს ცხინვალის ზონაში აგრესიული და ანტისახელმწიფოებრივი ოსური სეპარატიზმის გალვივების შედეგად.

**II. საქართველოს ხელისუფლებას აქვს იმის ობიექტური საშუალება, რომ არ დაუშვას ცხინვალის ზონაში „ოსეთის“ შექმნა, ვინაიდან**

ა) არც ერთი საერთაშორისოდ მიღებული უფლებადაცვითი ნორმა — მათ შორის არც ერთი კონვენცია ან სხვა რამ დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს საქართველო — არ მოითხოვს და არ გულისხმობს ეროვნულ უმცირესობათათვის ტერიტოიული ავტონომიების შექმნას. ისინი არ მოითხოვენ ამას თვით ავტოხთონური უმცირესობებისათვისაც კი, რომელთაც სხვა ეთნიკური ტერიტორია მსოფლიოში არა აქვთ (ოსები კი საქართველოში არიან ჩვეულებრივი დიასპორა, ანუ ეთნიკური ჯგუფი, რომელიც ბოლო სამი საუკუნის მანძილზე, განსაკუთრებით — 1864 წლის შემდეგ გაჩნდა და რომელსაც თავისი ეთნოსის ისტორიული და ამჟამინდელი ეთნიკური ტერიტორია, ოსეთი („ჩრდილო ოსეთი“) აქვს, საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია მოიგერიოს ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის ან ფორუმის რეკომენდაცია ან პრეტენზია საქართველოში „ოსეთის“ შექმნის თაობაზე იმის განცხადებით (იმ არგუმენტივთ), რომ ჯერ უნდა დადგინდეს (რა თქმა უნდა, საქართველოს მონაწილეობით) ზოგადი ნორმა, ხოლო შემდეგ მოხდეს ამ ნორმის მიყენება კონკრეტული შემთხვევებისათვის, მათ შორის — ქართულ-ოსური კონფლიქტისთვისაც. საქართველოსთვის ისეთი მოთხოვნის წაყენება, რომელიც არ წარედგინება ყველა სახელმწიფოს, სადაც კი ეთნიკური უმცირესობები არსებობენ, სხვა არა არის რა თუ არ საქართველოს დისკრიმინაცია.

ბ) საქართველოს ხელისუფლებას თავისუფლად შეუძლია დაემყაროს იმ არგუმენტს, რომ ცხინვალის კონფლიქტის დარეგულირება მხოლოდ მისი შინაგანი საქმეა, და მსოფლიოს საზოგადოებრიობა ამ ამოცანის გადაჭრაში არ ჩარიოს სხვაგვარად თუ არ მხოლოდ კომპეტენტური ექსპერტთა სახით, რომელთაც მოეთხოვებათ მხოლოდ დამტკიცებული ფაქტებით ოპერირება და მხოლოდ დასაბუთებული რეკომენდაციების წარმოდგენა, და არა ცილისწამებისა (როგორიცაა, მაგალითად საქართველოში ეუთოს მისიის სიტყვები, თითქოს ზოგი ქართველი მოითხოვს „პოდპრავიტ ისტორიუ“ და თითქოს ქართველები ოსებს პრობლემატურს უხდიან საქართველოში „ცხოვრების უფლებას.“).

გ) საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია დაიმოწმოს ცხინვალის ზონაში 1922 წელს ოკუპანტების მიერ „ოსეთის“ შექმნის აქტის უკანონობა და 1990 წელს დემოკრატიულად არჩეული საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ ამ აქტის გაუქმების კანონიერება, — აქტისა, რომლის მიღება უზენაესი საბჭოს უფლება და მოვალეობა იყო.

დ) საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია და იგი მოვალეა დაიმოწმოს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის სრული უმწეობა და დაუცველობა ცხინვალის ზონაში ეროვნული ოსური ადმინისტრაციის დაწესებისა და დაკანონების შემთხვევაში, რაც გარდუვალია, თუ ამ ტერიტორიას „ოსეთი“ ეწოდა.

ე) დასასრულ, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია დაიმოწმოს ისეთი პრაქტიკის პრინციპული მიუღებლობა მსოფლიოსთვის, როცა სახელმწიფოს შიგნით ტერიტორიის სტატუსი დამოკიდებული ხდება დემოგრაფიულ დინამიკაზე, კონკრეტულად — როცა რომელიმე ეთნიკური ჯგუფის გამრავლება და მისი ადგილობრივ უმრავლესობად ქცევა იწვევს მისთვის ტერიტორიული ავტონომიის შექმნას და ამ ტერიტორიისთვის მისი სახელის მიცემას, ვინაიდან ასეთი მიდგომა გარდუვალად გამოიწვევს ყოველი ეთნიკური ჯგუფის შიშს მეორე ჯგუფის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე, რაც ობიექტურ ცდუნებას ქმნის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მცდელობისათვის ამ ტერიტორიაზე.

3) გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლების მოვალეობაა ჩვენი ქვეყანა დაიცვას რუსეთის აგრესიისაგან პოლიტიკური გზით, სახელმწიფოებრივი დობრ, მან დაუყოვნებლივ უარი უნდა თქვას რუსეთის „სამშვიდობო“ როლზე და მისი თითქოსდა „სამშვიდობო“, სინამდვილეში კი სეპარატისტების დამხმარე ჯარების ყოფნაზე ცხინვალის ზონაში და ოფიციალური ნოტებით, ისევე როგორც გაეროსადმი მიმართვით, დააფიქსიროს რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოს წინააღმდეგ ცხინვალის ზონაში.

საქართველოს პრეზიდენტი შევარდნაძე არ ასრულებს თავის ზემოხსენებულ მოვალეობებს სახელმწიფოს წინაშე. უფრო მეტიც, იგი ობიექტურად, ხელშემწყობია საქართველოს ინტერესთა წინააღმდეგ მიმართული შეთქმულებისა, რომლის მიზანია, საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის ხარჯზე, სხვა ქვეყნებისთვის სასარგებლო პრეცედენტის შექმნა სახელმწიფოებრივი მოწყობის პრაქტიკაში. პრეზიდენტი ითვისებს უფლებას, რომელსაც მას კონსტიტუცია არ აძლევს, და ამით უხეშად არღვევს კანონს. თავისი არასაკმარისი ინფორმირებულობის გამო ისტორიისა და სამართლის სფეროში, მაშასადამე — პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპების სფეროშიც, იგი ვერ იცნობიერებს თავისი პირადი უმძიმესი პასუხისმგებლობის გარდუვალობას თავისი დღევანდელი დანაშაულებრივი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების გამო. მაგრამ მის ამ მოქმედებას წინ კიდევ ერთი ზღუდე აქვს, რომელსაც შეუძლია საქართველოს ისტორიულმასშტაბიანი ინტერესი დაიცვას იურიდიულად, ხოლო საქმის პრაქტიკული მხარე მომავალისთვის გადასდოს, როცა საქართველოს უფრო უნარიანი და ერთგული აღმასრულებელი ხელისუფლება ეყოლება. ეს ზღუდეა პარლამენტი. **ამიტომაც მოგიწოდებთ, ხელის აწევით არ მიაყენოთ ქვეყანას სასიკვდილო ჭრილობა, რათა პასუხი არ აგოთ სახელმწიფოსა და მისი მომავლის წინაშე.**

**გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება. დას. იხ. გაზ. „საქართველო“ №30)

# «ვისიც მრავალთ ეშინიათ, მას მრავალთა უნდა ეშინოდეს»

*რომაული ანდაზა*

## საქართველოს მასშტაბისთვის დიდი თანხების წართმევითა და თავისი გუნდისათვის გადანაწილებით შევარდნაძემ ბევრი მტერი შეიძინა

**ვაგრძელებთ ვლადიმერ ხვედელიძის პუბლიკაციათა ციკლს, რომლის დასტამბვაც დავიწყეთ გაზეთ „საქართველოს“ 30-ე ნომერში სათაურით: „გამსახურდია გაექცა არა აჯანყებულებს, არამედ გრუ-ს სპეცდაჯგუფებებს“. გაგრძელებები გამოვაქვეყნეთ გაზეთ „საქართველოს“ მომდევნო ნომრებში შემდეგი სათაურებით: „ЭТО Я, ЭДИЧКА“ (№33), „პარტმუშაკმა შევარდნაძემ ძურდმუშაკ ჯაბას მოუგო“ (№34), „რა იმალება გულუას, ჭანტურიას, ხაბეიშვილის მკვლელობებისა და შევარდნაძეზე თავდასხმებს მიღმა ანუ ვინ არის დამნაშავე და რა ვქნათ?!! (№36). ამჯერად გთავაზობთ ვ. ხვედელიძის აღნიშნული პუბლიკაციის გაგრძელებას.**

ფულადი პრივატიზაცია დაიწყო უფრო გვიან. ახლა უკვე სერიოზულად შეუდგნენ ქვეყნის სიმდიდრის გადანაწილებას, მაგრამ ამჯერად „ბოგანოთა“ ანუ მოსახლეობის 95 პროცენტის მონაწილე-



ობის გარეშე. „პრივატიზაციის“ დაწყების წინ ხომ ჯერ კიდევ არსებული საბჭოთა კავშირის მთავრობამ მოსახლეობას წაართვა დანაზოგები თვით პავლოვის ფულადი „რეფორმების“, შემდეგ კი ფასების აწევისა და ველური ინფლაციის წყალობით.

მისცეს რა თავიდანვე დამნაშავე ელემენტებს ქვეყანა საძარცვად, შევარდნაძემ და მის ირგვლივ შემოკრებილმა ყოფილმა პარტნომენკლატურამ დაიწყო ამ დამნაშავე ელემენტების მიერ მიტაცებული ქონების გადანაწილება და ხალხს თავი მოაჩვენეს, როგორც სამართლიანობის დამცველ და წესრიგის აღმდგენ მთავრობად. ხალხმაც, რომელიც ლამის გაგიჟებული იყო არსებული კრიმინალური მდგომარეობით, კიდევ ერთხელ გადაყლაპა მორიგი ტყუილი.

ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც დაიწყო თვით „პრივატიზაციის“ ხორცშესხმა? არ იქნება სერიოზული თუ ვიტყვით, რომ ესენი იყვნენ ყოფილი „ცეხავიკები“, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლები, თუმცა არსებობს აზრი, რომელსაც ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასასრულიდან უნერგავდნენ ხალხს თავში, რომ თითქოს იატაკქვეშა „ცეხავიკები“ იყვნენ წარმოების ნამდვილი ორგანიზატორები. ეს „უნარიანი“ და „ტალანტიანი“ ადამიანები თითქოს სწრაფად დააყენებდნენ ფეხზე ქვეყნის ეკონომიკას, თუ მათ ამის საშუალებას მისცემდნენ.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ ადამიანებს ეკონომიკასთან საერთო არაფერი ჰქონდათ. იმისათვის, რომ აბსოლუტური სასაქონლო დეფიციტის პირობებში იმუშაო, სულ სხვა თვისებებია საჭირო, ვიდრე იმუშაო საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ამიტომაც, უკეთეს შემთხვევაში, იმ ყოფილმა „ცეხავიკებმა“ რომელთაც შეძლეს გარკვეული რაოდენობის თანხის დაგროვება, კომერციას მიყვეს ხელი. „ბიზნესის“ მწვერვალი კი სულ სხვა ადამიანებმა დაიპყრეს. საკუთარი ბიზნესის წარმოებისთვის და ფართოდ გაშლისთვის ხომ აუცილებელი არ იყო მხოლოდ ცოდნა და უნარი, არც იმდენად ფული, არამედ უფრო ხელისუფლებასთან სიახლოვე და თვით ხელისუფლებაც.

პირველი მსხვილი ქონებრივი მდგომარეობა საკმაოდ პროზაული გზით იქნა მოპოვებული. ქართულმა ეროვნულმა ბანკმა, რა თქმა უნდა, სახელმწიფო ხაზინიდან, დაიწყო კრედიტების დარიგება მარცხნივ და მარჯვნივ. საკმარისი იყო 10-20 პროცენტის ადგილზე დატოვებაში შეთანხმება, ანუ აღებული კრედიტის საერთო თანხიდან ათიდან ოც პროცენტამდე ნაღდი ფული მიგეცათ კრედიტის „გამცემისათვის“ და ნებისმიერი რაოდენობის თანხის კრედიტი გარანტირებული იყო. ბუნებრივია, ამ კრედიტებით სარგებლობა (ანუ აღება) შეეძლოთ ან დამნაშავე ელემენტებს და ყოფილ „ცეხავიკებს“, ან პირებს, რომლებიც ხელისუფლებაში იყვნენ.

კრედიტებს გასცემდნენ ფორმალურად რესპუბლიკის ვითომ ენერგომატარებლების ან კვების პროდუქტების შესაძენად და რესპუბლიკაში შემოსატანად. რეალურად კი მაშინათვე ხდებოდა ამ თანხების კონვერტირება და უბრალოდ, მითვისება, ან ამ თანხებით ჩალის ფასად ყიდულობდნენ ადგილობრივ პროდუქციას (ღვინოს, ჩაის, მარგანეცს, ბორჯომს და ა. შ.) გაჰქონდათ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, სადაც ხდებოდა მისი რეალიზაცია და მონაგები ფულიც იქვე ბანდდებოდა (ძირითადად მოსკოვში).

ეს პროცესი ჯერ კიდევ გამსახურდიას დროს დაიწყო, მაგრამ მეტნაკლები „პოპულარობა“ შეიძინა 1992-93 წლებში. საქართველოს ხაზინა პირწმინდად დაცარიელდა. სამაგიეროდ ომანიძემ, აბსანძემ, ხაბეიშვილმა, დვალიშვილმა და პრაქტიკულად ყველამ, გამოუკლებლივ, ვინც კი ხელისუფლებაში იყო ან მასთან ახლოს იდგა, ამ „წყაროთი“ ბოლომდე ისარგებლეს. არ ჩამორჩა მათ სუკიც. ფირმა „ერლანმა“, რომელის საქართველოს უშიშროების სამსახურის მაღალი ჩინოსნების მიერ დაფუძნდა, საწყისი კაპიტალი სწორედ ამ გზით მიიღო, თუმცა შემდეგ, აიღო რა მოსკოვში მსხვილი კრედიტი (რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი) უკვალოდ გაქრა, მიატოვა საკუთარი ოჯახები და შორეულ საზღვარგარეთში მიიმალა.

კიტოვანის ხულიგნებმა საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს შაქრისა და იარაღის ბიზნესი. იოსელიანის კრიმინალებმა ბენზინისა და ნავთის ბიზნესს ამოსდეს ლაგამი. მხოლოდ მოსკოვიდან ახლადდაბრუნებულ შევარდნაძეს არ შეხვდა არაფერი.

და სწორედ ამ დროს გამოჩნდა პირველი, არცთუ ისე ხმამაღალი და ყველასაგან მივიწყებული გასროლა. „თავი მოიკლა“ ქართული ეროვნული ბანკის ლიდერმა, დემურ დვალიშვილმა. არცთუ ბევრმა მიაქცია ყურადღება ამას, რომ ამ გასროლამ მაშინვე ლეგალური გახადა ქართულ „ფულის ტომრებიანთა“ კაპიტალი, წაიღო რა თან, საფლავში, დვალიშვილმა მათი წარმოშობის საიდუმლო. ამ სიკვდილით ერთდროულად იყვნენ დაინტერესებულნი გაჩაღებული კრიმინალური ფრონტის ყველა მხარე. არცერთმა დაჯგუფებამ არ გამოიყენა ეს „თვითმკვლელობა“ პოლიტიკური მიზნებისთვის, მაგრამ თვით მათი დუმილი ყველანაირ საჯარო გამოსვლებზე უფრო მეტყველია.

და მაშინვე მოჰყვა ამ ამბებს შევარდნაძის განცხადება, რომ ის მსხვილი კაპიტალის მომხრე და გამტარებელიცაა. მაგრამ საიდან უნდა მოსულიყო კაპიტალი, თანაც მსხვილი, საქართველოში, რომელიც თავის დროზე მის მიერვე გაიწმინდა „ნეგატიური მოვლენებისგან“?

ამ „თვითმკვლელობას“ კვალდაკვალ მოჰყვა კრიმინალური გარჩევები იმ დაჯგუფებებს შორის, რომელთაც სახალხო ქონება ჩაიჯიბეს. ყურადღებას იქცევს ეროვნულ-დემოკრატთა უცნაური ზიგზაგები, რომლებიც შევარდნაძის ჩამოსვლისთანავე, ფაქტიურად, მმართველ პარტიად იქცნენ, მიიღეს რა ძირითადი „კომერციული“ სამინისტროების პორტფელები, რომელთა შორის აღმოჩნდა ყველაზე „მსუქანი ნაჭერიც“, საბაჟო დეპარტამენტის პორტფელი.

თუ ძველ „ოკკამის სამართებლის“ სახელწოდებით ცნობილ სამეცნიერო მეთოდს გამოვიყენებთ, გ. ჭანტურიას მკვლელობა სულ სხვა სახით წარმოჩნდება. თავდასხმის მომენტისათვის ეროვნულ-დემოკრატები შევარდნაძემ უკვე მოისროლა, როგორც გამოყენებული მასალა და გ. ჭანტურიაც არ წარმოადგენდა რეალურ პოლიტიკურ კონკურენტს არც მისთვის და არც გიორგაძისთვის, რომლის ინტერესებსაც ედპ არ ეხებოდა, რადგან თვით შევარდნაძის ხელშეწყობით, „საკბილო სფეროს“ ძებნაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო ზეწოლა ნავთობბიზნესზე, მაგრამ სათანადო ნიადაგის მომზადების გარეშე. „მხედრიონი“ ჯერ კიდევ ძლიერი იყო და უბრძოლველად გემრიელ ლუკმას



არ დაკარგავდა. პირველი მცდელობა ამ ბიზნესის ხელში ჩაგდებისა უილბლოდ დამთავრდა. გ. გულუა მოკლეს. „მხედრიონის“ ლიკვიდაციისა და ჯაბა იოსელიანის დაპატიმრების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ამჟამად ნავთობბიზნესი ნუგზარ შევარდნაძის საიმედო ხელშია.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ს. ხაბეიშვილზე და იმაზე, რომ მან დიდი შრომა დახარჯა „შევარდნაძის ფონდის“ ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის. სასამართლო პროცესზე ხაბეიშვილს თავი დაკითხვაზე მოყვანილი პარტიზანივით ეჭირა (აღსანიშნავია, რომ იმ პროცესის დროს ადგილი რომ ჰქონოდა სულ მცირე დარღვევებსაც კი, შევარდნაძე პატიაშვილს დიდი ხნის წინ მოუგრეხავდა კისერს. სრულიად აშკარაა, რომ ბრალდება ხელმძღვანელობდა რეალური ფაქტებით), რისთვისაც იგი შევარდნაძემ ციხიდან გამოსვლის შემდეგ გვერდით დაიყენა. მისი უბედურება ის იყო, რომ ბევრი იცოდა. ხოლო



გიორგაძე და მისი უწყება ფულს აკეთებდა სიგარეტის ბიზნესში საგადასახადო შეღავათების შესახებ ბრძანებულებების მფარველობით. მაგრამ ჭანტურიამ შეინარჩუნა თავისი კავშირები საბაჟოში, რომელიც უნდა გადასულიყო შევარდნაძის გარემოცვაში მყოფი პირების კონტროლ ქვეშ. ეს კი სერიოზული საბაბია „გარჩევისათვის“.

ყველაზე მთავარი კი ის, რომ ადამიანი გამოძვრა ჭუჰრიდან და ბოლოს და ბოლოს თავისთვისაც დაიწყო ფულის კეთება. აი, სწორედ ამან დაღუპა იგი, რადგან „პატრიარქის“ პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს მართვა, ამასთანავე მისი ეკონომიკისაც, უნდა იყოს ერთ ხელში, მის ხელში.

საქართველოს მასშტაბით დიდი თანხების წართმევითა და თავისთვის და თავის გუნდისთვის გადანაწილებით შევარდნაძემ ბევრი მტერი შეიძინა. და როგორც ძველრომაული ანდაზა გვამცნობს: ვისიც მრავალთ ეშინიათ, მას მრავალთა უნდა ეშინოდეს. როგორც არ უნდა ფარავდეს პოლიტიკური შირმებით შევარდნაძე თავდასხმებს თავის უძვირფასეს სიცოცხლეზე, მისგან მაინც აშკარად ჩანს კრიმინალური სარჩული.

მე შემთხვევით არ წამომცდენია „უძვირფასესი“, როცა შევარდნაძის სიცოცხლე ვახსენე, გამოთვალეთ, რა გვიჯდება მისი დაცვისა და სპეცსამსახურების შენახვა. ეს „ტონტონ-მაკუტები“ თავის რაოდენობით ჩალე არმიას გაუტოლდებიან, ხოლო თავისი მომზადების ხარისხით და შეიარაღებით ბევრად უსწრებენ მას. უშიშროებისა და შსს-ს, ასევე პრეზიდენტის დაცვის სპეცსამსახურები და პირადი დაცვა სარგებლობენ კოლოსალური პრივილეგიებით, პრივილეგიები კი არსებითად კორუფციაა, მხოლოდ ლეგალიზებული. და პრივილეგიები ყოველთვის მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას. ჩვენს დღევანდელ მმართველებს (განსაკუთრებით საქართველოს მთავარ ისტორიკოსს) უნდა შევახსენოთ, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველა სოციალური რევოლუცია იწყებოდა ლოზუნგით „ძირს პრივილეგიები“. გავიხსენოთ თუნდაც სულ ცოტა ხნის წინანდელი მაგალითი — „პერესტროიკა“, როცა ხალხი სწორედ ამ ლოზუნგით იყიდეს. გავიხსენოთ „წევრთა მზიდები“ და „წევრთა აგარაკები“. ამ პარტიული ბოსების ბრწყინვალე გასვლები და გადაკეტილი ქუჩები. ახლა? ახლაც იგივე, სიფათებიც, კი, მაგრამ ახლა უფრო თავხედურად. ვითომ ვერაფერი ვერ ისწავლეს? თუ კიდევ ნაგვის გროვად გვთვლიან?

მაგრამ ჯერ-ჯერობით გარჩევების თემა დავამთავროთ. გიორგაძეს, როგორც მკვდარ ძაღლს ყველაფერს კიდებენ, სპეცსამსახურების აყვანილმა ხალხმა ყველაფერი აღიარა და ყველაფერში გამოტყდა, რაც აუცილებელი იყო. ჩვენთან როგორც ხდება აღიარებები, უკვე ვიცით გაჭიანურებული „საუკუნის პროცესიდან“, რომელიც ნელნელა კვდება წაყენებული ბრალდებების ნგრევის გამო. ჯაბა იოსელიანი თანამზრახველებიანად ნელნელა მართლდებიან. ბრალდებამ თავისი მთლიანი უსუსურობა დაამტკიცა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან „მხედრიონის“ სასამართლო ჩაფიქრებული იყო, როგორც კრიმინალური კომედიის პოლიტიკური ანგარიშსწორება, ხოლო ამის მაგივრად, ფაქტიურად, მათ წაუყენეს პოლიტიკური ბრალდებები, რაც მათ აზრადაც არ მოსვლიათ.

**ვლადიმერ ხვედელიძე**

**გაგრძელება იქნება**

# «გულს გვტკენს არა ხმამაღალი საყვედური, არამედ სამართლიანი»

„იცით თუ არა თქვენ, რომ ყველა ქართველს უპირველესად ჭირივით ეზარება ანდერძისა და მემუარების დაწერა. კულტურულ ერებში კი საქმე სულ სხვაფრივ არის მოგვარებული. იქ არამცთუ შესამჩნევი პირები ადგენენ საყურადღებო მემუარებს, არამედ დიდის საქმეებზედ განზედ მდგომნიც უტოვებენ მომავალ თაობებს მათ მიერ ნახულ-გაგონილ ამბებს, რითაც ხელს უწყობენ ფრიად საინტერესო მასალების დაგროვებას, თუნდაც ის მასალები დაუმუშავებელიც იყოს". („ქართლოსი", პარიზი, 1939 წ. № 16-18. გიორგი ჟურული. „ქართული მწერლობა" № 3, 1990 წ.).

მიუხედავად წინაპრებისაგან ნაანდერძევი ამბოხი სულისა, ჩემი შეგნებული თუ შეგინებული ცხოვრების დიდი ნაწილი საკუთარი თავის მოთოკვასა და მონური მორჩილებით თვითალზრდას შევალიე უშედეგოდ და ეხლა, ექვს ათეულს მიტანებულს ობიექტურობით თავის დამკვიდრება სრულებითაც არ გახლავთ ახირება. პირიქით, ნახულისა და გაგონილის მიუკერძოებლად გადმოცემაში ვხედავ შინაგანი სულიერი მოთხოვნილებების რეალიზების საშუალებას.

„სკკპ"-ის წევრობისას, თითქმის ყოველთვის ვამბობდი და ვაკეთებდი მხოლოდ იმას, რასაც მოითხოვდა არსებული რეჟიმის კანონი და იდეოლოგია და არა საკუთარი გონება და გულის კარნახი. ასე და ამგვარად პიროვნებისათვის დამამცირებელი, გაორებული კაცის ბუნებით, პირზე ნაძალადევი, ფარისევლური ღიმილით მოვიტანე თავი 55 წლამდე.



1990 წლის 28 ოქტომბერს მე ხელმეორედ დავიბადე ეროვნულ მთავრობასთან ერთად და განვთავისუფლდი იმ საზიზღრობებისაგან, რომელსაც კომპარტიის წევრისათვის დამახასიათებელი აჩრდილი ანუ მეორე „მე" ერქვა და პირველად შევიგრძენი სიტყვა ბედნიერების ჭეშმარიტი მნიშვნელობა.

ეს ბედნიერება მერგო სხვათა თავგანწირვის ფასად ისე, რომ მის მოსაახლოებლად თითიც არ გამინძრევია, გარდა იმისა, რომ უკმარობის გრძნობით გულდამძიმებული, გაორებული კაცის სილაჩრით დავაბოტებდი ამ ქვეყანაზე.

რახან ღმერთმა არ გამწირა და ინება ჩემი ტონობიდან დახსნა და განთავისუფლება, უყოყმანოდ დავდექი იმ ათასების გვერდით ვინც ეროვნული მონაპოვრის შესანარჩუნებლად იღვწოდა. მართალია, ვერ დავიცავით სიმწრით მოპოვებული თავისუფლება, მაგრამ იმ ერთი გურულისა არ იყოს, იქედან ის მაინც დამრჩა, რომ როცა მოვკვდები, ჩემი საფლავის ქვაზე „დაიბადა მკვდარიო კი არა, იცხოვრა ერთი წელიო" დააწერენ.

ამით იმისი თქმა მინდა, რომ ის ხანმოკლე, მაგრამ ბედნიერი დღეების, რომელსაც ნანატრი თავისუფალი საქართველოს აღმშენებლობა ერქვა, მოქალაქეობრივი თანადგომა, ძალა და ენერგია არ დამიკლია. ამდენად 1991 წლის მოვლენების ფონზე ვარ ბევრის მომსწრე და მნახველი", რის თხრობასაც მიუკერძოებლად ვაპირებ ეხლა.

**განჯგონებულთა დემაგოგია**

ვისაც კომუნისტური ახლო წარსულისადმი ნოსტალგია არ გაგნელებიათ, მინდა შეგახსენოთ 1996 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა დაცვის დღესთან დაკავშირებით პროგრამა „დღის" ტელეგადაცემა, რის მეშვეობითაც მოგვეცა საშუალება ეკრანზე გვეხილა ჩვენი კომუნისტურად მოაზროვნე სამართალდამცავი ორგანოების „კორიფეები" ბატონების: მ. უგრეხელიძის, თ. ნინიძის, კ. თარგამაძის სახით (მეოთხე მონაწილე ჩემთვის უცნობია, აქტიურობითაც არ გამოირჩეოდა). ვფიქრობ, დიდად გაუმართლა იმათ, ვისაც ამ დროისათვის შუქი ჰქონდა, რადგან სხვაგვარად მათი ხილვა უბრალო მოკვდავთათვის ათასგვარი გამშვები პუნქტების, რკინის ლობეებისა და მრავალრიცხოვანი დაცვის მიღმა, ისევე შეუძლებელია, როგორც ღმერთისა ან სახელმწიფოს მეთაურისა. ნათქვამია, „გეშინოდეს ბრძენო მისი, ვისაც შენი ეშინია"-ო და რეჟიმის მსახურთა ხალხისაგან ამ გაუცხოვება-თვითიზოლირებასაც თავისებური გამართლება მოეპოვება, ეს არის შიში. ცხადია, რომ ეშინიათ იმათი, ვისაც ექვსი წელიწადია ცემითა და ტყეპით აშინებენ.

რეჟიმის ამგვარი დაცვის სისტემის მიზანია აგრეთვე, დაინერგოს მასებში სასოწარკვეთა, იმედის გაცრუება და ილუზია, რომ ლობეებსა და მრავალრიცხოვან დაცვის მიღმა ძვირადღირებულ კაბინეტებში სხედან არა ჩვეულებრივი, არამედ ზებუნებრივი, — მართვისა და ბატონობისათვის გაჩენილი პირები და რომ მათთან მისასვლელი გზა, უბრალო „რკინის ქალამნებიანი" სამართლის მაძიებელთათვის ყოველთვის იქ თავდება, სადაც იწყება თითქოსდა ამ უკანასკნელთა ბედ-იღბლისათვის გონდატვირთულთა „დაცვა". ამიტომაც მასის უდიდესი ნაწილი განწირულია რეჟიმის მიერ შექმნილი ბიუროკრატიული აპარატის მოწყუსხულ წრეში უაზრო და უშედეგო ტრიალისათვის, მაგრამ ნათქვამია, „ხალხი გულგრილი არ რჩება ბოროტებისადმი და ახსოვსო იგი".

გვაუწყეს, რომ პროგრამა მიჰყავსო ნინო გველესიანს, რომელსაც მეტისმეტი სიფრთხილისა და მღელვარებისაგან, ჭირის ოფლის წინწკლები ოქროსფრად უბრწყინავდა ნაძალადევად ღიმილმოგვრილ სახეზე. ისე, რომ საწყალ გოგონას მიმართ თანაგრძნობით უფრო განვეწყე, ვიდრე მოსასმენად. ეს ბუნებრივადაც მეჩვენა, რადგან ხუმრობა საქმე არ გახლავთ უწყინარ დემოკრატებად და მათ მიერვე გაუბედურებული ადამიანების უფლებების დამცავებად წარმოაჩინო მგლები, რომელთათვისაც არანაირი კანონი არ არსებობს და არც იწერება. ქ-მა ნინომ ისევე გვაუწყა, რომ ამ მეტად სასიხარულო დღის აღსანიშნავ საპატიო თავყრილობას ჟურნალისტებიც ესწრებიანო, რომლებიც ეკრანზე ისევე გაფერმკრთალებული და ულიმღამოდ მოსჩანან, როგორც მათი შეკითხვები. ბოლოს და ბოლოს გაბედულ იქნა შეკითხვა: ირღვევა თუ არა ადამიანის უფლებები საქართველოში, გვყავს თუ არა პოლიტიკური პატიმრები? კანონის მამებს ამ მათთვის „მარტივ" კითხვაზე პასუხის გაცემა არ გასჭირვებიათ. საქმის დიდი ცოდნითა და არსებული რეჟიმით ზურგგამაგრებული კაცების დამაჯერებლობით უპასუხეს, რომ ჩვენთან არავითარი უფლებები არ ირღვევა და პოლიტპატიმრებიც რა თქმა უნდა არა გვყავსო. თუ ვიღაც-ვიღაცეები ამგვარ რამეს აბრალებენ ვინმეს ან თავად იბრალებენ — ეს მათი საქმეაო. ჩვენ კი ვიჭერთ და ვასამართლებთ ყველას მხოლოდ სისხლის დანაშაულობებისათვის და არა პოლიტიკური მოსაზრებისათვისო. ანუ „მდაბიო ენით" რომ ვთქვათ, ვიჭერთ იმას, ვინც არსებულ რეჟიმსა და ჩვენი, ასევე სახელოვან წინაპართა მიერ, საბჭოურ სისტემაში ნაშოვნ-ნაგროვებ ქონებას საფრთხეს შეუქმნის და ამისათვის საგანგებოდ ჩვენს მიერ შედგენილ დაუწერელ თუ დაწერილ კანონებს დაარღვევსო. ჩვენ ისიც გვეყოფა, რომ ერთხელ, როცა კომუნისტებად ვიწოდებოდით, კინაღამ დავკარგეთ ყველაფერი და მერე, გახსოვთ ალბათ, თუ რა ძვირად, რამდენი სახელოვანი ქურდისა და კრიმინალის სიცოცხლის ფასად დაგვიჯდა საკუთარი უფლებების აღდგენა, „გონება-ჩლუნგთა" ეროვნული მთავრობისა და მათი პრეზიდენტის დამხობაო. ანი ჩვენ არ დავუშვებთ საშინელ ახლოწარსულის განმეორებას! დავიჭერთ ყველას, ვინც გაბედავს პროტესტს, რა ფორმითაც არ უნდა გამოხატონ იგი. გავრეკავთ ცხვრებივით. არ დავიშურებთ ხელკეტებს, გენშერის ძაღლებს, ცემა-ტყეპასა და ლანძღვა გინებასაც, ხოლო ვინც შეგვეწინააღმდეგება, დავიჭერთო! ბოლოს და ბოლოს დემოკრატია, ისე როგორც თავის დროზე (კომუნიზმი) სოციალიზმი, ცეცხლით და მახვილით უნდა დავამკვიდროთო, რადგან საუბედუროდ, ყოველგვარ ბრწყინვალე მომავლის მშენებლობას მსხვერპლი და ძალა სჭირდება თურმე, და ეს ძალა, საბედნიეროდ, გაგვაჩნიაო.

მთავრობის მიერ გაცხადებულ სტაბილიზაციის პირობებში, როცა ძირეული მასის დაჩლუნგება-დამორჩილება თითქმის დამთავრებულია, მთავრობის მხრიდან ყოველგვარი ძალადობა უნდა აღვიქვათ, როგორც

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# დაუშვებელია ტენდენციურობა და არაობიექტურობა

სასიხარულოა, რომ უკანასკნელ წლებში მიუხედავად საქართველოს მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა, ტრადიციად იქცა სტუდენტური დღეების ჩატარება, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ სტუდენტთა და ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო კონფერენციები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტობა ამ კონფერენციებისადმი დიდ დაინტერესებას იჩენს და პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად შერჩეული თემების დამუშავებას სასწავლო წლის დაწყებისთანავე იწყებს. ამ მხრივ, გარკვეული გამოცდილება აქვს პოლიტოლოგიის კათედრას (კათედრის გამგე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი რეხვიაშვილი). საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, რომ პოლიტოლოგიის საგნის სწავლება საქართველოში 1991 წელს პირველად დაიწყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში, სადაც მომზადდა დამხმარე სასწავლო-მეთოდური მასალები.

თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნა პოლიტოლოგიის სამეცნიერო საბჭო. პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგში პირველად საქართველოში მომზადდა და წარმატებით იქნა დაცული სამი სადოქტორო დისერტაცია და სხვა.

დღეს პოლიტიკური ცოდნა და კულტურა აუცილებელია ყველა ადამიანისათვის, მისი პროფესიული კუთვნილების მიუხედავად, რამდენადაც ცხოვრობს საზოგადოებაში, იგი აუცილებლად უნდა ურთიერთმოქმედებდეს სხვა ადამიანებთან და სახელმწიფოსთან. ასეთი ცოდნის გარეშე პიროვნება რისკს ეწევა პოლიტიკურ თამაშებში უბრალო ჭანჭიკად და მანიპულაციის ობიექტად გადაიქცეს. პოლიტიკური სოციალიზაციის გარეშე შეუძლებელია სწორი ორიენტირება პოლიტიკურ მოვლენათა რთულ პროცესში. პოლიტიკური ჩვევები, კულტურა და ცოდნა განსაკუთრებით საჭიროა ახალგაზრდა თაობისათვის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტობა მაღალ დაინტერესებას იჩენს პოლიტიკური მეცნიერებისადმი, რაც დაადასტურა პოლიტოლოგიის კათედრის მიერ ჩატარებულმა სტუდენტთა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ. გამოკითხულ სტუდენტთა (400-მდე) 94,7 პროცენტმა კითხვაზე: „პოლიტოლოგიის სწავლება ამაღლებს თუ არა ახალგაზრდობის პოლიტიკურ კულტურას" უპასუხა დადებითად, ხოლო 90,6 პროცენტმა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში ამ საგნის სწავლება აუცილებლად მიიჩნია.

მიმდინარე წელს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის პოლიტოლოგიის სექციაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ფაკულტეტების 30-ზე მეტმა სტუდენტმა. საინტერესო და



შინაარსიანი მოხსენებებით გამოვიდნენ სტუდენტები: ი. მჭედლიშვილი, ზ. ჯიქია, ე. ყანჩაშვილი, ნ. ხუციშვილი, ხ. ბეჟიტაშვილი, ი. შიშნიაშვილი, რ. არველაძე, ვ. კოხრეიძე, გ. ჯიბლაშვილი და სხვა. აქედან პოლიტოლოგიის კათედრამ ხუთი სტუდენტის მოხსენებას რეკომენდაცია მისცა რესპუბლიკურ კონფერენციაზე გასატანად. მაგრამ სამწუხაროდ, დასანანია, რომ რესპუბლიკური კონფერენციის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სექცია, რომელიც ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა, პოლიტოლოგიის სექცია ცალკე გამოყოფილი არ იყო, რაც ჩვენთვის ყველაზე გულსატკენია. ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს ფაქტობრივად არ მოუსმინეს, საპრიზო ადგილებიც ტენდენციურად და არაობიექტურად, მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებზე განაწილდა, რამაც სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებზე უარყოფითად იმოქმედა. ჩვენი აზრით, უფრო მეტი მოფერებისა და ყურადღების ღირსია სტუდენტი ქიმიკოსი და გეოლოგი, ენერგეტიკოსი და მეტალურგი, რომელიც მოხსენებით პოლიტიკურ მეცნიერებაში გამოდის, ვიდრე ისტორიკოსი ან სოციოლოგი, ფილოსოფოსი ან ფილოლოგი.

მიგვაჩნია, რომ მომავალში რესპუბლიკურ კონფერენციებში მონაწილე სტუდენტებისადმი მეტი ყურადღებაა საჭირო ყველა დონეზე, ხოლო საქართველოს განათლების სამინისტრომ უფრო მეტი ყურადღება გამოიჩინოს რესპუბლიკური კონფერენციების ჟიურის პრინციპული და ობიექტური წევრების შესარჩევად, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი მიკერძოება, „ჩაწყობა" და არაობიექტურობა. რესპუბლიკურ კონფერენციებში ყველა მონაწილე სტუდენტი სამახსოვრო სიგელითა და სიმბოლური საჩუქრებით უნდა დაჯილდოვდეს.

**შოთა თეთვაძე, პროფესორი**
**ოთარ ძოჩორაძე, დოცენტი**

# გაზეთ «საქართველოს» რედაქციას

მიმდინარე წლის 22-25 მაისს გაზეთ „საქართველოს" 37-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „არასამთავრობო ორგანიზაციები პატიმრებს აბუნტებენ?!", სადაც მკითხველებს თავიანთ მოსაზრებებს უზიარებენ პარლამენტის პენიტენციალური სისტემისა და რეფორმების ქვეკომიტეტის თავმჯდომარე ქალბატონი ელენე თევდორაძე და სასჯელთა აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბატონი გივი ყვარელაშვილი. გამოქვეყნებულ წერილზე პასუხის დაწერა ქალბატონ ელენე თევდორაძის ერთმა ფრაზამ გადამაწყვეტინა, სადაც ქალბატონი ელენე აღნიშნავს, რომ „ორი წლის წინ, როცა ქუთაისის იზოლატორში მივდიოდი, გზაში გამვლელმა ქალბატონებმა მითხრეს ასეთი რამ: ყოველთვე დადიან წარმომადგენლები არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და ხალხში აგროვებენ 1 ლარს, ამბობენ, რომ ეს არის „პატიმართა დახმარების ფონდი."

აღნიშნული ფრაზა აუცილებლად თხოულობს განმარტებას და დაზუსტებას, რამეთუ ფართო საზოგადოება შესაძლებელია შეცდომაში შეიყვანოს. რამდენიმე წლის წინ აღნიშნულ თემაზე მეგობრული საუბარი გვქონდა მე და ქალბატონ ელენე თევდორაძეს პარლამენტში, სადაც ქალბატონ ელენეს ცნობის სახით განვუმარტე, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, რომელიც ადრე ჩვენამდეც მოვიდა, გადავამოწმეთ. ორგანიზაციის წევრებს დავავალე დაეფიქსირებინათ ამგვარი ფაქტების არსებობა.

მათ არამარტო დააფიქსირეს, არამედ წარმომიდგინეს საბუთიც, რომელსაც ხელს აწერს სრულიად საქართველოს პატიმართა საძმოს თავმჯდომარე ი. მინდორაშვილი. აღნიშნული საბუთი მაშინ გაუციათ, როცა ფირმის წარმომადგენლებს განუცხადებიათ — „ვინმემ რომ შეგვამოწმოს, ფული ვის მივეცითო." რა თქმა უნდა, ამგვარი ქმედება აღმაშფოთებელია, რის გამოც 1996 წლის გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში" (19(11948) 13-19 სექტემბერი) გავაკეთე კომენტარი, რომელიც დაიბეჭდა სათაურით „ეხმარებიან კი?" ამრიგად, უბრალოდ, გაკვირვება გამოიწვია ამ ფრაზის ინტერპრეტაციამ. ქალბატონ ელენეს ნამდვილად შეეძლო ფაქტების შესაბამისი განცხადება გაეკეთებინა. მაგრამ ისმის ბუნებრივი კითხვაც — ორი წლის დუმილის შემდეგ?

მეორეც: ქალბატონი ელენე აღნიშნავს, რომ „ქუთაისში იზოლატორში მივდიოდი და გამვლელმა ქალბატონებმა მითხრესო", რამაც ჩემში გაოცება გამოიწვია. სხვათაშორის, ჩვენთან ყოველდღე ათობით განმცხადებელი მოგვმართავს, ამასთან ერთად ყოველდღიურად ვხვდებით ათობით საქართველოს მოქალაქეს, რომლებიც ურთიერთსაუბარში ათასგვარ სერიოზულ ბრალდებებს გამოსთქვამენ. როგორც სახელმწიფო უწყებების, ასევე კონკრეტული პიროვნებების მისამართით. არცერთი მათგანი საზოგადოების სამსჯავროზე არ გამიტანია, რადგანაც მიმაჩნია, რომ ჩვენი ორგანიზაცია ემსახურება ად-



ამიანის უფლებათა დაცვის უზენაეს პრინციპებს, ჩვენის მხრივ ამგვარი ქმედება იქნებოდა უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეში დარღვევა. კომენტარი კი მკითხველებისთვის მიმინდვია.

ერთი შეხედვით იქმნება სურათი, რომ თითქოს მიმდინარეობს ერთიანი, გამიზნული აქცია არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციისათვის. აქ წერტილის დასმა შეიძლებოდა, რომ არა ამავე წერილში ბატონ გივი ყვარელაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება. მან გააკეთა განცხადება პატიმართა უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების კოლონიებში შესვლის აკრძალვის შესახებ. აღნიშნული განცხადების მიზეზად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ცალკეული პიროვნებების მიერ კოლონიებში ამბოხების მოწყობის მცდელობა დაასახელა და მოსაზრებაც გამოთქვა, რომ „არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა მაქინაციებითა და ინტრიგანული წაქეზებით ცდილობენ ჯიბის გასქელებას?" ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ქალბატონმა ელენე თევდორაძემ მართებული კომენტარი გაუკეთა გ. ყვარელაშვილის იმ განცხადებას, სადაც აღნიშნულია, რომ „არასამთავრობო ორგანიზაციებს აუკრძალეს სასჯელთა აღსრულების ადგილებში შესვლა." მე მხოლოდ შემდეგს დავამატებდი, თუ ასე ჩარაზავთ სასჯელთა აღსრულების დაწესებულებათა კარებებს და ამაზე ხელისუფლება ტაშს დაუკრავს, მაშინ ეჭვგარეშეა ის, რომ სახელმწიფოში ფეხი მოკიდებული აქვს ტიპიურ პოლიციურ რეჟიმს და ნურავის ექნება იმის პრეტენზია, რომ საქართველოს დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოებისაკენ და გამჭვირვალე საჯაროობის შექმნისაკენ მივდივართ. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ თითქოს „არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ ამბოხების მოწყობას", ამგვარმა განცხადებებმა არანაკლები გაოცება გამოიწვია და ამაზე იტყვიან სწორედ სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. საინტერესოა, რატომ არ ასახელებს ბატონი გივი, რომელი ორგანიზაცია აქვს უშუალოდ მხედველობაში? და თუ გააჩნია საფუძვლიანი საბუთი, როდესაც ბატონი გივი აცხადებს, რომ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ასობით სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელს იხდიან თქვენდამი რწმუნებულ სასჯელთა აღსრულების დაწესებულებებში, ხომ არ შეიძლება ხელაღებით განვაცხადოთ, რომ ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა ჩაიდინეს დანაშაულებრივი ქმედებები, აქედან გამომდინარე ამჟამად სამართალდამცავ უწყებებში, ყველანი დანაშაულის ჩამდენი ბრძანდებით-თქო?! უბრალოდ, ამის უფლებას არ მივცემ ჩემს თავს. დამეთანხმებით, რომ ასეთ კონტექსტში ყველას გაიგივება მიზანშეუწონელი და აბსურდულია.

კომენტარი მკითხველისთვის მიმინდვია.

P. S. ამასთან ერთად ვსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ ქალბატონ ელენე თევდორაძეს დაჯილდოვებას. ვუსურვებ მომავალშიც გარკვეულ საქმიანობას პატიმართა უფლებების დაცვის სფეროში.

**გიორგი თევზაძე**
***სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ფონდის პრეზიდენტი***

(გაგრძელება. დას. იხ. გაზ. „საქართველო" №38)

# აფხაზებზე და აფხაზეთზე სინამდვილე უნდა ვწეროთ

ბატონო ნოდარ! თქვენ როცა აფხაზებს ეხებით და აფხაზეთის ეთნიკურ პროცესზე ლაპარაკობთ, ვერ განსაზღვრავთ იმას, რომ ამ შემთხვევაში აფხაზეთში ეთნიკური პროცესი — სხვადასხვა ეთნიკური ელემენტების შერევა და შერწყმა ბუნებრივად და ხანგრძლივ დროში კი არ განხორციელდა, არამედ ერთბაშად, რამაც საზოგადოებრივი ყოფისა და ურთიერთობის სწრაფი შეცვლა გამოიწვია. საქმე იმას ეხება, რომ საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანული ტრადიციის ადამიანი არ დაუშვებდა თავისი მიცვალებულის ხის კენწეროზე ჩამოკიდებას, ან ზღვის სანაპიროზე საუკუნეთა მანძილზე მცხოვრები თევზეულის ბილწ და საზიზღარ არსებად მიჩნევას, მით უფრო, რომ თევზი ისტორიულ აფხაზეთშიც საეკლესიო ბეგარა-გადასახადის საგანს შეადგენდა.

საეჭვო არ შეიძლება იყოს ის, რომ საშუალო საუკუნეებში (მე-9 — მე-15 სს.) აფხაზეთი განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის მხარე იყო. ნ. ბერძენიშვილის განსჯით „ამას მოწმობს აწინდელი აფხაზეთის არქიტექტურული ძეგლები და უცბად ხდება ძირფესვიანი გარდატეხა... მე-15 საუკუნიდან აფხაზეთი წარმართობს, ზედიზედ უქმდება საეპისკოპოსები, ქრება ქრისტიანობა — და ეს ხდება არა იმის გამო, რომ აქ ოსმალეთმა ძალით დანერგა მაჰმადიანობა, როგორც ეს მოხდა მესხეთში, არამედ სულ სხვა საფუძველზე" (იქვე). რა თქმა უნდა, ამ სულ სხვა საფუძველში ნ. ბერძენიშვილი გულისხმობს იმას, რომ ის ხალხი, ვისაც ასეთი ზნე და წესი ჰქონდა, აფხაზეთის აბორიგენი არ იყო, არამედ ჩრდილოეთიდან მოსული, რომელმაც თავისი ზნე და ხასიათი წამოიღო და, ბუნებრივია, ძალდატანების გარეშე შეინარჩუნა.

თუ აფხაზეთის მოსახლეობის ერთ ნაწილში ასეთი სურათი არსებობს, სამაგიეროდ მეორე ნაწილი ჯერ კიდევ, ძველებურ ცხოვრებას განაგრძობს. ასეთთა შორის იყო მმართველი წრეც — შერვაშიძეების, მარშანიების, მარღანიების, აჩაბაძეების, ჩხოტუებისა და სხვათა სახით. რასაკვირველია, თავის დროზე, ასეთთა შორის იყვნენ: ჯინჯოლიები, კაკალიები, კოლონიები, ჩიტაიები, თორანავები, ჭატარიები, ჯოლორიები, ხალვაშები, ჭანიები, ფილიები, ყურუები, ქირიები, ჯინჯიები, კვეკვესქირები, ლასურიები და სხვა მრავალი (იხ. ხელახალი გაქრისტიანების სიები, გაზ. „საქართველოს" სპეცნომერი „აფხაზეთი", 1997 წ. ივლისი).

არა მგონია კვლავ იმის მტკიცება იყოს საჭირო, რომ ძველი აფხაზები სულ სხვა ხალხი იყო თავისი ენითა და კულტურით, რასაც ამტკიცებს ჩვენამდე მოღწეული ადგილობრივი სასულიერო (საეკლესიო) ხელნაწერები, საეკლესიო-სამონასტრო (აგრეთვე საერო) ძეგლები, მათი წარწერები, ფრესკები, და არქიტექტურა, ეკლესიათა მღვდელ-მთავრებისა და მსახურთა სიები, მათი ყმა-მამულებისა და ბეგარა-გადასახადთა ნუსხები და ა. შ. ასევე აფხაზეთის ძველი ტოპონიმიკა, ჰიდრონიმიკა და სხვ. სადაც მე-16 საუკუნემდე აფსუათა უშუალო კვალი თითქმის არ ჩანს.

ბატონო ნოდარ! ნუთუ ეს არაფერს ნიშნავს და არაფერზე მიგანიშნებთ? ნუთუ ყველაფერი ეს არ ამტკიცებს იმას, რომ არსებობდნენ ძველი აფხაზები (რომლებიც სულ სხვა იყვნენ!) და არსებობენ თანამედროვე ე.წ. აფხაზები, ანუ მათი პირით რომ ვთქვათ — აფსუები (თავიანთი ენით, ზნე-ჩვეულებით და მთელი კულტურით), რაც მოარული და ყალბი ჭორები კი არა, უტყუარი სინამდვილეა — ფაქტია. ამას მეცნიერულად დამტკიცება არ სჭირდება, არამედ დანახვა. თქვენ კი თქვენსას ამბობთ, არ ვიცი რატომ, რისთვის, გჭირდებათ ეს?!



და მაინც იმაზე — არსებობს თუ არა აფსუა? აი რას ბრძანებთ თქვენ ამაზე: „ეთნონიმი აფსუა ქართულ ენაზე საერთოდ არაა დადასტურებული, აფხაზეთის — ძველის და ახლის აღსანიშნავად ქართულად — ისტორიულადაც და ამჟამადაც არსებობს მხოლოდ ერთი ეთნონიმი — „აფხაზი" და, რასაც უნდა უწოდებდნენ აფხაზნი თავის თავს, როგორიც უნდა იყოს ცალკეული საგვარეულოთა გენეტიკური წარმომავლობა, მას, ვინც დღეს აფხაზად თვლის, ჩვენ ვალდებულნი ვართ ვუწოდოთ მხოლოდ „აფხაზი". „აფსუა-აფსუები" მეცნიერულად არაკანონიერია!..." (ნ. ლომოური, იქვე).

მაპატიეთ, მაგრამ პირადად ჩემთვის და თანამედროვე აფხაზთა ისტორიის არსში გათვითცნობიერებული ადამიანისათვის ასეთი უცნაური და კატეგორიული („მეცნიერული") მსჯელობა უხერხული და მიუღებელია, აი რატომ: მართალია ძველ ქართულ ლექსიკაში „აფსუა" სახელწოდება არ იხმარებოდა, ბუნებრივია იმიტომ, რომ ის საქართველოს იმ მიწა-წყალზე, სადაც ახლა — არ არსებობდა (შესაძლებელია მას ცვლიდა „აფსარი", რომელიც მე-18 საუკუნეშია დაფიქსირებული — „ქართლის ცხოვრების" ჩანართში), მაგრამ ეს იმას მაინც არ ნიშნავს, რომ ის საერთოდ არ არსებობდა. ეს რომ ასე იყოს, მაშინ რა ვუყოთ მეზობელი ადიღე-ჩერქეზეთის 15-მდე ტომის და დაღესტნელთა — 30-მდე სახელწოდებას, რაც ქართულში არსად ჩანს (არ არსებობს). რა ვუყოთ აგრეთვე ათასობით სხვა თვითსახელწოდებებს, რომლებიც ქართულში საერთოდ არაა დადასტურებული? მაინც ვერ გავიგე, რატომ უნდა აგვეკრძალოს ჩვენ იმ სახელწოდების ხმარება, რასაც ხალხი თავის თავს უწოდებს.

ბატონო ნოდარ! არა მგონია თქვენ თქვენივე თვალებით არ შეგემჩნიათ ტელევიზორში აფხაზეთის ომის პერიპეტიების ყურებისას ტანკების გალაულაუებული სახელწოდება „აფსნი", არა მგონია არ იცოდეთ აფხაზეთის სოფლების, მდინარეთა და ადგილთა ათეულობით ახალი აფსუური სახელწოდება, რომელიც არცთუ შორეულ დროში დაწესდა (მეშინია ამ საგანზე სერიოზული თავა აფხაზეთიდან ლტოლვილებმა სასაცილოდ არ ჩათვალონ).

მაშ, რატომ არ უნდა ვუწოდოთ იმ ხალხს ის სახელი, რასაც თავის თავს უწოდებს, რატომაა ეს „მეცნიერული სიყალბე", „არაკანონიერი", „პოლიტიკური სიბეცე" და კიდევ ვინ იცის რა არა?! არ ვიცი, რა საჭიროა საკითხის ასე დრამატიზირება და პოლიტიზირება. ასეც რომ იყოს, მე არ მსურს პოლიტიკას გადავაყოლო სინამდვილე, მით უფრო, მომსწრე ვარ პოლიტიკის ღრმა და ხშირი ცვლილების და არ მინდა სასაცილოდ გავიხადო საქმე. ყველამ თავისი საქმე აკეთოს, მეცნიერმა თავისი, პოლიტიკოსმა თავისი და ა. შ. მაშინ მოსანანიებელი არაფერი გვექნება.

მაინც მაოცებს იმის თქმა, რომ „აფსუას" ხმარება „მოარული ჭორის აყოლა და მეცნიერული სიყალბე თუ სიბეცე იყოს." როგორ გეკადრებათ, არცთუ ცოტა ხანია, რაც აფხაზებისათვის დამწერლობის შემუშავება მიმდინარეობდა — ხან ქართული, ხან ლათინური და ხან რუსული გრაფიკის საფუძველზე და ვინც ჯერ არს, ყველამ კარგად იცის, რომ საქმე აფსუებს და მათთვის დამწერლობის შექმნას ეხება.

აფსუა თვისახელწოდება, რომ ჩვენს ცნობიერებასა და ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა და არსებობის უფლება მოიპოვა, ამაზე ლიტერატურის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ამის დასადასტურებლად მხოლოდ ერთ მაგალითს დავახსიათებ. ვინ არ იცნობს ენათმეცნიერ ბატონ თამაზ გამყრელიძეს, რომლის შედარებით მცირე მოუცლობის გამოკვლევაში — „ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან („აფხაზ-აბაზგ" და „აბაზა-აფსუა", ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის, იხ. ჟურნალი „მაცნე" ისტორიის... სერია, 2, 1991) — აფსუა სახელწოდება სათაურშია გამოტანილი. ამიტომ მისი არსებობის უარყოფა მეცნიერული თვალსაზრისით შეუძლებელია და რბილად რომ ვთქვათ, მხოლოდ პოლიტიკური თამაშია, რაც ჩემი საქმე არ არის.

ბატონო ნოდარ! შესაძლებელია თვითსახელი „აფსუას" წოდება მართლაც ვინმეს სწყინს(?), სიმართლე ვთქვა, ამაზე მე გამოკითხვა არ ჩამიტარებია, მაგრამ თუ ასეა, ესეც ხომ რაღაცის მანიშნებელია. ვფიქრობ, იმისი, რომ თავის გენეტიკურ-ეთნიკური წარმომავლობით ყველა თანამედროვე აფხაზი აფსუა არ არის (ფაქტია, რომ თანამედროვე აფხაზთა აბსოლუტური უმრავლესობა ისტორიულად მაინც ქართველია), ამიტომ ბუნებრივია, ვისაც თავისი წარმომავლობის გრძნობა შერჩა, იმას ასეთი რამ უსათუოდ ეწყინება. ცნობილია, რომ თავად ალექსანდრე შარვაშიძეს რუსმა მოხელემ აფხაზი თავადი უწოდა, მაგრამ მან სიამაყით მიუგო, რომ „აფხაზი კი არა, არამედ ქართველი თავადია". იმიტომ, რომ ძველი აფხაზი თავისი ფართო მნიშვნელობით ქართველი იყო. მაგრამ რუსეთის კოლონიური პოლიტიკისა და ბოლო დროის აფსუა ხელისუფალთა ძალმომრეობის საფუძველზე, ეროვნული კუთვნილება შეეცვალა — მრავალი ქართველი გახდა იძულებული ეთნიკურ-ეროვნული წარმომავლობა დაემალა, რასაც ჩვენმა ბედოვლათმა ხელისუფლებამ ყურადღება არ მიაქცია. შედეგიც სახეზეა. სხვანაირად შეუძლებელია იმის ახსნა, რომ ერთი ძმა ქართველია, მეორე აფხაზად იწერება, ერთი შვილი — ქართველად, ხოლო მეორე — აფხაზად და ა. შ. სხვანაირად არც იმის ახსნა შეიძლება, რომ ჩვენდამი დამოკიდებულებაში ყველაზე სასტიკი გააფხაზებული ქართველი აღმოჩნდა. ის კი სწორია, რომ ამა თუ იმ პირს (მოქალაქეს) ჩვენ ის უნდა ვუწოდოთ, რასაც ის თავის თავს უწოდებს, რომ საქმეს ზოგჯერ გენეტიკური წარმომავლობა კი არ წყვეტს, არამედ თვითშეგნება, ოღონდ მოცემულ შემთხვევაში, როცა საქმეს ძალადობა განსაზღვრავს, ძნელია ნებაყოფილებაზე ლაპარაკი.

ჩვენს ოპონენტს ვერ დავეთანხმებით ვერც იმაში, რომ ტერმინმა „აფსუამ" კნინობითი და დამამცირებელი შინაარსი შეიძინა და ამის გამო საგანს თავისი სახელი არ ვუწოდოთ. ფაქტი ისაა, რომ ამა თუ იმ ხალხის სახელი საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა არა ერთეული ადამიანების ნება-სურვილის, არამედ დამსახურების მიხედვით. ამიტომ უცნაური ჩანს ჩვენი ოპონენტის მსჯელობა — თითქოს აფსუას სახელწოდება დამამცირებელია და ამიტომ არ გავბედოთ მისი ხმარება. აი რას ამბობს ჩვენი ოპონენტი: „აბა გავიხსენოთ, ჩვენ ერთმანეთს ხშირად მივმართავთ — „კაცო" და ეს არ გვწყინს, მაგრამ რუსებმა რომ „კაცო" შეგვარქვეს, ხომ გვწყინს და რუსმა რომ „ეი კაცო" დაგვიძახოს, არა მგონია დადებითი რეაქცია გვქონდეს. ამდენად, ეს ეთნონიმი მეცნიერულად მიუღებელია და პოლიტიკურად მავნე"

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# ქვეყანა კანონებმა უნდა მართოს და არა ცალკეული პირების ხუშტურებმა

საქართველოს კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონი, არა მარტო ანიჭებს მოქალაქეებს უფლებებსა და მოვალეობებს, არამედ მათი განხორციელების იურიდიულ გარანტიებსაც იძლევა. მართალია ერთის მხრივ უფლებას, მეორეს მხრივ მოვალეობას შეესაბამება, მაგრამ თავის მხრივ კონსტიტუციური უფლებაც ავალდებულებს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს, იქონიოს გარკვეული მოვალეობები. ესე იგი უფლება თავის მხრივ სუბიექტს გარკვეულ ასპექტში მაინც ზღუდავს. ამის დასტურად საქართველოს კონსტიტუციის ორმოცდამეოთხე მუხლის მეორე პუნქტიც გამოდგება, სადაც აღნიშნულია, რომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები. აღნიშნული ნორმით კონსტიტუციამ პირდაპირ აღიარა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა თანასწორობის გარკვეული პრინციპი.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მეშვიდე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს. მაშასადამე, ზემო აღნიშნული მუხლით აღიარებულია საკუთრების ხელშეუხებლობა, როგორც პიროვნების ხელშეუვალი უფლება. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ზოგჯერ ჩვენი პარლამენტი ნებითა თუ უნებლიედ ისეთ კანონებს იღებს, რომელიც აშკარად ლახავს მოქალაქეთა უფლებებს და ესა თუ ის ნორმა, ან ნორმის ნაწილი წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციასთან. კერძოდ, ამ წერილში ყურადღებას გავამახვილებთ კანონპროექტზე „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ", რომელმაც უნდა მოაწესრიგოს საცხოვრებელი სადგომი მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1997 წლის 25 ნოემბრამდე წარმოშობილი ის სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვენ.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტის მესამე მუხლის პირველი პუნქტი და მეხუთე მუხლი პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის ოცდამეერთე მუხლს, კერძოდ, მესამე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ თუ მოსარგებლეს უკავია ერთ სულზე 12 კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართის მქონე სადგომი, სადგომის მესაკუთრეს ნამეტ ფართზე გააჩნია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 562-ე მუხლი კი საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას ეხება პატივსადები მიზეზების გამო. კერძოდ, აღნიშნული ხელშეკრულების შეწყვეტა გამქირავებელს მხოლოდ პატივსადები მიზეზების არსებობისას შეუძლია, ესე იგი: თუ ა) დამქირავებელმა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები ბრალეულად, მნიშვნელოვნად დაარღვია; ბ) გამქირავებელს საცხოვრებელი სადგომი სჭირდება უშუალოდ თვითონ ან ახლო ნათესავისათვის; გ) დამქირავებელი უარს ამბობს გადაიხადოს გამქირავებლის მიერ შემოთავაზებული გაზრდილი ქირა, რომელიც შეესაბამება ბაზარზე არსებულ ბინის ქირას; დ) დამქირავებელმა გამქირავებლის მიმართ ჩაიდინა ისეთი ამორალური ან მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც შეუძლებელს ხდის მათ შორის ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებას და ა. შ.

ჩემი აზრით, კანონპროექტის „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" მესამე მუხლის პირველი პუნქტი არაკონსტიტუციურია, რადგან ამოქმედების შემთხვევაში ეწინააღმდეგება კონსტიტუციის ოცდამეერთე მუხლს, რომლის მიხედვითაც საკუთრება და მემკვიდრეობის უფლებაა აღიარებული. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტის აღნიშნული მუხლი დააწესებს შეზღუდვას მესაკუთრის უფლების სრულ რეალიზაციაში, რადგან მესაკუთრე ფაქტობრივად ვერ უზრუნველყოფს საკუთარი შეხედულებისამებრ ისარგებლოს და განკარგოს თავისი საკუთრების ობიექტი. თავის მხრივ, საკუთრება კი ნიშნავს მესაკუთრის უფლებას, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით. არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება სხვათა უფლებები. მაგრამ ჩემი აზრის ოპონენტები თუ აღნიშნულ ნორმას მხოლოდ საკუთრების შეზღუდვად ჩათვლიან, უფრო მეტსაც გეტყვით, მართალია, კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტში საკუთრების შეზღუდვაზე არ არის ლაპარაკი, მაგრამ აღნიშნული პუნქტი თავის მხრივ ნიშნავს, რომ საკუთრების უფლების შეზღუდვაც კი დაუშვებელია.

რაც შეეხება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონპროექტის მე-5 მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ მოსარგებლე ვალდებულია დააკმაყოფილოს მესაკუთრის მოთხოვნა სადგომის გათავისუფლების თაობაზე, თუ მესაკუთრე მოსარგებლეს საკუთრებაში გადასცემს სხვა საცხოვრებელ სადგომს იმავე დასახლებული პუნქტის ფარგლებში, კანონით დადგენილი სანიტარული ნორმების მოთხოვნის შესაბამისად, ერთ სულზე არანაკლებ 9 კვადრატული მეტრის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს იმ ფართისა, რომელიც ეკავა მოსარგებლეს, ან ადგილი ექნება მესაკუთრის მიერ აღნიშნული საცხოვრებელი სადგომის ღირებულების კომპენსაციას, აშკარად ლახავს მესაკუთრის უფლებებს, რადგანაც გამოდის, რომ მდგმურს ბინის მესაკუთრემ სხვა საცხოვრებელი ფართი უნდა გადასცეს საკუთრებაში, რათა საკუთარ ქონებაზე თავისი კანონიერი უფლებები განახორციელოს. ე. ი. აღნიშნული მუხლი მთლიანად წინააღმდეგობაშია საქართველოს კონსტიტუციის როგორც 21-ე, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლთან. გამომდინარე აქედან, საქართველოს პარლამენტმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოს კანონი ასეთი რედაქციით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მესაკუთრეებს ისღა დარჩენიათ, კანონის ძალაში შესვლის შემდეგ იხელმძღვანელონ რა კანონით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ 39-ე მუხლის პირველი პუნქტით და კონსტიტუციური სარჩელი შეიტანონ საკონსტიტუციო სასამართლოში. აღნიშნული ნორმატიული აქტის 3.1 და მე-5 მუხლის არა კონსტიტუციურად ცნობისა და ბათილად ჩათვლის მოთხოვნით. ამის შემდეგ ვიტოვებთ იმედს, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც კონსტიტუციური კონტროლის უმაღლესი სასამართლო ორგანო და მისი მოსამართლენი, რომელნიც მხოლოდ კონსტიტუციის დაცვის სადარაჯოზე დგანან, არ დაუშვებენ მოქალაქეთა უფლებების შელახვას. უფრო მეტიც, გამოდის, რომ მე-5 მუხლი 1997 წლის 25 ნოემბრამდე მდგმურის სტატუტით მცხოვრებ პირებს საკუთრებაში უკანონებს სხვის საკუთრებას, რაც იურიდიული ნონსენსია და ლახავს მესაკუთრეთა ინტერესებს.

გასაგებია, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის პოზიციაც, რადგან მესაკუთრეთა უფლების სრულმა დაცვამ, შეიძლება გამოიწვიოს ადრე მდგმურის სტატუსით მცხოვრებ პირთა უსახლკაროდ დატოვება. მოგეხსენებათ, სახელმწიფო არ იღებს კონსტიტუციურად ვალდებულებას მოქალაქეთა ბინით უზრუნველყოფის თაობაზე და ეს ხალხი ფაქტიურად ქუჩაში აღმოჩნდება, მაგრამ კონსტიტუცია უზენაესი კანონია, არავის არაფრის ხარჯზე არა აქვს უფლება დაარღვიოს პიროვნების კანონიერი უფლებები, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 44-ე მუხლში შავით თეთრზე იმპერატიულადაა ჩამოყალიბებული: „საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები".

ამიტომ, თუ სამართლებრივი სახელმწიფოს შენების გზას ვადგავართ, კანონებმა უნდა მართონ ქვეყანა და არა ცალკეული პირების ხუშტურებმა.

**კობა კაპანაძე**

## ქართული ემიგრაცია

# საქართველო ბოლშევიკთა უღელქვეშ

**სერგო ყურულიშვილი**

**განათლებით ინჟინერ-არქიტექტორი. პოეტი და ჟურნალისტი პოლონეთში, ქართული ემიგრაციის ცნობილი მოღვაწე 1918-1925 წწ. სერგო ყურულიშვილი დაიბადა 1894 წლის 4 სექტემბერს საჩხერის რაიონში ვანო ყურულიშვილისა და ეკატერინე ნაზარიშვილის ოჯახში. იგი ემიგრაციაში საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918 წელს წავიდა. ამიტომაც არ ეკუთვნის ემიგრაციის იმ ტალღას, რომელიც პოლონეთს საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ შეეფარა. ვარშავაში დასახლებისთანავე სერგო ყურულიშვილმა აქტიური საქმიანობა დაიწყო იქ მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა მცირე ჯგუფთან ერთად. სერგო ყურულიშვილი პოლონელ მკითხველს ყოველკვირეული ჟურნალის „Pizymierze" („კავშირი") ფურცლებზე აცნობდა იმდროინდელი საქართველოს პრობლემებს. საინტერესოა, რომ ამ ჟურნალს 1921 წლიდან გამოსცემდა პოლონეთში მოქმედი განთავისუფლებულ ხალხთა ურთიერთდაახლოების კავშირი. სერგო ყურულიშვილი 1920 წელს გახდა საქართველო-პოლონეთის კლუბის დამფუძნებელთა კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო კლუბისთვის სტატუსის მინიჭების შემდეგ მისი საბჭოს თავმჯდომარეც. იმავდროულად რედაქტორობდა კლუბში გამოცემულ ჟურნალ „ამირანს", რომლის ფურცლებზე იბეჭდებოდნენ იმ დროს ცნობილი მეცნიერები, მწერლები და ჟურნალისტები, როგორებიც იყვნენ პროფესორები ანტონ სუიკოვსკი და იან კოურთენაი, სტანისლავ სედლეცკი, ვლადიმერ ვაკარი, სტეფან გრაალევსკი, სტეფანია პოდხორსკა-ოკოლოვი, ვაცლავ ბოროვიჩი და სხვ. ზოგიერთ წერილსა და ლექსს როგორც საკუთარი სახელით, ასევე „ტაიფუნის" ფსევდონიმით თავადაც ათავსებდა ჟურნალის ფურცლებზე. ამ კომიტეტის შეწევნით 1922-23 წლებში გამოიცა, აგრეთვე, სხვა ჟურნალებიც: „Pro Georgia", „Pro Patria".**

**სერგო ყურულიშვილი გარდაიცვალა 1925 წლის 25 მარტს. ნეკროლოგებში იუწყებოდნენ სერგო ყურულიშვილის უდიდესი ენერგიის შესახებ, რაც გამოიხატა პოლონეთში საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ყოფის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებში, ბროშურებში, ლექსებში, მთელ მის საქმიანობაში. დღეს უკვე დადგენილია, რომ სერგო ყურულიშვილი იყო ინიციატორი და აქტიური მონაწილე ოციანი წლების დასაწყისში ვარშავაში წამოწყებული ნებისმიერი კულტურულ-ორგანიზაციული საქმისა.**

**გთავაზობთ 1921 წელს გამოქვეყნებულ სერგო ყურულიშვილის ისტორიულ ნარკვევს „საქართველო ბოლშევიკთა უღელქვეშ". პოლონურ ენაზე შესრულებული ეს ნაშრომი შემონახულია ვარშავის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.**

*მთარგმნელისაგან*

საქართველოზე თავდასხმის სამწუხარო შედეგები ნათლად წარმოგვიდგენენ იმ მეთოდის სახეს, რომლებსაც ბოლშევიკები თავიანთი მიზნების მისაღწევად იყენებდნენ. ამიტომ ეს მეთოდები საგულდაგულოდ უნდა იქნეს შესწავლილი, ხოლო დასკვნები გაფრთხილებად უნდა იქცეს ბოლშევიკური რუსეთის მეზობელი ყოველი ქვეყნისათვის, რათა მათ შეძლონ თავიანთი დამოუკიდებლობისა და სუვერენული უფლებების დაცვა.

ყველაზე არსებითი და, როგორც მე მგონია, ერთადერთი დამსახურება ისტორიის წინაშე რუსეთის რევოლუციისა ის იყო, რომ მან დაანგრია ისეთი ხალხთა საპყრობილეს კედლები, როგორსაც მეფის რუსეთის იმპერია წარმოადგენდა. მშვენიერი ლოზუნგებით მცირე ხნით თრობის შემდგომ, რომელთა რეალობად გადაქცევასაც ვერ ეღირსნენ თავისუფლებაწართმეული ხალხები, მათი ბუნებრივი განვითარება უხეში ძალით იყო შეჩერებული. ამიტომ კვლავ დაპყრობილმა ხალხებმა, უპირველეს ყოვლისა, იწყეს მოთხოვნა თავისუფლებისა, იმ თავისუფლებისა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების წესის ჩამოყალიბებისა და ნორმალური განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს, და რომლის გარეშეც ისინი დაკარგავდნენ ინდივიდუალურ სახეს.

ძალზე მნიშვნელოვანია იმპერიის ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სისხლიანი ისტორია. იგი ნათლად მოწმობს იმას, თუ როგორი ცხოველია თავისუფლების იდეა და ასევე იმასაც, თუ როგორი სისხლის მორევს წარმოადგენდა იმპერია, რომელსაც ევროპაში რუსეთის სახელით



იცნობენ.

1917 წლის ოქტომბერში პეტერბურგში ხელისუფლება დაამხეს ეგრეთ წოდებულმა ბოლშევიკებმა, რომლებიც ამჟამად მუშაობენ „უდიდესისა და განუყოფელის" აღდგენისათვის. მაშინ კავკასიელი სახელმწიფო სათათბიროს დელეგატები, რომლებიც ვერ ხედავდნენ ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის შესაძლებლობას, თბილისს დაბრუნდნენ და ამიერკავკასიის სეიმი მოიწვიეს. სეიმი შედგებოდა ამ ხალხებით დასახლებული მხარის გამოჩენილი საზოგადოებრივი მოღვაწეებისაგან. სეიმის მოწვევა იყო მცდელობა რევოლუციური მოძრაობის მიმართვისა ევოლუციის გზით. ოღონდ, სეიმის რამდენიმე სხდომის შემდეგ ნათელი გახდა, რომ ამ ორგანოს, ასეთი ჭრელი შემადგენლობით, არ შეეძლო მოეგვარებინა რომელიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, განსაკუთრებით კი, ამიერკავკასიის ერებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხის დაყენების გარეშე შეუძლებელი იყო სეიმს დაეწყო ნამდვილი შემოქმედებითი საქმიანობა.

ამ გზას პირველი საქართველო დაადგა, რომლის მოქალაქეებიც შედარებით მაღალი ეროვნული თვითშეგნებით გამოირჩეოდნენ. მართლაც, საქართველომ 1918 წლის 28 მაისს აქტით გამოაცხადა სახელმწიფო დამოუკიდებლობა. მის მაგალითს მიბაძეს ამიერკავკასიის დანარჩენმა ქვეყნებმაც: 2 დღის შემდეგ დამოუკიდებლობა გამოაცხადა თათრების რესპუბლიკამ — აზერბაიჯანმა, და ასევე სასომხეთმა.

აქედან იწყება ამ სამი რესპუბლიკის დამოუკიდებელი არსებობა. მათ ერთდროულად დაიწყეს საკუთარი სახელმწიფოს მშენებლობა და 2 წლის

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# «გულს გვტკენს არა ხმამაღალი საყვედური, არამედ სამართლიანი»

მეხუთე გვერდიდან

კანონიერი ქმედება, როგორც ხალხის საკეთილდღეოდ მიმართული იძულებითი ზომა, ხოლო უკმაყოფილების ნებისმიერი ფორმით გამოხატვა, შეფასდება, როგორც ანტისახელმწიფოებრივი ქმედება და აღიძვრება ს. ს. საქმე და რა თქმა უნდა, ეს აქტი ადამიანის უფლებების დარღვევა არ იქნებაო. მოდი და ნუ დააფასებ ეხლა ასეთ მინისტრებს!

დაახლოებით ამგვარი „შთამბეჭდავი და ამომწურავი პასუხით კმაყოფილმა" ნინომ შეკითხვების უფლება დართო ერთ-ერთ ჟურნალისტ ქ-ნს, რომელმაც დაუფარავი გაკვირვებით დასვა კითხვა: როგორ შეიძლება რაიმე უფლებების დაცვაზე



საუბარი ისეთ სახელმწიფოში, სადაც ხელფასი და პენსია 8,5 ლარიაო?

ამ შეკითხვამ წამით ყველა გააშეშა, თითქოს კადრი გაწყდაო, მაგრამ ეს მხოლოდ წამით. პროგრამის წამყვანმა პროფესიული ალღოთი იგრძნო „საპატიო" სტუმრების შეკითხვით გამოწვეული „უხერხულობა", დროულად მოეგო რა გონს, მარჯვედ ჩამოართვა კოლეგას სიტყვა, რომელიც თავის შეკითხვის დაკონკრეტებას ლამობდა, — სხარტად მოუბრუნდა სტუმრებს..., აბა, რომელი უპასუხებთო?.. მაგრამ გარინდულ სახეებში ამის მსურველი რომ ვერ აღმოაჩინა, შემცბარმა ისევ მინდიას მიაფრქვია იმედის მზერა, — იქნებ თქვენ..? „მე"?! ისე შეიცხადა ამ უკანასკნელმა, თითქოს უკადრისი აკადრესო და შეჭირვებულ ნინოს თ. ნინიძე დროზე რომ არ შეშველებოდა, ალბათ წამყვანის „გაცისკროვნებულ" თოლებიდან უჩვეულო ცრემლთა დენის მოწმენიც გავხდებოდით. მან საქმის მცოდნის — ჩვეული რიხით აგვიხსნა, რომ სახელმწიფოს, — მთავრობას არც აქვს და არც არის ვალდებული, საარსებო მინიმუმის ფარგლებშიც კი, აძლიოს თავის ხალხს პენსიები თუ ხელფასები. პირიქით, ეს თვითონ ხალხმა უნდა იზრუნოს თავისი მთავრობისა და მათი წევრების უზრუნველი ცხოვრებისათვისო. ანუ, როგორც იტყვიან, თქვენ გამოაცხვეთ დიდი მჭადი, მოგვეცით ჩვენ და იქიდან ცოტას ქე მოგიტეხავთო. მთავრობამ უკვე მოგცათ რაც შეეძლო და მომავალშიც არაფერს დაიშურებსო, მაგრამ აბა ეხლა რა მოგცეთ, რაც არა აქვს და რომ მოითხოვთ, რას მოითხოვთ, რა მიგიციათო. „აბა არც მე მსიამოვნებს 30-ლარიანი მინისტრობა, მაგრამ ვითმენ, რადგან თქვენი შემყურე სხვა გამოსავალს ვერ ვხედავო. ხალხის ბრწყინვალე მომავლისათვის თავგადაგებული მინისტრის სანიმუშო გამოსვლით „აღფრთოვანებული" სტუდია მეშვიდე ციდან მიწაზე დაეშვა და ოდნავ შელახული ენთუზიაზმით გადავიდა ტელეფონებით შემოსული შეკითხვების განხილვაზე. მათი რაოდენობა ჩვენთვის არავის გაუმხელია, მაგრამ ის ორიოდე შეკითხვაც კი, რომლის შერჩევა და განხილვა გაბედა ქ-ნმა ნინომ სამართლის მეუფეებთან, ეხებოდა მხოლოდ ამ სფეროში გამეფებულ უმგვანო და უკანონო ქმედებათა ამაზრზენ ფაქტებს. ამჯერად მინისტრებმა ჩათრევას ჩაყოლა არჩიეს და როგორც იტყოდნენ კომუნისტები, თვითკრიტიკის ქარ-ცეცხლში გაიტარეს თავი და ერთხმად აღიარეს, რომ ამ შემთხვევაში ადამიანის უფლებები კი არა, ს.ს.-ის დანაშაულობებია ჩადენილი და არიქა, აუცილებლად დროზე შეგვატყობინეთ, რათა სასწრაფოდ მივიღოთ გადამჭრელი ზომებიო. ბ-ნმა კახამ ერთგვარი სევდანარევი კმაყოფილებითაც კი გვაუწყა, რომ მიუხედავად სამინისტროს მიერ ამ მოკლე ხანში, (ალბათ იგულისხმება მათ მიერ კანონიერი მთავრობის დამხობიდან გასული 6 წელი), გაწეული გიგანტური პროფილაქტიკური მუშაობისა, — ყოველდღიურად თითქმის ათასობით ადამიანის უფლებების შელახვის მსგავს დანაშაულობებს თურმე უკვე შეეწირა და დაისაჯა მილიციის 80 ათასიანი არმიის 80-მდე თანამშრომელი. (ისინი ისე გაუმეტებიათ, რომ სამსახურიდანაც კი დაუთხოვიათ). ბ-მა კახამ ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად გაცხადებული სტაბილიზაციისა, ურთიერთ ჩახუტების ატმოსფეროს დამკვიდრებისა, თურმე ჯერ კიდევ გააჩნიათ მუშაობაში ხარვეზები და ნაკლოვანებები და მიღწეულით არ კმაყოფილდებიან და განუხრელად მისდევენ რა პრეზიდენტის ბრძნულ მითითებებს, თავდაუზოგავად იბრძვიან კაცობრიობის ბრწყინვალე მომავლის, კერძოდ, საქართველოში ველური კაპიტალიზის იდეალების დამკვიდრებისათვის. ბ-ნმა მინისტრმა ასევე ბრძანა, რომ ამ წმინდა საქმისათვის უკომპრომისო ბრძოლაში, ჯერ კიდევ გველუპება ასობით თანამშრომელიო. (სავარაუდოა ის, რომ ალბათ მოსახლეობის 90%-ის იმ ნაწილთან შეტაკებისას, რომლებიც ვერა და ვერ შეგუებულან დანარჩენი 10%-ის გამილიონერებას საკუთარი თავის გამათხოვრების ხარჯზე). მან იქვე დაგვამშვიდა და გვაუწყა, რომ მისი ინიციატივით შეიქმნა უწყებრივი კომისია, რომელიც განმინდავს სამინისტროს ყველა ჯურის დამრღვევებისა და თანამდებობის ბოროტად გამომყენებლებისაგანო. ღმერთმანი დიდებულია, კომუნისტურ დემაგოგიას რომ არ გვაგონებდეს.

მოზღვავებულ შეკითხვებზე ფიზიკურად პასუხის გაცემის შეუძლებლობისა, ქალბატონ ნინოს წამების დასაჩქარებლად და გადაცემის სრული უაზრობის გამოც, ბ-ნმა მინდია უგრეხელიძემ ჩვეული კორექტულობით არაორაზროვნად მიანიშნა პროგრამის წამყვანს, რომ „...ტელეგადაცემას კითხვა-პასუხის საღამოდ ნუ გადავაქცევთო" (ეტყობა ქ-ნ ნინომ თავიდანვე ეს არ იცოდა, თორემ დაგვირეკეთ და გიპასუხებთო, არ იტყოდა) და ისიც იმ წამსვე გამოგვემშვიდობა კეთილი სურვილებითა და იმედით, რომ მომავალ წელს ადამიანის დაცვის დღეს უფრო მაღალ დონეზე ჩაატარებდა და თუ ასე წარმატებით ვიმოღვაწებთ, უფლებებშესალახავნი არავინ დაგვრჩებაო. დაამთავრა ნინომ და შუქიც გამორთეს. წყვდიადში ჩაძირულს უსიამოვნო ფიქრები მომეძალა.

ამ შესანიშნავ ქართველთა ოთხეულიდან, ბ-ნი 30 ლარი ხელფასის მქონე მინისტრის ადრე ტელეეკრანზე ნახული, გაწამებული, უმწეოდ მომზირალი თვალების ამსახველი რამოდენიმე ფრაგმენტი წარმომიდგა:

გახსოვთ ალბათ, როცა მას ქვეყნის ჭეშმარიტმა პრეზიდენტმა ბ-ნმა ზვიად გამსახურდიამ, 1991 წელს ერთ-ერთ სესიაზე შენიშვნა მისცა: „იურისტი მაინც არ იყოთ, ბ-ნო თედო" ... ის მაშინ მასწავლებლის მიერ დატუქსულ პირველი კლასის იმ ბეჯით მოსწავლეს ჰგავდა, რომელსაც შეუფერებელ საქციელზე წაასწრეს. მაგრამ სულ სხვა იყო 30-ლარად ერისთვის „გარჯილი" თედო ნინიძე, როცა „იმედის არჩევნებით" მოსულმა პარლამენტმა იგი მინისტრად არ დაამტკიცა. ამ ეგ. წ. პარლამენტმა, ანუ ყოფილმა შეურიგებელმა ოპოზიციამ, რომელიც თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა ქვეყნის ბედ-იღბლის სამჭედლოს სავარძლებში, — გონებით თუ არა, პირუტყვული ინსტინქტით მაინც იგრძნო, რომ ეროვნული მთავრობის და პრეზიდენტის დამხობაში აქტიური მონაწილეობისათვის ჯილდოდ გაცემულ თამასუქს ვადა გასდიოდა და რომ, მამა და მარჩენალი კიდევ ერთ უხალხო არჩევნებს მათთვის არ გამართავდა, ამიტომაც გაურკვეველი ბუნდოვანებით მოსილი მომავლის მოლოდინით არეულნი, ზღვაზე ჩასაძირად განწირული გემის ეკიპაჟის წევრებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე დეპუტატების საკრებულოს.

სადღაც გამქრალიყო მათი რიხი და შემართება, რომელიც საკუთარ ერზე გამარჯვების დღეებში ალაფრთოვანებდათ. „ქუჩის ბიჭებად" თავმოწონებულ ომგამოვლილთა შეგრძნება სიამოვნებისა, რომელიც გადატრიალებაში მონაწილეობის ხარისხის დადგენა-დაჯილდოვების ან დიდ პოსტზე დანიშვნის უფლების მოპოვებით რომ უჩნდებათ პატარა კაცებს, — დასასრულს უახლოვდებოდა.

მათ მიერ ჯერ კიდევ გუშინ გენ. პროკურორად, ხოლო მოგვიანებით იუსტიციის მინისტრად აღზევებული ძმაკაცისათვის, უკვე აღარავის ცხელოდა. აქაოდა, ჩვენ თუ გვერკებიან, შენ რაღა გემინისტრებაო და რადგან თავისიანად ეგულვებოდათ, მისი გაყოლებაც განიზრახეს და ერთბაშად იმდენი ხინჯი და ნაკლოვანებები უპოვეს მუშაობაში, რომ მინისტრად კი არა, ათი ნინიძისნაირის პასუხისგებაში მისაცემად იკმარებდა.

მუშაობადამთავრებული პარლამენტარები ადგილებიდან იშლებოდნენ. არ იძვროდა მხოლოდ სავარძელში ჩასვენებული თედო ნინიძე. მას ახლა მხოლოდ ოპერატორის ყურადღება მიეპყრო რატომღაც, რომელიც საგანგებოდ, მსხვილი პლანით უჩვენებდა მის ფარულად გახელილ ცრემლმორეულ თვალებს, სასოწარკვეთით მომზირალს სივრცეში. „ამას გამსახურდიაც არ გამიკეთებდაო" — ლუღლუღებდა განწირული, საცოდავი მუდარის გამომხატველი იერსახით, მაგრამ მის ამ ყოფას უკვე აღარავინ ამჩნევდა.

ასე გაიყო თედო ნინიძისა და ჯერ „სამხედრო საბჭოდ", მერე „სახელმწიფო საბჭოდ", მოგვიანებით მოსახლეობის 10%-ის მიერ „იმედის არჩევნებით" პარლამენტად დამტკიცებულთა „დიდებით" მოსილი გზები.

დღეს პირველი, უშედეგოდ, მა-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ქართველი პოლიციელის მენტალიტეტი მაინც სხვაა

ჩვენი რესპონდენტი შიდა ქართლის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი, ბატონი ნოდარ დალაქიშვილია.

ოთახის კარი შევაღეთ, შევდივართ, მაგიდაზე უწესრიგოდ დაყრილ ქაღალდებში თავჩარგული მასპინძელი ფეხზე დგება, თავაზიანად გვესალმება და ჩვენი ვინაობით ინტერესდება. დაღლილობის მიუხედავად, ბატონი ნოდარი ინტერვიუზე დაგვთანხმდა.

— **როგორი მდგომარეობაა შიდა ქართლში კრიმინოგენული თვალსაზრისით?**

— 4 თვის მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, შიდა ქართლის მხარეში ოპერატიული მდგომარეობა სტაბილურია. აღსანიშნავია მძიმე კატეგორიების დანაშაულებათა შემცირება. პრობლემები ბევრია, სიტუაცია ძალზე დიდ კონტროლსა და მეტ მუშაობას მოითხოვს. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას ისეთ პრობლემას, როგორიცაა ნარკომანია და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლა. ჩვენ ვესაზღვრებით სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიას. იქ მდგომარეობა სტაბილურია. უფრო მეტიც, შემცირდა კონფლიქტის ზონაში მძიმე კატეგორიის დანაშაულებები. ამავე დროს, განვითარდა ნარკობიზნესი. იმედია, მოკლე ხანში მიღებული იქნება გადაწყვეტილება, სამხრეთ ოსეთის მიმართ და ჩვენ საშუალება მოგვეცემა ადგილობრივ სამართალდამცავებთან ერთად ერთიანი ოპერატიული ღონისძიებები ჩავატაროთ იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც ჩვენ ჯერჯერობით ვერ ვაკონტროლებთ. მაღალ ეშელონებში მიღწეული შეთანხმების შემდეგ კი ალბათ ჩვენი ოსი კოლეგებიც მხარში დაგვიდგებიან.

სხვა გავრცელებული დანაშაულებებიდან, გამოვყოფ ქონებრივი ხასიათის დანაშაულებებს. ხშირია ავტომანქანების გატაცების ფაქტები. დამნაშავეთა სამყაროს გატაცებული მანქანები გადაჰყავთ კონფლიქტის ზონაში. ეს საკმაოდ პრობლემატური საკითხია, რომელიც ჩვენი და ოსი კოლეგების ერთობლივ მუშაობას მოითხოვს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ძალიან პრობლემატურია ნარკომანიისა და ნარკოტიკების გავრცელების აღკვეთა-აცილების ფაქტები, გამსაღებელთა უმრავლესობა ცხოვრობს სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე.



— **ბოლო პერიოდში რა განსაკუთრებული ღონისძიებები გატარდა?**

— შსს-თან და კერძოდ, კურატორთან შეთანხმებით, ჩემი ბრძანებით დაშვებულ იქნა სპეციალურ ღონისძიებათა გეგმა. ასეთი ღონისძიებები გატარდა ხაშურში, კასპში და ქარელში. ღონისძიებები მიზნად ისახავდა ცეცხლსასროლი იარაღების ამოღებას უკანონოდ მფლობელისაგან. შედეგებიც არის. ხალხმა ჩააბარა ომიანობის დროს შეძენილი იარაღი. აგრეთვე გამოვლინდა ნარკომანიის ფაქტები.

ჩვენს მიერ ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებიდან გამოვყოფ ავტომანქანების გადამოწმებასა და საპასპორტო რეჟიმს. ადრე თითქმის ყურადღებას არ ვაქცევდით, თუ ვინ და რა მიზნით შემოდიოდა ჩვენს ტერიტორიაზე. ჩვენ რომ სხვა ქვეყანაში ჩავიდეთ საცხოვრებლად, აუცილებლად მოვლენ და ჩვენი პიროვნებით დაინტერესდებიან. ამ საკითხზე ჩვენ კონტროლი გავამკაცრეთ. მივესალმებით ყველა ქვეყანასთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას, მაგრამ ხშირია ფაქტები, როცა თურქეთიდან შემოდიან, ხსნიან მაღაზიებს და ფიქსირდება კანონგარეშე ქმედებები.

— **ძებნილთა დასაკავებლად თუ ატარებთ რაიმე ღონისძიებებს?**

— შსს [illegible], მიმდინარეობს ღონისძიებები ძებნაში მყოფი პირების დასაკავებლად, რაც თავის მხრივ გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ოპერატიული ჯგუფის მიერ ჩამოყვანილი იქნა ძებნილები კრასნოიარსკიდან, რომლებიც გასული წლის შემდეგ იძებნებოდნენ გორის რაიონში მომხდარი მკვლელობის გამო.

— **რეგიონის მოსახლეობა როგორაა პოლიციის მიმართ განწყობილი?**

შიდა ქართლის მხარეში მოსახლეობა ძირითადად სწორად აფასებს პოლიციის საქმიანობას. ჩემს თანამშრომლებს ხშირად ვეუბნები, რომ მოსახლეობასთან იქონიონ ახლო მეგობრული ურთიერთობა.

ხშირად აცხადებენ, თითქოს პოლიციამ ხელკეტებით სცემა ხალხი... და ა. შ. მე მგონი, ეს ცოტა გამუქებული გამონათქვამია, რადგან ქართველი პოლიციელის მენტალიტეტი მაინც სხვაა.

**ნათია ჭანტურია**
**ნანა ზურაბიანი**

მეექვსე გვერდიდან

# აფხაზებზე და აფხაზეთზე სინამდვილე უნდა ვწეროთ

(იქვე, გვ. 132).

ამაზე იტყვიან, „საიდან-სადაო წმინდა საბაო", რა კავშირი აქვს „კაცოს" ჩვენს ეთნიკურ-ეროვნულ კუთვნილებასთან. ასეთი ზედმეტსიტყვაობა ჩვენს გარდაც ხომ უამრავ ხალხს აქვს, მაგრამ მას არავითარი კავშირი არ აქვს ეთნიკურ წარმომავლობასთან. ვის როგორი წარმოდგენაც არ უნდა ჰქონდეს ჩვენზე, ვერავის ვერ ავუკრძალავთ ჩვენ ქართველი გვიწოდოს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ არ ვართ მაინცდამაინც განებივრებული ჩვენზე საუკეთესო წარმოდგენით.

რაც შეეხება აფსილებისა და აბაზგების ვინაობის საკითხს, ეს უფრო რთული და სადავო პრობლემაა, ვინემ თქვენ წარმოგიდგენიათ. თქვენ არა მხოლოდ ძველი და ახალი აფხაზების განსხვავებას ვერ ხედავთ, და ამდენად აფსუების არსებობა და მათი ჩრდილოეთიდან მოსულობა წარმოგიდგენიათ, არამედ უდავო ჭეშმარიტებად რაცხთ, რომ აფსილები და აბაზგები ერთი და იგივე აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ტომები არიან და თითქოს არ არსებობს არავითარი, აბსოლუტურად არავითარი მეცნიერული არგუმენტაცია იმის დასტურად, რომ აფსილები და აბაზგები ქართველი ტომები იყვნენ" (იქვე). იმდენად არ მაკვირვებს უდიდესი ინტუიციის მქონე მეცნიერს პ. ინგოროყვას რომ არავითარ ანგარიშს არ უწევთ, მაგრამ ბატონო ნოდარ! გულწრფელად მიკვირს თქვენი დამოკიდებულება თქვენივე მასწავლებლის ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილისადმი, რომელიც ბევრი ჩვენთაგანისათვის მიუწვდომელი მეცნიერული აპარატით იყო შეიარაღებული და დიდი ერუდიციით გამოირჩეოდა, ასე ზერელედ ვისმეს მიმხრობოდა რომელიმე პრინციპული საკითხის მეცნიერულ შეფასებაში, როგორც ამას თქვენ წარმოადგენთ: „ს. ყაუხჩიშვილს პ. ინგოროყვას მხარდასაჭერად სხვა მოსაზრებები უბიძგებდა" (ნ. ლომოური, იქვე). არ ვაპირებდი, მაგრამ რადგან თქვენ თვითონ შეეხეთ, გამოგიტყდებით და გეტყვით, არა მგონია ის, რასაც თქვენ უკვე მერამდენედ დაჟინებით იმეორებთ ს. ყაუხჩიშვილის ან პ. ინგოროყვას მისამართით, მასწავლებლის ან საერთოდ წინაპრის პატივისცემის მაგალითად გამოდგეს მომავალი თაობისათვის. როცა საქმე ს. ყაუხჩიშვილს და პ. ინგოროყვას ეხება, ჩემთვის ორივე მათგანი მეცნიერული სინდისის ეტალონია და ვერასოდეს ვერავინ დამაჯერებს, რომ ისინი რაიმე მოსაზრებით (წაბიძგებით, პოლიტიკით და სხვ.) სჯიდნენ საქმეს ტენდენციურად, მით უფრო კარგად ვიცი, რომ პოლიტიკას გადაჰყვა პ. ინგოროყვას ფუნდამენტური გამოკვლევა „გიორგი მერჩულე."

ბატონო ნოდარ! ძალიან იოლად წყვეტთ აფშილებისა და აბაზგების ვინაობის პრობლემას.



თავდაპირველად მეც მეგონა, რომ ხსენებული ტომები აფხაზები იყვნენ, ხოლო აფხაზები არაქართველები, რადგან მაშინ მათი წარმომავლობა და ვინაობა სპეციალურად არ მიკვლევია (იხ. ჩემი წიგნი, ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991), მაგრამ ინტენსიური კვლევა-ძიების შედეგად მზამზარეულად მიღებული შთაბეჭდილება შემეცვალა. თქვენ უდავო ჭეშმარიტებად მიიჩნევთ, რომ „აბსოლუტურად არავითარი არგუმენტაცია არ არსებობს იმის დასტურად, რომ აფსილები და აბაზგები ქართველი ტომები იყვნენ." მე კი შევაბრუნებ თქვენს კატეგორიულ ბრძანებას და ვაცხადებ, რომ აბსოლუტურად არავითარი სარწმუნო არგუმენტაცია არ არსებობს იმის დასადასტურებლად, თითქოს აფსილები და აბაზგები ადიღეური ტომები არიან, პირიქით კი საკმარისად ბევრი.

იმის თაობაზე, თუ ვინ არიან ძველი აფხაზები, ზემოთ ვიმსჯელეთ, არსაიდან ჩანს, რომ აფშილები და აბაზგები ადიღე-ჩერქეზები ან აფსუები იყვნენ. არა იმიტომ, რომ არაფრის მჯერა ურწმუნო თომასავით, არამედ იმის გამო, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც ხსენებული ტომები მოიხსენიებიან (სულ პირველად I-II სს.) არც არქეოლოგიურად, არც ტოპონიმიკით კოლხურ-ქართულისაგან განსხვავებული არაფერი ჩანს, პირიქით კი საკმარისად, თავი რომ დავანებოთ არქეოლოგიურ მონაცემებს, აფსილებისა და აბაზგების საბინადრო ტერიტორიებზე მხოლოდ ქართული (სვანურ-მეგრული) ტოპონიმები ჩანს, მაგალითად, ცხუმი, ტყუბუნი, ცუმური, ცხუბენი, ფუსტა, წიბილი, ჯიხახორა, სქომარი, სხიმარი, თუსუმე და სხვ. ახლა გეკითხებით აფშილებისა და აბაზგების ტერიტორიაზე პირველ-მეორე საუკუნეებიდან რომელ აფხაზურ-ადიღეურ ტოპონიმს ხედავთ?! თანამედროვე აფხაზ მკვლევარებს რომ დავუჯეროთ (ეტყობა თქვენ უჯერებთ), მაშინ ყველა ტომი (აპრიორულად), ვინც არა მხოლოდ აწინდელი აფხაზეთის, არამედ მთელი კოლხეთ-ეგრისის ტერიტორიაზეც აფხაზური ან აფხაზურ-ადიღეური კუთვნილებისაა. ასევე კოლხურ-ეგრისული მატერიალური და სულიერი კულტურაც (დამწერლობა და სხვ.) თურმე აფხაზური ყოფილა?!

ბატონო ნოდარ! თქვენ არ გჯერათ არა მხოლოდ პ. ინგოროყვას, ს. ყაუხჩიშვილის, აგრეთვე ნ. ბერძენიშვილისა და ყველა მათგანის, ვისაც შუა საუკუნეების აფხაზები ქართველებად მიაჩნია, ყველა მათგანის ნააზრევი უარგუმენტო ჰიპოთეზედ გეჩვენებათ, ხოლო თქვენი ახირებული ნათქვამი ჭეშმარიტებად — **თურმე თქვენი პოზიცია თუ მოსაზრება, რომელიც არაერთგზის გამოგიქვეყნებიათ, ვერავის ვერ უარუყვია რაიმე ხელშესახები არგუმენტებით,** ამის მაგალითად თქვენ 1997 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ გამოკვლევასაც ასახელებთ. არა, ბატონო ნოდარ, ასეთი კატეგორიული დეკლარაცია და თავის ქება არაფერს იძლევა, საბედნიეროდ თქვენი ეს გამოკვლევა მეც მაჩუქეთ და გულდასმით მაქვს წაკითხული, მაგრამ საყურადღებო ჰიპოთეზასთან ერთად, ისეთ უარგუმენტო ზეპირ და კატეგორიულ განცხადებას შეიცავს, როგორსაც ეს ჩემდამი მოძღვნილი წერილი.

თქვენ ჰენიოხებს ეხებით და უაპელაციოდ (კატეგორიულად) აცხადებთ: „უნდა ერთხელ და სამუდამოდ გავერკვეთ, რომ ძველი კოლხეთის ტერიტორიასთან და, კერძოდ აფხაზეთის ტერიტორიასთან არაფერი საერთო არ ჰქონდათ ჰენიოხებს და მათი სანიგებთან ე. ი. მეგრულ-ჭანურ თუ სვანურ ტომებთან გაიგივება სრული გაუგებრობაა" (იქვე).

მიუხედავად ჩვენი მეგობრობისა, ამ შემთხვევაშიც ვერაფრით განუგეშებთ და დაგეთანხმებით, არა მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ არ გჯერათ და უგულებელჰყოფთ ისეთი მეცნიერების მოსაზრებებს, როგორიც არიან ივ. ჯავახიშვილი, ი. ორბელი, გ. მელიქიშვილი, აგრეთვე მ. ინაძე, ბ. გიგინეიშვილი და მრავალი სხვა, არამედ იმიტომაც, რომ თქვენ არავითარ ანგარიშს არ უწევთ იმ უძველესი წერილობითი წყაროების მონაცემებს, რომლებიც იმ ეპოქის მემატიანეთა შვილებია, რომელიც სადავოა. აი ამაზე თქვენგან აბსოლუტურად განსხვავებული ქალბატონი მერი ინაძის მსჯელობა და მოსაზრება: „პირველი, ვინც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ჰენიოხებს ასახელებს, არის ჰელანიკე მიტილენელი (ძვ. V ს.), იგი ჰენიოხებს იხსენიებს კერკეტების, მოსხების, ქარიმატების და კორაქსების მეზობლად. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული მისი ცნობა ფრაგმენტულია და მთლად გამართული არ არის. ჰენიოხთა საცხოვრისის შედარებით ზუსტი დადგენა ხერხდება არტემიდორე ეფესოელის ჩვენებით, რომელიც სტრაბონის გეოგრაფიაშია დაცული. ამ ცნობის თანახმად, ნავსადგურ ბატადან (დღ. ნოვოროსიისკში) სანაპიროზე ბინადრობდნენ ჯერ კერკეტები — 850 სტადიონის მანძილზე, შემდეგ აქეელები — 500 სტადიონის მანძილზე, მათ შემდეგ კი ჰენიოხები — 1000 სტადიონზე. ჰენიოხების მიწა-წყლის შემდეგ (სამხრეთით), არტემიდორე ასახელებს ქ. პიტიუნტს, ე. ი. ბიჭვინთას" (იხ. ჟ. „მნათობი", 2, 1992, გვ. 160).

საქმის განსაზღვრისას მ. ინაძე ითვალისწინებს იმას, რომ არტემიდორეს გამოთვლები სიზუსტით ხასიათდება და ამიტომ დაასკვნის, რომ ჰენიოხებს ზღვის სანაპიროს შეყოლებით ვრცელი ტერიტორია სჭერიათ ბიჭვინთისა და სოჭის გაყოლებით ვიდრე ტუაპსემდე „დაახლოებით 180 კმ-ს მანძილზე" (იქვე). აღსანიშნავია, რომ მ. ინაძემ ასეთივე მოსაზრება გამოთქვა ადრეც (60-იან წლებში). ჰენიოხებთან დაკავშირებით მ. ინაძე ითვალისწინებს აგრეთვე გ. მელიქიშვილისა და სხვათა მოსაზრებებს და აღნიშნავს რომ ისინი მრავალტომიანი იყვნენ, რომ ჩრდილო ჰენიოხებში (ე. ი. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის, უპირატესად სვანები იგულისხმებიან, ხოლო სამხრეთის — ჭანები. ვფიქრობ, თუ ამას დავუმატებთ კიდევ ერთ გვიანდელ ცნობას (რომელიც მე-5 საუკუნის ანონიმს ეკუთვნის) ჰენიოხების შესახებ, ზემოაღნიშნული მოსაზრება არცთუ უსაფუძვლოა: „ძველი აქაიიდან" ვიდრე „ძველ ლაზიკემდე" და შემდეგ ვიდრე აქეუნტის მდინარემდე წინათ ცხოვრობდნენ ტომები, რომელთაც ეწოდებოდათ ჰენიოხები, კორაქსები და კილიკები, მელანქლენები, მაქელონები, კოლხები და ლაზები, ამჟამად კი ცხოვრობენ ჯიქები" (გეორგიკა, 2. ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1965, გვ. 11).

ბატონო ნოდარ! როგორც ვხედავთ, საქმე არც ისეა — თქვენ რომ ბრძანებთ და ერთი ხელის მოსმით, რომ უარჰყოფთ სხვის საფუძვლიან დასკვნებს. თქვენ კი ჰენიოხები არამც თუ აწინდელი აფხაზეთის ტერიტორიას, არამედ კოლხეთის სამხრეთ ტერიტორიასაც კი არ გააკარეთ. შესაძლებელია თქვენდამი დაპირისპირებული თანამედროვე ქართველი ისტორიკოსებიც, მით უფრო ძველი მემატიანეებიც რაიმეში ცდებიან (ხშირად ძველი წყაროებიც შეიცავენ წინააღმდეგობრივ ცნობებს), მაგრამ ამისი დადგენა არც ისე იოლია, რომ სინამდვილე კატეგორიული განცხადებით ან პოლიტიკური მიზანშეწონილობით გადაწყდეს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მეშვიდე გვერდიდან

ქართული ემიგრაცია

# საქართველო ბოლშევიკთა უღელქვეშ

განმავლობაში მიაღწიეს მნიშვნელოვან, თუმცა არაერთგვაროვან შედეგებს.

ქართველებს სათავეში ჩაუდგნენ გამოჩენილი მოღვაწენი, რომელთაც საქმიანობას უადვილებდა ქართველთა მაღალი ეროვნული თვითშეგნება. საქართველოს ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხებს შორის თავისი ინტელიგენციის მრავალრიცხოვნობით შეეძლო ეამაყა. სხვა მიმართულების გაზეთების კრიტიკასა და მუქარაზე რომ „ყველა საშუალებას" გამოიყენებდნენ მეორე ინტერნაციონალიდან ქართველ სოციალ-დემოკრატთა გამოძევებისათვის, ყურადღების მიუქცევლად. ამ პარტიას ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევია დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის გზიდან.

მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნა, რათა უკუეგდოთ ქვეყნისათვის საშიში რუსული არმიის ტალღა, რომელიც სამხრეთის ფრონტიდან ბრუნდებოდა. საბედნიეროდ, სოცდემოკრატებმა ამ ამოცანას კარგად გაართვეს თავი. ამ ჯარებისაგან დასაცავი იყო მხოლოდ თბილისი, რადგან ქვეყნის დანარჩენ ნაწილს საიმედოდ იცავდა მისი მთიანი რელიეფი. თბილისი კი, მართლაც, განსაკუთრებით საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სახელდობრ, იქ უერთდებოდა ყარსის რკინიგზა ბათუმ-ბაქოს სარკინიგზო ხაზს.

მაშინ თბილისი განადგურებისაგან გადარჩა ქართველ ჯარისკაცთა გულადობის, პატრიოტიზმის და ასევე ხელისუფლების გონივრული გადაწყვეტილებების წყალობით. სარკინიგზო გადასახვევი გადაიტანეს თბილისიდან 10 ვერსის დაშორებით და, ამგვარად, გადარჩა როგორც ქალაქი, ასევე ორთქლმავლებისა და ვაგონების მნიშვნელოვანი ნაწილიც მაშინ, როდესაც მაგალითად, აზერბაიჯანში არსებული 450 ვერსის სიგრძის რკინიგზიდან არ გადარჩენილა არც ერთი სარკინიგზო ნაგებობა, არც ერთი ორთქმავალი თუ ვაგონი.

ძირითადი სამხედრო ძალა, რომელსაც ეყრდნობოდა საქართველოს ხელისუფლება, იყო სახალხო გვარდია: იგი ჩამოყალიბდა რევოლუციის პირველ დღეებშივე დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. შეიქმნა რეგულარული არმიაც, რომელიც სავალდებულო წესით იკრიბებოდა. ეს ორივე სამხედრო ფორმირება დარჩენილია დღემდე, თანაც, სახალხო გვარდია წარმოადგენს უაღრესად ცხოველ ორგანიზაციას, რადგანაც მისი ფორმირების უმთავრესი პრინციპი ეფუძნება საკუთარი სურვილით სამსახურს, რაც ხელს უწყობს მის რიგებში განსაკუთრებით მაღალი ეროვნული თვითშეგნების მქონე ადამიანების გაერთიანებას.

„საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ხელისუფლებამ შექმნა დამფუძნებელი კრება, რომელიც შედგებოდა ყოფილი ამიერკავკასიის სეიმის დეპუტატთაგან, ხოლო „კრების" პარლამენტის წევრთაგან შექმნა მინისტრთა კაბინეტი. პარლამენტი შეუდგა გამალებულ მუშაობას კანონების შექმნისათვის, დაწყებული კანონით სახელმწიფო ენის შესახებაც. დაიწყო, ასევე, მუშაობა კონსტიტუციაზე.



მათ მცირე ხნით მოუნია მოღვაწეობა, რადგან კონსტიტუციური პარლამენტის შედგენის შემდგომ იგი დაიშალა. კონსტიტუციური პარლამენტის მუშაობაც უაღრესად ნაყოფიერი გამოდგა. პირველი მიღებული კანონები, რომელთაც მყისიერად მისცეს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ეროვნული ხასიათი, იყო: კანონი თვითმმართველობის შესახებ, აგრარული კანონი და ასევე, კანონიერი ხასიათის მინიჭება სენატისათვის, რომელიც წარმოადგენდა უმაღლეს სასამართლო დაწესებულებას. სენატს დაევალა, აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსისა და სამოქალაქო კოდექსის მიღებაც.

ამიერკავკასიის ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებს შორის დემოკრატიულმა საქართველომ თავიდანვე განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. ეს განსაკუთრებულობა განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოში უმთავრეს როლს თამაშობდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. ამ პარტიამ შეიმუშავა საკუთარი პროგრამა, რომლის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნები იყო ყველა ერის წარმომადგენელთა შორის ტოლერანტობა და სოლიდარობა. საქართველოს დემოკრატია, რომელსაც ამყარებდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, წარმოადგენდა ნეიტრალურ, ანგარიშგასაწევ ძალას მაშინ, როდესაც სომხები და თათრები ძველი დროიდანვე ერთმანეთს ებრძოდნენ. ისტორიამ სწორედ ამ პარტიას დააკისრა ამოცანა ასეთ რთულ დროს გაეერთიანებინა ამიერკავკასიის დემოკრატიული ძალები. მასვე დააწვა ზურგზე ამიერკავკასიის პოლიტიკური მოწყობის ამოცანის მთელი სიმძიმეც. რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალების მოხდენის შემდეგ, როდესაც ამიერკავკასიის ჩრდილოეთთან კავშირი განყვეტილი აღმოჩნდა, ქართული დემოკრატია იძულებული გახდა თავის თავზე აეღო იმ ნაბიჯების ინიციატივა, რომლებიც მისი შეხედულებით აუცილებელი იყო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი ამ მხარის გადასარჩენად. ამ ნაბიჯებზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილება მას არც უცდია ისტორიის წინაშე. საჭირო იყო უაღრესი გაბედულება და ძალისხმევა, რათა დაეცხრო ერთაშორისი ზიზღი ამიერკავკასიაში, გაეერთიანებინა ყველა ხალხები და მათი ძალა მიემართა კარს მომდგარი საფრთხისა და შიდა ანარქიის თავიდან ასაცილებლად. საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი პოლიტიკა წარმოადგენდა ამიერკავკასიის პოლიტიკის ერთგვარ ლოგიკურ გაგრძელებას.

მთელი ამ ხნის განმავლობაში კომუნისტებიც ფხიზლად იყვნენ და გულმოდგინედ სწავლობდნენ ვითარებას საქართველოში. მათ შენიშნეს, რომ სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობა მათგან სრულიად განსხვავებული მეთოდებით ხდებოდა და ეს ძალიან ეჩხირებოდათ თვალში. სამწლიანმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ქართველი კომუნისტების გავლენა საქართველოს სახელმწიფოზე ყოველთვის უკავშირდებოდა ქვეყნის გარეთ არსებულ ძალებს. ძლიერი გარე გავლენის დროს, როდესაც საქართველოში მრავალი ფრონტი წარმოიქმნა, მაშინ, როდესაც ჩვენი ყურადღება გადატანილი იყო საზღვრებისაკენ, ისინი იწყებდნენ მუშაობას და ყოველგვარი მეთოდების გამოყენებას, რათა შიგნიდან გაენადგურებინათ მათთვის საძულველი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სტრუქტურები. საქართველოს თითქმის ყოველი მხრიდან შემოერტყა რუსული ხიშტების წრე ჩვენს გარშემო მღელვარებდა ანარქიის, ნგრევისა და ძალადობის ზღვა. თავისუფლება ჩანასახშივე იყო ჩაკლული მოძალადე იმპერიალისტთა მიერ.

თარგმნა
ამბროსი გრიშიკაშვილმა

გაგრძელება იქნება

# პოლიციელმა კანონთან ერთად ზნეობის ნორმებიც უნდა გაითვალისწინოს

ამ ბოლო დროს, მოგეხსენებათ, დეზერტირების ბაზრის შესახებ უამრავი ჭორია გავრცელდა, ამიტომაც საქმის ადგილზევე შესწავლის მიზნით უბნის რწმუნებულსა და საკუთრების დაცვის პოლიციის განყოფილების უფროსს გავესაუბრეთ, რადგან დეზინფორმაციის გავრცელება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. მითუმეტეს, დღეს, როდესაც სწორი ინფორმაციის მკითხველამდე მიტანას და საზოგადოებრივი აზრის სწორად ჩამოყალიბებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ჩვენთან საუბრისას უბნის ინსპექტორმა, პოლიციის მაიორმა ბატონმა **ნოდარ მინაძემ** განაცხადა, მის სამოქმედო ტერიტორიაზე ნორმალური კრიმინოგენური მდგომარეობაა.

დეზერტირების ბაზარში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სხვადასხვა კატეგორიის ხალხია თავმოყრილი, რომელთა საზრუნავს მხოლოდ და მხოლოდ სარჩო-საბადებლის შოვნა წარმოადგენს და, სამწუხაროდ, ხშირად არ ფასდება პოლიციელთა უძილო ღამეები.

როგორც გაირკვა, 24 საათის განმავლობაში, სრული დატვირთვით მუშაობს საპატრულო სამსახური, საკუთრების დაცვის პოლიცია და პოლიციის რაიგანყოფილება.

რაც შეეხება ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის ფაქტებს, როგორც გვითხრეს, დიდი მუშაობაა გაწეული ამ უკანასკნელის აღსაკვეთად, ამ ეტაპზეც გრძელდება ამ კუთხით მუშაობა. შედეგიც ასე თუ ისე სახეზეა. უკვე თითქმის აღარაა გარე ვაჭრობის ფაქტები. მე მგონი ბოლოს და ბოლოს საზოგადოების შეგნების დონემდე დავიდა ის, რომ ბაზარში უნდა ივაჭრონ. სხვათა შორის პიროვნება თვითონ თუ არ მიხვდა, ძნელია ქართველმა პოლიციელმა ძალისმიერ მეთოდებს მიმართოს, მაგრამ კანონის უზენაესობა ყველამ უნდა გაიცნობიეროს.

საკუთრების დაცვის პოლიციის განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი **ზანგურ გოშაძე** პროფესიონალი პოლიციელია — მას დამთავრებული აქვს, ჯერ თბილისის მილიციის სკოლა, შემდეგ მოსკოვის მილიციის აკადემია. მართალია, მან საკუთარ დამსახურებებზე ლაპარაკს თავი აარიდა და ძირითადად პრობლემებზე საუბრით შემოიფარგლა, მაგრამ შევიტყვეთ, თურმე ის ისეთი საქმეების გადაწყვეტაშიც მონაწილეობს, რომელიც მის პროფესიულ მოვალეობაში არ შედის. მიზეზი მხოლოდ ერთადერთია, არ შეუძლია გულგრილად უცქიროს უსამართლობას.

მუშაობაში სიძნელეებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არარსებობა ქმნის. რაც შეეხება ხელფასების საკითხს, უნდა ითქვას, რომ ბაზრის ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებს და ხელფასებსაც დროულად იძლევა.

მოგეხსენებათ, ეს ტერიტორია საკმაოდ რთულ სამუშაო ობიექტს წარმოადგენს. ამიტომაცაა, რომ კანონთან ერთად ადამიანურ ფაქტორებს ადგილობრივი დაცვის თანამშრომლები დიდ ყურადღებას უთმობენ. მიუხედავად ასეთი სირთულეებისა, მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მაინც ახერხებენ მოქალაქეთა კანონიერი უფლების — საკუთრების დაცვას

კოკა კაპანაძე

## შევარდნაძისა და არძინბას რეჟიმები ერთი მთლიანის ორი სხვადასხვა მხარეა!

*(ილია ჭავჭავაძის საზოგადოების მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი)*

ხელისუფლებამ მეტად თავისებურად აღნიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 80 წლისთავი: სისხლისღვრასთან და უბედურებასთან ერთად, რომელიც ათობით ათას ჩვენს თანამემამულეს დაატყდა თავს, მან უდიდესი სირცხვილი და შეურაცხყოფა მიაყენა მთელ ქართველ ერს, ფეხქვეშ გათელა სახელმწიფოებრივი ღირსება, თვით სახელმწიფოებრიობის იდეაც კი.

საოცარია, რომ შეიძლება არსებობდეს სახელმწიფო, რომლის მეთაური რამდენიმე ასეულ მოძალადეს არბევინებდეს საკუთარ მიწა-წყალს, აულეტინებდეს მოსახლეობას და აცხადებდეს, რომ მისი ჯარითა და ეკონომიკით არ შეუძლია მოიგერიოს თავდასხმა. თუმცა, აქამდე დიდად ტრაბახობდა რამდენიმე ათასიანი ბრძოლისუნარიანი არმიითა და სწრაფად მზარდი ეკონომიკით. მართალია, ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებსაც მოიცავს, მაგრამ სახელმწიფო ისეთ ძალას მაინც ფლობს, რომ რვაასი მაწანწალას ასაკლებად არ გახადოს ქვეყანა. გარედან ჩარევის ხარისხი მნიშვნელოვნად ვერ შეცვლის ძალთა თანაფარდობას, რუსეთის როლის ოფიციალურად დაფიქსირება კი კიდევ უფრო გაანეიტრალებდა ამ ჩარევას. მაგრამ ერთი ჯარისკაციც რომ არ ჰყავდეს, რომელი სახელმწიფო უცხადებს ამას მტერს. თუ ხელისუფლება მართლაც ფართომასშტაბიან საომარ პროვოკაციას ელოდა და არც არაფრის თავი არ ჰქონდა, რა საჭირო იყო გალის ტერიტორიაზე დროშების ფრიალი, მარულების გამართვა, პარტიული ღონისძიებები და ოფიციალური ვოიაჟები?! დროა, ყველამ გააცნობიეროს, რომ შევარდნაძისა და არძინბას რეჟიმები, ერთი მთლიანის ორი სხვადასხვა მხარეა, რომელიც რუსეთის ინტერესების დაცვას ემსახურება კავკასიაში. თითოეული თავისი როლით აფხაზეთის ქართველობის გენოციდის თანამონაწილეა.

სავარაუდოა, რომ ეს ერთობლივი, ანტიქართული აქცია მიზნად ისახავდა:

— ეთნოწმენდას გალის რაიონში, რომელსაც ფაქტიურად აქამდე ვერ აკონტროლებდა არძინბას დანაშაულებრივი დაჯგუფება;

— რუს „სამშვიდობოთა" როლის აქტუალიზაციას მსოფლიოს თვალში (გაიხსენეთ ლ. ბოთას განცხადება გალის ამბების დასაწყისშივე), საერთოდ რეგიონში რუსების პოზიციების განმტკიცებას;

— საქართველოში დესტაბილიზაციის დემონსტრირებას;

— ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსის დამკვიდრებას;

— ერთიანი ქართული ცნობიერების რღვევას ხელისუფლებისაგან აბსოლუტურად მიტოვებული და განწირული ქართველთა ერთი ნაწილის გაუცხოებით.

რუსეთის უძლეველობის შეხედულება სრულიად ვადაგასულია. რუსეთს დღეს არ შეუძლია სრულმასშტაბიანი ომის წარმოება თავის ფარგლებს გარეთ, იგი ყველაფერს მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების ხელით აღწევს.

თანამემამულენო! ეს ხელისუფლება აფხაზეთს არ დაგვიბრუნებს. ასეთი ხელისუფლების ყოლა სამარცხვინო და დამღუპველია. აფხაზეთის დაბრუნება და ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრება მთლიანად კანონიერი, კონსტიტუციური გზით ხელისუფლებისა და მისი მეთაურის შეცვლაზეა დამოკიდებული.

## ნავთობმაგისტრალი რომ ამუშავდება, სამოთხეში ვიცხოვრებთო...

# იქნება კი იქ ჩვენი ადგილი?

თავის დროზე, როცა დღევანდელი პრეზიდენტი თბილისში ჩამოიყვანეს პუტჩისტებმა და ქვეყნის მართვა-გამგეობა ჩააბარეს, საზოგადოების ჯანსაღად მოაზროვნე ნაწილში მაშინათვე გაკრთა ეჭვნარევი კითხვა: ვისი კაცია შევარდნაძე? ყველა კითხვას, ბუნებრივია, შესაბამისი პასუხიც მოსდევს ხოლმე და იმ პერიოდშიც ერთნი თუ ვარაუდობდნენ, რომ შევარდნაძე მოსკოვის კაციაო, მეორენი დასავლეთისკენ იშვერდნენ თითს და თითქმის დამაჯერებლად გვარწმუნებდნენ, იმათი კაციაო, ამერიკელების. მესამენი ხმასაც არ იღებდნენ, მაგრამ გულისგულში ღრმად სწამდათ, არავისი კაცი არაა ედუარდი, ქვეყნის სახსნელ-საშველადაა ჩამოსული და საკუთარ, დიდძალ ქონებასაც მოგვაშველებს, რომ არ დავიღუპოთო.

ასე იყო თუ ისე, ყოფილი მსხვილი პარტფუნქციონერის ჩამოსვლას ტაშისცემითა და ალტაცებით შეეგებნენ ყოფილი პარტჩინოვნიკობა და წითელი დირექტორატი, მოწითალო ინტელიგენცია და იმ გულუბრყვილო ადამიანთა ნაწილი, ვისაც ეიმედებოდა მსოფლიო რანგის პოლიტიკოსისა. შევარდნაძემაც ჩამოსვლისთანავე შემოიკრიბა მისი ყოფილი პარტნომენკლატურა და შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგეობას. თუ როგორ მართავდა და მართავს დღესაც საქართველოს ამ პარტმუშაკთა მასა, ყველამ დიდებულად ვუწყით და არც იმ მინუსების ჩამოთვლას შევუდგებით, მათს მმართველობით საქმიანობასა თუ ნიჭ-უნარს ახასიათებს. დავაკონკრეტებთ მხოლოდ ერთ რამეს: შევარდნაძეს და მის გუნდს დამოუკიდებლად მართვის უნარი არ აღმოაჩნდა, მაგრამ, ჩვენდა სავალალოდ, აღმოაჩნდა სხვა ნიჭი. კერძოდ, ისე შეკრეს და ჩახლართეს საკუთარი მაფიოზური კლანები, ისე დახლართეს ინტრიგები და იმდენი ქონება ჩაიგდეს ხელში, ამას ასე ოსტატურად ცნობილი ნათლიმამა, ალ კაპონეც ვერ იზამდა ალბათ. თუ ჩემი არ გჯერათ, გაიკითხეთ, თუ ვის ხელშია დღეს ყველა მსხვილი და მომგებიანი ბიზნესი. ვინ გაანიავა სახელმწიფოს ხაზინა თავის დროზე და ამაში დარწმუნდებით.

ქონება ქონებად, მაგრამ უფრო მეტი უბედურება, ალბათ, ის არის, რომ ეს გაქსუებული პარტნომენკლატურა მადას ვერ იოკებს და რაც მეტს ჭამს, კიდევ მეტი უნდა. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ტკიპივით მიეწებნენ სახელისუფლებო სავარძლებს და ქვეყანა თავზე რომ დაექცეთ, შესაძლოა, თვალიც არ დაახამხამონ. მეტი უბედურება რაღა იქნება: სამაჩაბლო და აფხაზეთი, ქვეყნის ეკონომიკური გალატაკება, გალის ბოლოდროინდელი ამბები საკმარისზე საკმარისი უნდა ყოფილიყო ნორმალური, ქვეყნის ბედ-იღბლით დაინტერესებული მთავრობისთვის, რომ თავზე ნაცარი დაეყარა და ღრმა სინანულით გაცლოდა სახელმწიფოს მართვის სადავეებს.



ნაცვლად ამისა კი რა ხდება? დემაგოგიური საუბრები საჯარო ტრიბუნებიდან, საკუთარი მარცხის (მარცხების) გამართლება ილუზორული ნაბიჯებით, ყველაფრის გადაბრალება არარსებულ მესამე ძალაზე (რომელიც, როცა მომენტს სჭირდება, კონკრეტულ სახესაც იღებს) და ადამიანთა, მოქალაქეთა დაიმედება უსასრულო დაპირებებით. ერთი ამ დაპირებათაგანი, ანუ შეიძლება ასეც ვუწოდოთ, პანაცეათაგანი, რომელიც ხელისუფალთა საჯარო გამოსვლებში წამდაუწუმ გაისმის, ნავთობმაგისტრალი გახლავთ და ლამის ისე დგას საკითხი, აი ნავთობსადენი რომ აშენდება და საქართველოზე გაივლის, ჩათვალეთ რომ სამოთხეში ვიცხოვრებთო. თქვენს პირს შაქარი, ბატონებო, მაგრამ თქვენი შვიდწლიანი მოღვაწეობის შემყურეთ, ნამდვილად გვეეჭვება, რომ მაგ სამოთხეში ჩვენი ადგილიც იყოს.

არ უნდა დიდი ნიჭი და მახვილი თვალი იმის დანახვას, რომ დღეს ხელისუფლება (მასთან მიახლოებულ ადამიანებთან ერთად) ცალკეა და ხალხი კიდევ ცალკე. შეიქმნა კურიოზული და სატირალი სიტუაცია: ქვეყანაში არსებობს მმართველი კასტა, რომელიც თავისი კანონებით ცხოვრობს. დანარჩენი მასა მოსახლეობისა კი თავისთვის არის. მას არავინ არაფრად აგდებს და არც რამეს ეკითხება. არადა, დემოკრატიის მშენებლობა, ეს ისეთი ლოზუნგია, რომელიც ამ მმართველმა კასტამ აიფარა ნილბად და ბოლშევიკების ცნობილი დევიზისა არ იყოს, მიწა გლეხებს, ფაბრიკა — მუშებს!-ო — მათმა დღევანდელმა სულიერმა მემკვიდრეებმაც სატყუარად დემოკრატიის ეს ლოზუნგი მოგვიგდეს და მის მიღმა, ყველა ქარხანა, ფაბრიკა, თუ მიწის მსუყე ნაკვეთები თვითონ დათრიეს.

გალის მოვლენების შემდგომ, როცა ზუგდიდში, წალენჯიხაში დევნილთა დიდმა მასამ მოიყარა თავი, ისევ მოსახლეობას მიმართეს, თუ არ ვცდები, მოქკავშირმა: არიქა, მოგვეშველეთ, ჩასაცმელ-დასახური, ლეიბ-საწოლი, პროდუქტი შეაშველეთ ამ ხალხსო. ღმერთი, რჯული, რომ გვქონდეს, არცერთი ღირსეული ქართველი არ დაიზარებდა არაფერს საკუთარი მოყვასისათვის, მაგრამ თქვენგან გალატაკებულ-გამათხოვრებულებს, აბა, რა შეგვიძლია მივცეთ ამ ჩვენზე მეტად გაუბედურებულ ადამიანებს. არადა, რაც მართალია — მართალია, ქვეყანას რომ ღირსეული პრეზიდენტი ჰყავდეს, იმ გაქსუებულ ჩინოვნიკებს, იმ სახელმწიფო მოხელეებს და მათს ნათესავ ბიზნესმენებს, რომელთაც კარგა დიდი თანხები ჩაიჯიბეს სახელმწიფოს ჯიბიდან, მკაცრად უბრძანებდა დევნილების მიშველებას და თითო ოჯახისთვის (დევნილებს ვგულისხმობ) იმგვარი დახმარების გაწევას დაავალდებულებდა, რომ ეს უკანასკნელნი გარკვეულ შვებას იგრძნობდნენ.

ეს, რა თქმა უნდა, ასე არ მოხდება და შესაძლოა, პირიქით კი მოხდეს: იმ მიზერულ დახმარებაზე, რომელიც მათთვის გამოიყო, ალბათ, ვიღაცეები მოითბობენ ხელს, ან სულაც, ლტოლვილთა რაოდენობას ხელოვნურად გაზრდიან და იმ ზედმეტ ფულს უსინდისოდ ჩაიდებენ ჯიბეში. მე თქვენ გეტყვით, შერცხვებათ, თუ რა?

რა გვეშველება? აი, მწარე კითხვა, რომელიც ყველა ნორმალურ კაცს უტრიალებს დღეს თავში. პასუხი კი, სამწუხაროდ, არ ჩანს. უფრო სწორად, ამათ ხელში (მთავრობის) ნამდვილად არ გვეშველება, მაგრამ არც ჰორიზონტზე ჩანს ჯერ-ჯერობით ისეთი ძალა, რომ ესენი კი არ შეცვალოს მხოლოდ, არამედ საშველი დააყენოს ქვეყანას, საშველი დაგვაყენოს ჩვენც და უფსკრულისკენ მიქცეული ქვეყანა წაღმა შემოაბრუნოს. თუმცა, იმედის გადაწურვა არ ღირს. ჩვენს ისტორიაში ამაზე უარესი პერიოდებიც გვქონია, მაგრამ ერში ყოველთვის გამოჩენილა პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი, რომელსაც თავს უდვია ქართული სახელმწიფოს გადარჩენის საქმე და ღირსეულადაც დაუგვირგვინებია კიდეც. იმედია, ამჯერადაც ასე იქნება.

**სერგო რუხელი**

## ხალხმა განსაჯოს

### (პოლიტიკური განცხადების მაგიერი)

საქართველოს, ქართველ ხალხს, კიდევ ერთხელ მიაყენეს მოუშუშებელი ჭრილობა ჩვენი ხელისუფლებისათვის „სათაყვანებელი", „მეგობარი" და „დემოკრატიული" რუსეთის „გვერდის ავლით", მეორე, არადემოკრატიულმა, ჩვენმა მტერმა, ველიკოდერჟავულ-შოვინისტურმა რუსეთმა, აფხაზ სეპარატისტებთან ერთად განახორციელეს მათთვის წარმატებული მორიგი ოპერაცია. კვლავ გენოციდი მოუწყვეს ქართველებს, გადაწვეს გალის სოფლები და ქართველები საკუთარ ქვეყანაში კვლავ დევნილებად აქციეს. ამ ბრძოლებში დაიღუპა ბევრი პარტიზანი და სახალხო მოლაშქრე. მტერმა არც მშვიდობიანი მოსახლეობა დაინდო. ჩვენმა „ჰუმანურმა" და ღრმად ინტერნაციონალისტურმა ხელისუფლებამ კი გაწირა მათ მიერ შეგულიანებული და იმედმიცემული პარტიზანები და გალის მოსახლეობა, სამაგიეროდ, როგორც თვითონ აცხადებენ, ქვეყანას ააცდინეს ფართომასშტაბიანი ომი და გადაარჩინეს ქართველი ხალხიცა და მომხდურებიც, მაგრამ უკვე მერამდენედ პატივი აყარეს ქართველ ხალხს, შეულახეს ეროვნული ღირსება და თავმოყვარეობა და ამით ოდითგანვე პატრიოტ, შეუდრეკელ, მებრძოლური შემართების მქონე ერს, ლაჩარი, მონური სულისკვეთების მქონე ხალხის სახელს უმკვიდრებენ. უკვე მერამდენედ, მათი პოლიტიკური კურსის წყალობით თავს გვატყდება უბედურება და არა მარტო აფხაზეთთან დაკავშირებით. უკვე მერამდენედ, სიტყვიერად უფრთხილდებიან და ფაქტიურად არაფრად აგდებენ ხალხის სიცოცხლეს. გავიხსენოთ თუნდაც სამეგრელოში რამდენჯერმე განხორციელებული დამსჯელი სისხლიანი და კრიმინალური ეგზეკუცია. სამეგრელო საქართველოს ხერხემალიაო და ამ დროს დღენიადაგ ცდილობენ ამ ხერხემლის გადამტვრევას, მაგრამ სამეგრელო, როგორც ყოველთვის, პირად წყენაზე უფრო მაღლა აყენებს ერთიანი საქართველოს ინტერესებს და ამჯერადაც მტკიცედ დგას ამ ინტერესების სადარაჯოზე, მაგრამ როდემდე? თუ ასეთი პოლიტიკა გაგრძელდება, ქვეყანაში ისეთი ვითარებაა შექმნილი და ხელისუფლებას კი ისეთი გაუბედავი, სახელმწიფოსთვის მიუღებელი, რაღაც გაუგებარი შორს გამიზნული პოლიტიკა აქვს შემუშავებული, რომ ახლოს ვერ იხედება და დღევანდელი გასაკეთებელი საქმის მოგვარებას, სამომავლოდ აპირებს. ასეთ სიტუაციაში ჩვენს მეზობელ ქვეყნებს რომ ჭკუა ჰქონდეთ, რუსეთის მიბაძვით, ახლავე შეუძლიათ შემოგვიტიონ და მიმდებარე ტერიტორიები წაგვგლიჯონ. საქართველოს ხელისუფლება ამასაც ჩაყლაპავს, იგივე „დემოკრატიული", „ჰუმანური", ე. წ. „მეგობარი ქვეყნებისა" და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე თავის მოწონებისა და შორს გამიზნული პრინციპებიდან გამომდინარე (თუ ამაში არის რაიმე თავმოსაწონი) თავიდანვე აგვაცილებს ფართომასშტაბიან ომს და ქართველებთან ერთად გადაარჩენს: თურქ, ირანელ, სომეხ, თუ აზერბაიჯანელ ხალხებს. მაგრამ საინტერესოა, თბილისში რომ გადმოსხან დესანტი, ამ შემთხვევაში როგორი იქნება ხელისუფლების, მათი გარემოცვისა და ფოჩიანი კამფეტებით მოზიდული თაყვანისმცემლების რეაქცია, როდესაც საფრთხე უშუალოდ მათ დაემუქრებათ. თუ როგორ მოიქცევიან ისინი საკუთარი თავის გადასარჩენად, გამოჩნდა მაშინ, როდესაც ზვიად გამსახურდია თბილისს კი არა, ცხენისწყალს რომ მოადგა. აფორიაქებულებმა ქუდზე კაცის გამოყვანა მოითხოვეს და ამჯერად „დემოკრატიული", „მეგობარი" რუსეთის ჯარის დახმარებით არ დაინდეს ზვიადისტებად წოდებული თავისივე ძმები. აი, როგორ უფრთხილდებიან საკუთარი ხალხის სიცოცხლეს.

საქართველოს სახელმწიფოებრივეროვნული მთლიანობის პარტია — „სამშობლოს ფარი", რომელსაც ბევრჯერ გაუკეთებია პოლიტიკური განცხადება, ამჯერად შემოიფარგლა ამ წერილის გამოქვეყნებით და მიმართავს ხალხს, რათა მათ განსაჯონ: ამ ბოლო ტრაგედიის შემდეგ, სხვა ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ხელისუფლებას აქვს თუ არა მორალური უფლება, დარჩეს ქვეყნის სათავეში მითუმეტეს, რომ დაკარგა საკუთარი ხალხის ნდობა, რომელიც როგორც ჩანს, მათ არაფრად არ უღირთ.

ჩვენი პარტია კი იზიარებს იმ პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ძალების მოსაზრებას, ვინც თავიანთ განცხადებაში მოითხოვა ხელისუფლების გადადგომა და პასუხისგებაში მიცემა.

**ამირან ნადარაია**

**საქართველოს სახელმწიფოებრივეროვნული მთლიანობის პარტიის — „სამშობლოს ფარის" თავმჯდომარე**

## პრეზიდენტებიც ადამიანები არიან... ისინიც ავადმყოფობენ

მოსკოვში, კრემლში, წლების მანძილზე მუშაობდა ცნობილი კარდიოლოგი ევგენი ჩაზოვი. ის იყო მკურნალი ექიმი გენერალური მდივნისა: ბრეჟნევის, ანდროპოვის, ჩერნენკოსი და გორბაჩოვისა. მოგვიანებით მან დაწერა წიგნი „ჯანმრთელობა და ძალაუფლება", რომელშიც მოგვითხრობს, თუ რა ხდებოდა კრემლში 1985 წლამდე. რამდენიმე წლის წინ მან გამოიკვლია ელცინის ჯანმრთელობაც. ჩაზოვმა ვერ იპოვა რაიმე დარღვევა გულის მუშაობის მხრივ, ვერ აღმოაჩინა ვერავითარი კვალი ფილტვებში ალკოჰოლის მავნე გავლენისა. ერთი სიტყვით, „თეთრი ყვავი", როგორც დასავლეთში ეძახიან რუსეთის პრეზიდენტს, ბრწყინვალე ფორმაშია, ასე ამტკიცებდა ჩაზოვი. ფრანგ მკვლევარებს თავიდანვე ეჭვი შეჰქონდათ ჩაზოვის დიაგნოზში, და ამბობდნენ, რომ „შეიძლება ჩაზოვი მადლობის ნიშნად ეშმაკობს, ელცინმა ხომ მას, ყოფილ ცეკას წევრს, მისცა მსხვილი კლინიკა მოსკოვში".





სამედიცინო-პოლიტიკური დიაგნოსტიკით სერიოზულად დაინტერესდნენ ფრანგი მკვლევარები პიერ აკოსი და პიერ პენტჩნიკი. თავიანთი გამოკვლევის შედეგებს დაურთეს პამფლეტი „ავადმყოფებზე, რომლებიც გვმართავენ". პამფლეტში ჟღერდა საგანგაშო ძახილი: ადამიანებო, იყავით ფრთხილად, ლიდერთა ავადმყოფობამ შეიძლება გავლენა იქონიოს ისტორიის მსვლელობაზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სახელმწიფო მოღვაწეები და თვით ეკლესიათა მამამთავრებიც კი, თუ კი იციან, რომ მძიმედ და განუკურნავად არიან ავად, ღებულობენ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს. ასე მაგალითად, 1932 წელს ინგლისის პრემიერს — ჩემბერლენს უთხრეს, რომ მას აღმოაჩნდა სიმსივნე. ჩემბერლენი ყოველთვის ოცნებობდა შესულიყო ისტორიაში, როგორც მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო მოღვაწე და მან, სრულიად მოულოდნელად, კაბინეტთან შეუთანხმებლად, გააკეთა უდიდესი დათმობები ჰიტლერთან და ხელი მოაწერა მიუნხენის აქტს. ხოლო მომაკვდინებელი სტრატეგია, რომელსაც ეყრდნობოდა რაიხი თავისი არსებობის უკანასკნელ წლებში, განსაზღვრა პარკისონის ავადმყოფობამ.

ხმები დაიდიოდა რუზველტზე. და არა მარტო ხმები.

უინსტონ ჩერჩილი, იყო რა მისი ექიმების მტკიცებით ძალიან ჯანმრთელი, ხაზს უსვამდა, რომ რუზველტის ავადმყოფობამ გავლენა იქონია მის პოზიციასა და ქცევაზე იალტის ისტორიული შეხვედრისას. იგი იალტაში გაემგზავრა საოცრად ნერვიული, ზურგის ტვინის სკლეროზით გატანჯული, ფიქრობდა რა მხოლოდ საკუთარ დაავადებაზე და ძლიერი ტკივილიც აწუხებდა, ის არ გასცნობია არანაირ დოკუმენტს თუ მოხსენებას.

„რუზველტი მოვიდა კონფერენციაზე დოსიეს გარეშე, იხსენებდა შემდეგ ჩერჩილი — და შედეგად... მოლაპარაკებათა მაგიდასთან მან დათმო ყველა ის პოზიცია, რომლებიც მანამ მოპოვებული იყო ბრძოლის ველზე".

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმ პიროვნებათა ჯანმრთელობაა, რომლებიც სახელმწიფოთა ბედს განაგებენ. მეფეები და პრეზიდენტებიც ადამიანები არიან... ისინიც ავადმყოფობენ.

— როგორ შეიძლება შეცვა-

*(გაგრძელება მე-11 გვ.)*

გულაბერ კლარჯი

# საქართველო უნდა იქცეს თავდადებულ ქართველთა ასპარეზად!



საქართველო ათასწლეულების განმავლობაში სამხედრო სახელმწიფოს წარმოადგენდა. ქართველი კაცი (ზოგჯერ ქალიც), უწინარეს ყოვლისა, მეომარი უნდა ყოფილიყო. სხვა გზა, სხვა ხსნა არ ჩანდა მტრის ურდოების სიმრავლის გამო. ასეთ ვითარებაში მსოფლიოს მერვე საოცრებად უნდა ჩაითვალოს, რომ საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა დიდი ქართული კულტურაც.

ქვეყნის გადარჩენისათვის საუკუნოვან ბრძოლაში ქართველი ერის წინამძღოლებად მეფეები ითვლებოდნენ. ცხადია, ყველა მათგანი ღირსეული საქვეთმპყრობელი ვერ იქნებოდა (თუნდაც იმიტომ, რომ ტახტი მაინცდამაინც წინა მეფის უფროს ვაჟიშვილს უნდა დაეკავებინა), მაგრამ მტრის მოზღვავება თითქმის ყველა მეფეს და ყოველი დროის სამეფო კარს აიძულებდა პასუხისმგებლობა ეტვირთა ქვეყნისა და ერის წინაშე. ქართული საზოგადოებრივი აზრი მათ აკისრებდა პასუხისმგებლობას შთამომავლობის წინაშეც. ქვეყნისა და ერის ხსნისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მრავალმა ქართველმა მეფემ მოიხვეჭა საამაყო ზედწოდება: გორგასალი (მგლივით შეუპოვარი), ძველი, დიდი, აღმაშენებელი, თავდადებული, ბრწყინვალე. გმირები გაცილებით მეტნი იყვნენ ძველ საქართველოში, ვიდრე მატიანეებმა შემოინახეს მათი სახელები. გმირი იყო ერის დიდი ნაწილი, სხვანაირად, საქართველო ვერ გაუძლებდა ათას ჟამთა სიავეს.

სამწუხაროდ, XIX-XX სს-ში ქართველი კაცის შემართება, თავდადება საქართველოს გადასარჩენად აუცილებელ ბრძოლაში თანდათან ჩაქრა, დაიშრიტა.

გალის ტრაგედიამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საქართველოში თუ არ ამოქმედდა თავდადებულ ქართველთა მრავალრიცხოვანი დასი, მთელი არმია, როგორც ეს, მაგ., დავით აღმაშენებლის დროს მოხდა, ისე ჩვენი საშველი არ იქნება. პასუხისმგებლობა კი საქართველოს გადასარჩენად დღეს ეკისრება თითოეულ ქართველს, დიდსაც და პატარასაც, კაცსაც და ქალსაც. თუ საქართველო ასე თუ ისე მაინც გადარჩება, თუ მას სიკვდილი არ უწერია, ჩვენი შვილები და შვილიშვილები, შთამომავლობა მკაცრად მოგვკითხავს, შეგვაჩვენებს დღევანდელ ქართველობას უსუსურობისათვის.

დღევანდელი საქართველო თავდადებულმა ქართველებმა უნდა გადაარჩინონ! მათ უნდა მოწმინდონ ჩვენ მრავალტანჯულ ქვეყანას ის სამარცხვინო ლაქები, რომლებითაც ბოლო წლებში არაერთხელ შეიბღალა მისი წმინდა სხეული. ასეთი თავდადებული ქართველები, დიდი, ნამდვილი პატრიოტები, ჩვენი გმირი წინაპრების საკადრისი ნაშიერნი, სამწუხაროდ, არ ჩანან, ან ნაკლებად ჩანან. საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტიც არ შეიძლება იყოს დიდი, გამორჩეული პატრიოტი. ასეთ კაცს ხრუშჩოვ-ბრეჟნევის ეპოქაში საქართველოში დიდ თანამდებობებზე, კერძოდ, ცეკას პირველ მდივნად არც დასვამდნენ და თუ მაინც არჩევანი შეეშლებოდათ, მალევე დაითხოვდნენ მას. ხრუშჩოვი ხომ მთელ ქართველ ერს ციმბირში უპირებდა გადასახლებას და მისი ღირსეული მემკვიდრეები, ბრეჟნევი და სუსლოვი პატრიოტ ცეკას მდივანს როგორ გააჭაჭანებდნენ საქართველოში. აქედან გამომდინარე, დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებაში საერთოდაც არ არიან ან, უკეთეს შემთხვევაში, ძალიან ცოტა არიან ჭეშმარიტი პატრიოტები. რაც ერი, ის ბერიო და შედარებით დაბალ რგოლებშიც ხელმძღვანელი „ამხანაგები“, ჩვენი ქვეყნის საუბედუროდ, პატრიოტები არ არიან. ამგვარი ვითარება კი სულიერად წამლავს, შხამავს, აუბედურებს ქართველ ერს, საქართველოს.

მიმდინარე სასწავლო წელს თბილისის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში საქართველოს ისტორიას ვასწავლიდი მეათეკლასელებს. დღევანდელ პირობებში საშუალო სკოლაში მუშაობა ძალზე ძნელია, მაგრამ თავს ვიმშვიდებდი იმით, რომ ვემსახურებოდი ქართველი ბავშვების პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეს. თითქმის ყველაფერი წყალში ჩამეყარა ბოლო გაკვეთილზე, 20 მაისს. კლასის ყველაზე უკეთესმა, ძალიან ნიჭიერმა მოწაფემ დიდი შემართებით დაიწყო იმის მტკიცება, რომ ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვა მკრეხელობაა. ძლივს გავაჩუმე. ცხადია, მე მასზე მეტი ვიცი და ამიტომ გახდა იძულებული გაჩუმებულიყო, თორემ შევატყვე რომ თავისი შეცდომა არ ულიარებია. რა თქმა უნდა, ამგვარი გაუკუღმართებული წარმოდგენა ბავშვს შეუქმნა ან ოჯახმა ან საერთოდ იმ გარემომ, რომელშიც ის ტრიალებს, ანდა ორივემ ერთად. ასე ილუპებიან უნიჭიერესი ქართველი ბავშვები ჩვენს თვალწინ. ისინი საქართველოს ელუპებიან. ეს კი ეროვნული კატასტროფის მომასწავებელია. ჭეშმარიტად, ზარების დარისხება გვმართებს! თუ მონიფულ გადაგვარებულ ქართველებს აღარაფერი ეშველებათ, ბავშვების გადასარჩენად ხომ მაინც უნდა ვიზრუნოთ! მაგრამ როგორ ვიზრუნოთ, როგორ შევუქმნათ ჩვენს ბავშვებს ქართული სულით აღზევებული, გაცისკროვნებული სინამდვილე, გარემო, თუ დღევანდელი ხელისუფლება პატრიოტ ქართველებს ყველგან და ყველაფერში ხელ-ფეხს შეუკრავს? სამოქალაქო ომი ავტეხოთ? შემოგვრჩა კი ქართველებს ძმათამკვლელ ომში დასაღვრელი სისხლი? როცა გარეშე მტერი საქართველოს წმინდა სხეულს გველივით შემოხვევია, როგორ აღვმართოთ ხელი მოძმეზე, თუნდაც გადაგვარებულზე? ისევ მშვიდობიანი ხერხებით უნდა ვებრძოლოთ მათ, მაგრამ ამგვარი ბრძოლა უნდა აზვირთდეს და წალეკოს ის ქართველები, თანამდებობებზე მოკალათებულნი, რომლებიც შეგნებულად თუ შეუგნებლად ყიდიან საქართველოს. სხვა გზა აღარ დაგვრჩენია, საქართველოში ეროვნული მოძრაობა ხელახლა უნდა აზვირთდეს! ამ მოძრაობის ბირთვს, წარმმართველ ძალას პატიოსანი, უანგარო, თავდადებული ქართველები უნდა წარმოადგენდნენ. მათვე უნდა იზრუნონ საგანგებოდ ქართულ საშუალო სკოლებზე, რათა ჩვენი ბავშვები ჭეშმარიტ, და არა მოჩვენებით, პატრიოტებად აღიზარდონ. დავით აღმაშენებლის, სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძისა და სხვა დიდი ქართველების აღმზრდელებმა განა უდიდესი საქმე არ გააკეთეს? დღევანდელ საქართველოში, ჩვენდა საუბედუროდ, არა გვყავს არც დავით აღმაშენებელი და არც ილია ჭავჭავაძე. თუ ისე გაგრძელდა ყველაფერი, როგორც დღესაა, არც ხვალინდელ საქართველოს ეყოლება ერის მამა. გადავდოთ თავი იმისთვის მაინც, რომ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებში აღვზარდოთ დავით აღმაშენებელი (რომელიც საბოლოოდ იხსნის სამშობლოს), შოთა რუსთაველი, ილია... იმედია, ქართველთა შორის კვლავაც იბადებიან გენიოსები, მაგრამ როდემდე უნდა ვმარხოთ ცოცხლად ტალანტები.

დღევანდელ საქართველოში ეროვნული საქმის კეთებაზე რომ არ ფიქრობენ ისინი, ვისაც ეს ხელეწიფება, ანუ ხელისუფლების წარმომადგენლები, ამის დასტურად შედარებით მეორეხარისხოვანი ფაქტების დასახელებაც იკმარებდა. ამგვარ ფაქტებზე ყურადღებას ვამახვილებ იმიტომ, რომ მეტი ვიცი მათ შესახებ. არადა, როცა შედარებით დაბალ რგოლებში სრული განუკითხაობაა, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები საქმეს თავს ვერ ართმევენ, არ არიან პატრიოტები და არ ზრუნავენ ქვეყნის ეროვნულ აღმშენებლობაზე. იქნებ, ხელსაც არ აძლევთ, რომ საქართველომ ქართული სული აღიდგინოს?

ჩვენს პრესაში მრავალჯერ დაიწერა იმის თაობაზე, რომ ქართული სულის გადასარჩენად დიდ შემართებით უნდა ილვაწოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა. მაგრამ ამ ინსტიტუტის ოფიციალური თუ არაოფიციალური თავკაცები პატრიოტები არ არიან, მხოლოდ პირად ინტერესებზე, კარიერაზე ფიქრობენ, მაფიოზები არიან და ქართულს კი არა, ანტიქართულ საქმეს ემსახურებიან, რითაც უკვე გააუბედურეს და ახლო მომავალში უარესსაც დამართებენ საქართველოს ისტორიის შემსწავლელ კერას. წერეთ და იკითხეთ — გამარჯვებულის კმაყოფილებით ხარხარებს ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, ხელისუფლება სრულ ნდობას გვიცხადებს ჩვენს „მამულიშვილურ“ მოღვაწეობაში. ილია ჭავჭავაძე კიდევ ერთხელ არ გადაბრუნდება საფლავში, როცა მამულისა და მამულიშვილობის ნიღბით ბნელ საქმეებს ატრიალებენ?

ხელისუფლებას ჭირდება ტაშის დამკვრელი ე. წ. ინტელიგენცია და დღემდე ხელს აფარებს ისტორიის ინსტიტუტის თავკაცების (ვაი-თავკაცების!) მაფიოზურ საქმიანობას. განა მაფიოზები არ ლუპავენ დღეს საქართველოს?

მიუხედავად იმისა, რომ 1918 წელს საქართველოს სათავეში მოქცეული მენშევიკები არ იყვნენ დიდი პატრიოტები, ის მაინც მოხერხდა, რომ იუნკერთა სასწავლებელი ქართული სულის სამჭედლოდ იქცა. იქ მასწავლებლად, სხვებთან ერთად, მიიწვიეს დიდი ქართველი მწერალი და პატრიოტი ვასილ ბარნოვი, რომლის მოწაფეებმა ჭეშმარიტი თავდადება გამოავლინეს ბოლშევიკური რუსეთის ურდოების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში. დღევანდელ იუნკერთა სასწავლებელს თავი დავანებოთ და ვიკითხოთ, როგორ არის საქმე დაყენებული საქართველოს გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში? იქ აშკარად შეიმჩნევა პატრიოტ, თავდადებულ მასწავლებელთა ნაკლებობა. კერძოდ, ისტორიის კათედრის გამგე უკვე რამდენიმე წელიწადია არის ბატონი გ. ანჩაბაძე. ის კარგი მკვლევარია, კარგი მეცნიერია, მაგრამ ძლიერი ქართული სულისკვეთებით ნამდვილად არ გამოირჩევა. მომავალ ქართველ ოფიცრებს კი საქართველოს ისტორია თავდადებულმა ქართველმა პატრიოტმა უნდა ასწავლოს. რა თქმა უნდა, ბ-ნ გ. ანჩაბაძეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავისი ნიჭი და უნარი სრულად გამოავლინოს შესაფერ საქმეში. მისთვის ამგვარი შესაფერი საქმე სწორედ რომ არ არის ისტორიის კათედრის გამგეობა საქართველოს გაერთიანებულ სამხედრო აკადემიაში. მისი ნამოწაფარი ქართველი ოფიცრები საქართველოს აფხაზეთს ვერ დაუბრუნებენ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო...

ავიღოთ თუნდაც საქართველოს ეროვნული ნაკრები ფეხბურთში. ბატონ ვ. გუცაევს დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ფეხბურთის განვითარებაში. მიუხედავად ამისა, მისი დანიშვნა საქართველოს ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელად გამართლებული არ არის. საბჭოურ გარემოში აღზრდილ დღევანდელ ქართველ ფეხბურთელებს მარტო ბურთით წვრთნა კი არ ესაჭიროებათ, არამედ ქართული სულისკვეთების შთაბერვაც. ამას კი ვ. გუცაევი ვერ შეძლებს თუნდაც იმიტომ, რომ რუსული საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული. საბჭოთა რეჟიმის რუსულ სკოლადამთავრებული ქართველები არ არიან თავდადებული პატრიოტები, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი დღევანდელ ვითარებაში სწორედ თავდადებული პატრიოტი უნდა იყოს. ცხადია, ვ. გუცაევს უნდა მიეცეს ქართული ფეხბურთის წინაშე მისი დიდი დამსახურების შესაფერისი სხვა სამუშაო, სადაც მან, იქნებ, მეტის გაკეთებაც შეძლოს, ვიდრე ნაკრებში. შესაძლოა, დღეს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე ვ. გუცაევმა საქართველოში ყველა სხვა კანდიდატს აჯობოს. თუ ასეა, მაშინ საგანგებოდ უნდა შეიქმნას ისეთი სამსახური, რომელსაც დაევალება ქართველი ფეხბურთელების ეროვნული სულისკვეთების გაძლიერება, მათი ჩამოყალიბება თავდადებულ პატრიოტებად. მეეჭვება, რომ ამაზე ვინმე ფიქრობდეს.

თუ საქართველოში ეროვნული სული ჯერ კიდევ შემორჩა, თუ მთლად ჩაკლული არ არის იგი, სულთმობრძავივით უნდა გავიბრძოლოთ, რომ ჩვენს შორის აღმოვაჩინოთ თავდადებული ქართველი პატრიოტები და ვაიძულოთ ხელისუფლება, თუ მთლად არა, მნიშვნელოვანწილად მაინც მათ მიანდოს ქვეყნის ბედი. საქართველო პატიოსან, თავდადებულ ქართველთა სამოქმედო ასპარეზად უნდა იქცეს! სხვა შემთხვევაში სამი ათასზე მეტი წლის გმირული ისტორიის მქონე მრავალტანჯული, ჭრილობებით დასერილი ქართველი ერი დასაღუპადაა განწირული. თუ ეს მოხდა, მაშინ ჩვენ, დღევანდელ ქართველებს პროგრესული კაცობრიობა ქვეყნისთვის თავდადებული ჩვენი გმირი წინაპრების უღირს მემკვიდრეებად, უფრო მეტიც, ადამიანის სახის მქონე ცხოველებად გამოგვაცხადებს, რადგან XX ს-ის მიწურულს სამიათასწლოვანი კულტურული ერის გადაშენება, ძირითადად დღევანდელი ქართველობის გადაგვარებისა და უსუსურობის მიზეზით, ყოვლად წარმოუდგენელი მკრეხელობაა!

# აფხაზებზე და აფხაზეთზე სინამდვილე უნდა ვწეროთ

მერვე გვერდიდან

რაც შეეხება ჰენიოხთა სანიგობას (სვანურობას, ჭანურ-მეგრულობას თუ აფხაზურობას) ამისი უდავო გადაჭრაც რთული და ძნელი საქმეა და სათანადო წყაროების (რაც არ ჩანს) ჩვენების გარეშე ვერც ეს საკითხი გადაწყდება მარტო ჰიპოთეზით და, მით უფრო, პოლიტიკით. მისი საბოლოო დადგენა, დიდ ერუდიციასთან ერთად, მხოლოდ ხანგრძლივი მეცნიერული შრომით შეიძლება.

ახლა იმაზეც, ვის აქვს აფხაზეთში ცხოვრების უფლება. ამის თაობაზე თქვენს მიერ გაკრიტიკებულ წერილში პირდაპირ ვწერ: „მიუხედავად გვიან მოსულობისა, აფხაზეთში აფსუებსაც ცხოვრების ისეთივე უფლება აქვთ, როგორც ეს მის უძველეს მკვიდრ ქართველებს და იქ დამკვიდრებულ ყველა ხალხს... ბოლოს და ბოლოს აფხაზეთი იქ მცხოვრები აფსუებისათვისაც ისეთივე სამშობლოა, როგორიც ქართველებისათვის (იხ. ჟ. „ცისკარი“, 6, 1997, გვ. 123). ამიტომ ჩემთან მიმართებაში იმ მოარული საბავშვო ზღაპრის თუ ჭორის მოტანა, რომელსაც თქვენ ეხებით, რბილად რომ ვთქვათ, უადგილოა. აშკარა სიცრუეა იმისი თქმა — თითქოს ვინმე ჭკუათმყოფელ ქართველს ეთქვას: „ისტორიული აფხაზები ქართველები იყვნენ, ხოლო დღეს ვინც აფხაზობს და თავის თავს აფსუას უწოდებს, ის მოსული, უცხოტომელია და მას არა აქვს საქართველოს მიწაზე ადგილი“ (ნ. ლომოური, იქვე, გვ. 131). ასეთი აბსურდული აზრი მხოლოდ აფსუების მოგონილი ფანდია, რათა ქართველების წინააღმდეგ საერთაშორისო არენაზე პოლიტიკური ქულები (დივიდენდები) მოიპოვონ. საყოველთაოდაა აღიარებული, რომ არავის აქვს უფლება კანონიერად მოპოვებული ადგილიდან და სახლ-კარიდან აჰყაროს ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი, ვინც არ უნდა იყოს ის, რა კანის ფერი, რწმენა და წარმოშობა უნდა ჰქონდეს მას. ასე რომ არ იყოს, მაშინ რა ეშველებოდა ამერიკელებს და საერთოდ მსოფლიოს მილიონობით ადამიანს, ვინც აბორიგენი არ არის და სხვაგან ცხოვრობს?! ამიტომ მსგავსი მსჯელობა მხოლოდ ნიშნის მოსაგებად შეიძლება იყოს მიმართული.

ბატონო ნოდარ! მაინც როგორ ვირწმუნოთ, რომ ძველი და ახალი აფხაზები ერთი და იგივე არიან? ვინ (როგორ) დაიჯერებს, რომ შუა საუკუნეების აფხაზები, რომლებიც ქრისტიანები იყვნენ, ვინც ხელთუქმნელ ეკლესია-მონასტრებს აშენებდა, ვინც მათ ფრესკულ-მონუმენტური მხატვრობით ამშვენებდა და ქართული წარწერებით აფორმებდა, აგრეთვე ოქრომჭედლურ ჯვარ-ხატებითა და სალვთო წიგნებით მოსავდა, ვინც ეპისკოპოსისა და კათალიკოსის კათედრას ხელმძღვანელობდა, ვინც მღვდელმსახური იყო, ვინც საეკლესიო-სამონასტრო ყმა-მამულს განაგებდა, ვინც ყმათა საბეგარო ნუსხებსა და ვალდებულებათა დავთრებს ადგენდა, „მეფეთა დივანს“ წერდა, ვინც ქართულ წირვა-ლოცვას ეწეოდა, ქართულ ენას, ანბანსა და თხზულებებს ეთაყვანებოდა, იგივე აფხაზებია, რომელთა აგრესიულმა ნაწილმა გააუკაცრიელა ეკლესია-მონასტრები, ცეცხლს მისცა ქართული კულტურის სიამაყე „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა ქმნილებები, დალეწა შოთა რუსთაველის ძეგლი, დაანგრია და აღგავა ქართული ნაგებობები, შებღალა ქართული წარწერები და სხვა სიავე ჩაიდინა, ვინც საერთოდ აფხაზეთში ქართული კვალის წაშლასა და აღგვას შეეცადა და ცდილობს?!




ბატონო ნოდარ! აფხაზეთზე მალე იხილავთ ჩემს მონოგრაფიას, რომელიც ზემოაღნიშნულ სადავო საკითხებსაც მოიცავს. ვცდილობ ყველაფერი სათანადო წყაროებსა და საბუთებზე ავაგო. რა თქმა უნდა, შეცდომისა და ხარვეზისაგან არც მე ვარ დაზღვეული, მით უფრო, რომ რთულ პრობლემებს ვეჭიდები, სხვის აზრებს მექანიკურად არ ვიმეორებ და სიახლის შეტანას ვცდილობ. ვცდილობ ყოველივე დინჯად, დასაბუთებულად, აწონილ-დაწონილად, არაერთხელ გაზომილად და მიუკერძოებლად განვსაჯო და დასკვნა ბოლოს გამოვიტანო. კარგად მესმის, რომ თავდაჯერებული, კატეგორიული და პოლიტიკური განცხადებებით მეცნიერული პრობლემები ვერ გადაიჭრება.

გერონტი გასვიანი

# «გულს გვტკენს არა ხმამაღალი საყვედური, არამედ სამართლიანი»

მეშვიდე გვერდიდან

გრამ ერთგვარი ენთუზიაზმით განაგრძობს „მაგოგის“ ქვეყნისათვის იურიდიული საფუძვლების შექმნას, რითაც გარანტირებული აქვს მინისტრის პოსტი ამავე „მაგოგის“ ქვეყანაში, ხოლო სხვანი, „დიქტატურისა“ და ქვეყნის დამამხობელნი, დამსახურებულად ისვენებენ: ზოგი კარგად ანაზღაურებად ოპოზიციონერის სავარძელში, ზოგი ციხეში, ზოგი ბიზნესში, ზოგი ტელევიზიაში, ზოგი პოლიტიკის უკურნებელი სენით შეპყრობილნი, თავისთვის, ხალხისაგან თვალს მიფარებულნი ახარებენ კუჭის ჭიას. მოხდება ხოლმე, ტელეეკრანიდანაც გამოიჭყიტებიან, მაგრამ მათი ხილვა უკვე აღარავის აღელვებს და პირიქით, ნაღველსა ჰგვრის ხოლმე ყველაფრისადმი გაგულგრილებულ და შიმშილის შიშით დაავადებულთ, რომელთათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს არც თედო ნინიძე როგორც მინისტრი, და არც მისი ხელოვნური პათოსით, მაღალი ტრიბუნიდან გადმოღვრილი შეგონება, რადგან ყველამ კარგად იცის, როგორც წესი უწესოთა, ყოველივე სკამის შესანარჩუნებლად და მამა და მარჩენალის გასაგონად უფროა ნათქვამი, ვიდრე განწირულთა საყურადღებოდ.

იმათ, ვინც ათიოდე წლის წინ აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა, არ გაუჭირდება „დიდებულ ოთხეულში“ იმ განჯგონებული ინტელიგენტ-სამართალდამცავთა ტიპური სახეების ამოცნობა, რომლებიც სპეციალურ ყდაში ჩასმული პარტიის მანდატით გულის ჯიბეში, თავგამოდებით იცავდა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეალების მქადაგებელ ხელისუფალთ, იდეებისა, რომლის ერთგულნი, როგორც თავად აცხადებენ, არასდროს ყოფილან, მაგრამ გირგოლებად გაჩენილები, ზნეობრივი კომპრომისების ხარჯზე, მაღალი ჩინ-მედლებისა და თანამდებობებისათვის მტრის სამსახურში დაცვეთილები, დღეს ურცხვად ისაკუთრებენ ჭეშმარიტ მამულიშვილთა თავგანწირვის ფასად მოპოვებულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობის საფუძვლების, რომელზედაც მრუდე სარკეში ხედვით ცდილობენ სამართლებრივი ქვეყნის აღმშენებლობას. ეს ის კადრებია, რომლებიც საბჭოთა სამჭედლომ გამოჭედა და კომპარტიამ გამოაწრთო, და გამოძერწა ქურდისაგან და მესაჭისაგან, უზნეოსა და ზნეობრივისაგან შეზავებული, უნიკალური თვისებების მქონე უნიკალურად წერწყმული თანამედროვე ხელმძღვანელი, — საბჭოთა სისტემაში განსაკუთრებული თვისებებისათვის, ორგულობისა და ლალატისათვის ამაღლებულნი, საოცრად სიცოცხლისუნარიანნი აღმოჩნდნენ დღესაც, მშობელი სისტემის დასამარების შემდეგაც და ეროვნული ცნობიერებით ამ დღისათვის საგანგებოდ გონება გამდიდრებულები, ურცხვად ითვისებენ ერზე ბატონობისა და მისი წინამძღოლის უფლებებს უკანონოდ.

როსტომ კუტალია

(მე-9 გვერდიდან)

# პრეზიდენტებიც ადამიანები არიან... ისინიც ავადმყოფობენ

ლოს მოქალაქეთა ბედი სახელმწიფოს მესაჭის ავადმყოფობამ? — ეს კითხვა ფრანგებს მაშინაც დაებადათ, როცა მათ მაშინდელ პრეზიდენტს მიტერანს გაუკეთდა ოპერაცია წინამდებარე ჯირკვლის კიბოს დიაგნოზით.



იტალიაში, ტრადიციულად პოლიტიკური მოღვაწეების ჯანმრთელობაზე არ ლაპარაკობენ, მაგრამ რამდენიმე წლის წინ ეს წესი აქაც დაირღვა. სოციალისტების ჟურნალის „მონდო ოპერაის“ მთავარი რედაქტორი ლუჩანო პელიკანი მკითხველს ემოციურად მოუთხრობდა, რომ სოციალისტთა ლიდერი, ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე ბეტინო კრაქსი დაავადებულია დიაბეტითო. ინტერვიუში, რომელიც ცნობილმა ჟურნალისტმა მისცა გაზეთ „კორიერე დელა სერას“, ნათქვამი იყო შემდეგი: „მიკვირდა, თუ რით შეიძლება ახსნილიყო კრაქსის მიერ მიღებული დაუჯერებელი გადაწყვეტილებლები. საქმე კი ისაა, რომ დიაბეტური კომის დროს მან რამდენჯერმე სიკვდილს ჩახედა თვალებში. ამაში კი, მე ვხედავ კავშირს არა ფიზიკურს, არამედ ფსიქოლოგიურს, რადგან არსებობს კავშირი ავადმყოფობასა და მის ახალ პოლიტიკურ კურსს შორისო“. შემდეგ პელიკანი ჩამოთვლიდა კრაქსის მიერ დაშვებულ შეცდომებს, საიდანაც ნათლად ჩანდა, რომ მან, კრაქსმა, დაკარგა „პოლიტიკური წინდაწინ განჭვრეტის უნარი“.

ამერიკელები ყოველთვის დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ყველა იმ თანამემამულეების ფსიქოფიზიკურ მდგომარეობას, რომელიც გარკვეულ საფეხურს იკავებს პოლიტიკურ ცხოვრებაში. უკანასკნელი საპრეზიდენტო კამპანიის დროს პრეზიდენტობის სამივე კანდიდატმა, — ბუშმა, ქლინთონმა და პერომ აჩვენეს თავიანთი სამედიცინო ბარათი ყველას, ვინც კი ეს ისურვა. ყველაზე აქტიურად ჯანმრთელობის ფაქტორს ეყრდნობოდა პერო. „მე არასოდეს არაფრით მიავადმყოფია“, — ამბობდა ის. და მართლაც, ვინც ის ნახა ცხოვრებაში, ფოტოსურათზე თუ ტელეეკრანზე, ამაში დარწმუნდა. საშუალო სიმაღლის, ძალიან მოძრავი, სიარულის დიდი მოყვარული, 63 წლის ადამიანი, გამოიყურებოდა გაცილებით ბევრად ახალგაზრდულად. რაც შეეხება ქლინთონს... ტელედებატების დროს ბევრს მოეჩვენა, რომ პრეზიდენტს ხრინწიანი ხმა აქვს და ცოტათი უკანკალებს კიდეც. მაშინ მას მხოლოდ 4 პერსონალური ექიმი ჰყავდა, საარჩევნო კამპანიის დროს ისინი იძლეოდნენ სამედიცინო ბიულეტენებს, რომლებშიც ამტკიცებდნენ, რომ მათ პატრონს ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი წესრიგში აქვს. „დიახ, ეს მართალია, — ლაპარაკი იყო, ერთ-ერთ ასეთ ბიულეტენში, — ქლინთონს ქრონიკული ლარინგიტი აქვს. ეს არის და ეს, მეტი არაფერი. მას ყელში ნიშანიც კი არა აქვს სიმსივნისა ან პოლიპებისა. მით უმეტეს, არ არის არავითარი რისკი, რომ ის დაავადებული ან ინფიცირებულია შიდსით“.

რაც შეეხება ბუშის ჯანმრთელობას, აქ საქმე ცოტა უფრო რთულად იყო, რაზედაც საარჩევნო კამპანიის დროსაც ითქვა. ჟურნალისტებთან საუბრისას იგი გაურბოდა საუბარს ჯანმრთელობაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამერიკაში ყოველთვის ყურადღების ცენტრში იდგა პოლიტიკური მოღვაწეების ჯანმრთელობის მდგომარეობა. ფართო მსჯელობის საგნად გადაიქცა ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში საკმაოდ ცნობილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებში კატასტროფულად სწრაფად გავრცელდა წინამდებარე ჯირკვლის დაავადება, როგორც კი რომელიმე პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე მიიღებდა მაღალ პოსტს, ყველაფერი ერთი და იგივე სქემით ვითარდებოდა. ადამიანი თავიდან გრძნობს შარდის შეკავებას, შემდეგ შარდში აღმოაჩნდება სისხლი, ხოლო მუცლის ქვედა მხარეს უწყებოდათ ძლიერი ტკივილები. გამოკვლევები აჩვენებდა ერთი და იგივეს — წინამდებარე ჯირკვლის დაავადებას.

ამ დღეში იყვნენ კანზასის სენატორი რობერტ დოული და მისი კოლეგა ალან კრენსტონი, უმაღლესი სასამართლოს წევრი ჯონ პოლ სტივენსი და კომპანია ავც-ს პრეზიდენტი რუნო აპლეჯი. შესაძლოა, ეს მხოლოდ დამთხვევაა, მაგრამ ბევრს ეს დამთხვევაც სერიოზულად აშინებდა.

როგორც ამერიკაში, ისე ევროპაშიც ძალიან მოდურია იმ ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა ჯანმრთელობის ისტორიის გადაკითხვა, რომელთა სახელებიც საუკუნეებით აღიბეჭდა ხალხთა მეხსიერებაში. ისტორიკოსები იქექებიან ექიმთა დიაგნოზებში, რეცეპტებში, ანალიზის შედეგებში.

მაგალითად, ლონდონელი სწავლული მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ინგლისის მეფე ჰენრიხ VII გარდაიცვალა არა ათაშანგით, როგორც წლების განმავლობაში მიაჩნდათ, არამედ ვიტამინების ნაკლებობით. ეს



უზომოდ ჩასუქებული ინგლისელი მონარქი, რომელსაც ჩარლზ დიკენსმა სისხლიან-ცხიმიანი ლაქა უწოდა ინგლისის ისტორიაში, ცინგით იყო დაავადებული. ამის გამო, მან სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე შეწყვიტა პოლიტიკური საქმიანობა.

ისმის კითხვა: რატომ არ ტოვებდნენ პოსტებს თავიანთი სურვილით შორეული თუ უახლოესი წარსულის ლიდერები, რომელთაც ესმოდათ, თუ როგორი გავლენა შეიძლება მოეხდინათ მათ ავადმყოფობას ხალხთა ბედზე? ისტორია ამტკიცებს, რომ ყოველთვის, ყველა ეპოქაში, ყველა მმართველს ჰქონდა ერთი და იგივე პრინციპი — არავითარ შემთხვევაში არ დაეთმო ძალაუფლება, თვით სასიკვდილო სარეცელზეც კი. ტუნისის პრეზიდენტი ბურგიბა 25 წლის განმავლობაში იტანჯებოდა ნერვიული მოშლილობის უმძიმესი ფორმით, თუმცა პოსტის დათმობაზე არც უფიქრია. იგი მხოლოდ სასახლის გადატრიალებამ აიძულა ასე მოქცეულიყო.



იტალიაში თავისი თავისა და სახელმწიფოსადმი ასეთივე დამოკიდებულების ნათელი მაგალითი იყო პრემიერ-მინისტრი ანტონიო სენი. მას დამბლიანს, არ შეეძლო სიტყვის თქმაც კი, თუმცა გადადგომით არ გადამდგარა. სამედიცინო ბიულეტინები კი ატყუებდნენ საზოგადოებას. დე გასპერი მაშინ ამბობდა: „სენი ისე ავად არ არის, რომ წავიდეს პრემიერ-მინისტრის პოსტიდან, თუმცა არც ისე ჯანმრთელადაა, რომ შეძლოს თავისი მოვალეობის შესრულებაო“.

ჩვენს მეხსიერებაში მხოლოდ ერთმა პოლიტიკურმა ლიდერმა თქვა უარი ძალაუფლებაზე. ეს იყო რონალდ რეიგანი. მან გადაიტანა წინამდებარე ჯირკვლის რთული ოპერაცია, ამოაჭრეს პოლიპები ცხვირში. თუმცა იგი მერეც თავს კარგად გრძნობდა და ყოველდღე ცხენითაც სეირნობდა.

როგორც წესი, ბელადები მალავდნენ თავიანთ დაავადებებს და, ვაი მათ, ვინც მათზე რაიმეს თქმას გაბედავდა.

ჩვენ უკვე აღარ ვლაპარაკობთ ყოფილ საბჭოთა ლიდერებზე ლენინიდან — ანდროპოვამდე. მათ ჯანმრთელობაზე მრავალჯერ ითქვა და დაიწერა, თუმცა სპეციალისტების მიერ ცუდადაა შესწავლილი: როგორ აისახებოდა ან რა გავლენა ჰქონდა მათ ავადმყოფობის ისტორიის მსვლელობაზე.

დიახ, ლიდერები მკაცრად მალავდნენ თავიანთ სენს. მაგალითად, ჟორჟ პომპიდუს დაუშვებლად მიაჩნდა გადაკრული სიტყვითაც კი თქმულიყო მის ავადმყოფობაზე. ასე იქცეოდა იაპონიის იმპერატორი ხიროხიტაც, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინ გარდაიცვალა.

ის, რომ პოლიტიკური და პირადი ამბიციები ყვავილფერზე მაღლა დგას, [illegible] ჩანს დე გოლის მაგალითზე.

1964 წელს მისთვის უნდა გაეკეთებინათ ოპერაცია, მაგრამ მანამდე აუცილებელი იყო საპატიო პაციენტის საერთო გამოკვლევა, კერძოდ მუცლის ღრუს ზონდირება. დე გოლმა შემთხვევით გაიგო, რომ პროცედურა ჩატარდა ამერიკული აპარატურით. მან გამოიძახა მკურნალი ექიმი და მოუწყო ნამდვილი სკანდალი. „არ გაბედოთ მითხრათ, — ყვიროდა საფრანგეთის პრეზიდენტი ისე, რომ სხვა სართულებზეც ისმოდა, — რომ ჩვენს საავადმყოფოში არ იყოს ფრანგული ზონდი...

გიბრძანებთ, ამაზე კრინტი არავისთან დასძრათ და მოეპყრათ ამ ფაქტს, როგორც სახელმწიფო საიდუმლოს“...

ლიდერთა დაავადებანი ხალხისა და ისტორიისათვის, ნამდვილად არ არის სულერთი! ისიც ცხადია, რომ „საჯაროობა“ ამ საკითხში ჯერ კიდევ არ არის, იქნება კი იგი ოდესმე?!

მკითხველი, ალბათ, სულმოუთქმელად ელოდება ინფორმაციას ჩვენი პრეზიდენტის ჯანმრთელობის შესახებ. თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, მას შაქრიანი დიაბეტი აწუხებს. ეს კი საკმაოდ სერიოზული დაავადებაა, ღმერთმა ჰქნას, ტყუილი ან თუნდაც ჭორი იყოს, მაგრამ მისი დაშაქრული საუბარი და ტკბილი ღიმილი იქნებ ამის დასტურია?!.

ისე, ნორმალურ ქვეყნებში ნორმალური პრეზიდენტებისა და თვით პრეზიდენტობის კანდიდატების ჯანმრთელობის მდგომარეობაც არ იმალება და ხალხმა ყველაფერი უწყის საკუთარი ქვეყნის ლიდერის ფიზიკური ნაკლისა თუ სულიერი გადახრების შესახებ. რადგან ჩვენი პრეზიდენტისა ამ მხრივ არაფერი ვუწყით, უნდა ვიფიქროთ, რომ ის სტამბოლის კაჟივით მაგარია...

**ქეთი ჩადუნელი**

# ამერიკელი პოლიციელები „მერსედესებით“ დადიან, ჩვენ კი დამტვრეული მანქანებით

*მოგეხსენებათ, დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში თითქმის ყველა ხელისუფლების დროს აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა.*

*ბოლო ათი წლის განმავლობაში ზესტაფონის რაიონში ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობა იყო, რაც სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფებების აღვირახსნილი თარეშით იყო გამოწვეული. თუ როგორი მდგომარეობაა დღესდღეობით ზესტაფონის რაიონში, ამის გასარკვევად შევხვდით და გავესაუბრეთ აღნიშნული რაიონის პოლიციის უფროსს, ბატონ* ***ოლეგ ნაცვლიშვილს.***

**— როგორი კრიმინოგენული მდგომარეობაა დღესდღეობით ზესტაფონის რაიონში?**

— დღევანდელი სიტუაცია რომ შევაფასოთ, რამდენიმე წლის უკან მიმდინარე მოვლენებს უნდა გადავავლოთ თვალი. ზესტაფონის რაიონში კრიმინოგენული მდგომარეობა ძალიან რთული იყო. რასაც უფრო ამძიმებდა სხვადასხვა საძმოების აღვირახსნილი თარეში. ამას ყველაფერს ხელს უწყობდა მთლიანად რესპუბლიკაში არსებული მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობაც. მოგეხსენებათ, სწორედ ჩვენთან მოქმედებდნენ ისეთი სახელგანთქმული დამნაშავე დაჯგუფებები, როგორიც იყო სვირის საძმო, რაჭის ჯგუფი, ტაბაკირისა და ტბეთის საძმოები. თვითონ პოლიცია უძლური იყო დამნაშავეობასთან ბრძოლაში. ოთხჯერ მოხდა თავდასხმა პოლიციის შენობაზე. გაიტაცეს თანამშრომლები, იარაღი და დაკავებული პიროვნებები. ერთი სიტყვით, რომ ვთქვათ, სრული ქაოსი და განუკითხაობა სუფევდა.

როდესაც ასე თუ ისე დაიწყო სიტუაციის რეგულირება, მაშინდელი შს მინისტრის, შოთა კვირაიას რიგით მეორე ფართომასშტაბიანი ოპერაცია ჩატარდა ჩვენს რაიონში. ეს გახლდათ 1993 წლის დასაწყისი. უკვე აქედან იწყება კრიმინოგენული მდგომარეობის გაჯანსაღება და რაიონის გაწმენდა დამნაშავე ელემენტებისაგან. იწყება კადრების დაკომპლექტება ახალი სპეციალისტებით. ძველი თანამშრომლების 70-მა % დატოვა განყოფილება. საკადრო ცვლილებების შემდეგ დაიწყო აქტიური ბრძოლა დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ. ამ პროცესის წარმატებას ხელი შეუწყო ახალი გამგებლის, ბატონ გიორგაძის დანიშვნამ. ამის შემდეგ, დაიწყო ჩატეხილი ხიდის გამთლიანება მოსახლეობასა და პოლიციას შორის. მოგეხსენებათ, ხალხს ისეთი პოლიციის იმედი ნამდვილად არა აქვს, რომელიც თვითონ შემორაგულია. ჩვენ ისევე, როგორც გამგებელს, დიდი ბრძოლა დაგვჭირდა იმისათვის, რომ როგორმე ხალხში პოლიციისადმი გამეფებული უნდობლობის სინდრომი აღმოგვეფხვრა და ნდობა მოგვეპოვებინა.

**— როგორია საქმის გახსნის პროცენტული მაჩვენებლები?**

— მინდა აღვნიშნო, რომ თუ 1993 წელს აღრიცხული იყო 112 ყაჩაღობის ფაქტი და ამასთანავე ძალიან ბევრი იყო აღურიცხავიც. 1997 წელს სულ რაიონში დაფიქსირდა რვა ყაჩაღობა, რომელთაგან თითქმის ყველა გახსნილია. შემცირდა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიცხვიც.

მიმდინარე წელს, გასულთან შედარებით, კრიმინალური მდგომარეობა გაუმჯობესებულია. თუ შარშან, პირველი კვარტლის მიხედვით დანაშაულთა გახსნის მაჩვენებელი სამოცდაცხრამეტ პროცენტს შეადგენდა, მიმდინარე წელს 86%-ია.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს უკვე მოხდა ორი ყაჩაღობის ფაქტი და საკმაოდ მძიმე შედეგებით დასრულებული[illegible], პოლიციამ მაინც ოპერატიულად იმუშა[illegible] დანაშაულის ყველა მონაწილე დააკავა. ყველაზე მეტად განსაცვიფრებელი ისაა, რომ ეს თავდასხმა მოაწყეს ისეთი ოჯახის შვილებმა, რომლისგანაც ამას არავინ ელოდა, რადგან მათ არანაირი ეკონომიკური გაჭირვება არა აქვთ. დღესდღეობით გამოძიება სწავლობს ამ ფაქტს იმ კუთხით, თუ რა მოტივები გააჩნდა ამ დანაშაულის ჩადენას ცხრამეტი წლის ბიჭების მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ იმერეთის რეგიონის სხვა რაიონებთან შედარებით, ზესტაფონის რაიონში დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა ყველაზე ეფექტურად მიმდინარეობს, რაც ბატონი თემურ შაშიაშვილის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. მან თქვა კიდეც, რომ ზესტაფონმა სხვა რაიონებს ამ კუთხით მაგალითი უნდა მისცესო.

მინდა ფართო საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ახალი კანონმდებლობის არსებობის ფაქტსაც. ჩვენ თვითონ, პოლიციელები გარკვეულწილად დამუშავების პროცესში ვართ. რაც გარკვეულ სირთულეებს გვიქმნის მუშაობაში, მაგრამ ამ ფაქტს დიდი შეფერხება მაინც არ გამოუწვევია.

პოლიციაზე დახმარების თვალსაზრისით აღსანიშნავია, ზესტაფონის გამგებლის ღვაწლიც, რომელმაც სპეციალური განკარგულება გამოსცა, და დაავალა სოფლის გამგებლებს მომხდარი დანაშაულებების აღრიცხვაზე თვალყურის დევნება. თუკი ფიქსირებული დანაშაულები აღმოჩნდება, სოფლის გამგებლის პასუხისმგებლობის საკითხი დგება, რაც გარკვეულწილად კონტროლის მექანიზმს ქმნის.

**— რა გიქმნით სირთულეებს მუშაობაში?**

— მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არარსებობა. ამ მხრივ, ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ამერიკელი პოლიციელები „მერსედესებით“ დადიან, ჩვენ კი სამი დამტვრეული მანქანა გვყავს და საქმის გახსნის მაჩვენებლებით მაინც მათ გვადარებენ.

ალბათ, ჩვენი დემოკრატიული სტრუქტურები უნდა შეეგუონ იმ აზრს, რომ რაც ღრმად შევალთ დემოკრატიაში, საქმის გახსნის მაჩვენებლები მით უფრო დაიკლებს იმიტომ, რომ ერთ დაკავებულზე ათობით არასამთავრობო, ადამიანის უფლებათა დაცვის ორ[illegible]ნიზაციის წარმომადგენლები და ადვოკატები მოდის, რაც სირთულეებს გვიქმნის მუშაობაში.

დღესდღეობით ჩვენი ძალებითვე ვცდილობთ ვებრძოლოთ დანაშაულს და არ ვცდილობთ სამხარეო სამმართველოს ან შსს შეწუხებას.

დიდ სირთულეებს ვაწყდებით ნარკომანია-ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლაში. რამდენიმე რეალიზატორი დაკავებული გვყავს. მე ბევრჯერ გამოვთქვი მოსაზრება, რომ გამოთავისუფლებულ შენობებში შეიძლება გაიხსნას ნარკომანების სამკურნალო ცენტრი, რადგან პიროვნება, რომელიც იღებს ნარკოტიკს, ავადმყოფია და მკურნალობა ესაჭიროება. მაგრამ გამსაღებელი, რომელიც ჩვენს გენოფონდს ანადგურებს, მართალია ამის უფლებას ჩვენი კანონმდებლობა არ გვაძლევს, მაგრამ უნდა დაიხვრიტოს.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ ჩვენ გვაქვს საკმაო შეიარაღებაც, გვყავს სათანადოდ მომზადებული კადრებიც, რომ ზესტაფონის რაიონში თვითონვე დავამყაროთ წესრიგი და ვიდგეთ სიცოცხლის სადარაჯოზე.

**ნათია ჭანტურია**

## — სატირა —

**ავთანდილ ხარაიშვილი**

### რისხვის ზარები ვარისხოთ...

საზღვრად გვიქციეს მდინარე
ენგური, ნაამბორალი,
ერს შერცხვენილს და მძინარეს,
თავს დაყრანცალებს ყორანი.
სიკეთეს არ გვითესავენ
ეს ქვერადაცა ძალები,
ვებრძოლოთ, თქვენი კვნესამე,
გავძურწოთ ნაძირალები!
დღეს ყველა გადააფხაზდა,
ეშმაკთან შეკრა პირობა,
არ ღირს შაურის ფასადაც
მისი უგვარო გმირობა.
თვალებში — ცეცხლი, ნაცარი,
ვინაც ეს დღენი ინება.
ებრძვის ბიჭვინთის ფაძარი
ამდენ დანძლევას და გინებას.
არ მოსწრებია ქართველ ერს
ერთად ამდენი "მფარველი",
ისე გვათრიეს, გაგვთელეს,
უკეთესობას არ ველი.
ერი მორჩილი, ღვთის გლახა,
შემყურე სხვისი ხელების...
"თუ თავი შენი შენ გახლავს,
დარიბად არ ისხენები."
უხსენებელი გავსრისოთ
შინ, გარეთ, წინ და უკანა,
რისხვის ზარები ვარისხოთ,
ვინაც სამშობლოს უგანა!
ვირწმუნოთ "თეთრი გირგი",
გმირობადაუძრახველი.
"ქართველო ხელი ხმალს იკარი,"
არ დავივიწყოთ არილეს!
იარაღი გაქვს? კაცი ხარ!
ბრძოლაში გაიხარილე!
გავწყვიტოთ წყეულთ წყეულნი,
დამწველნი, დამაწყევარნი
წესი გვაქვს ათასწლეულის,
კანონი, ადათ-ქცევანი.
გადაიწურა იმედი
ამ ესენგური ძალებით,
მოლოდინში ვართ მძიმე დღის,
უკანასკნელი ბრძანების.
გვეძახის, გვიხმობს შავი ზღვა,
ამხედრებული "მხედრულით",
სახელი საქმით გავითქვათ,
მამრულით, არა მდედრულით!
დროა, ვიხილოთ ქართული
საზღვარ გზა და საზღვარი
ჩვენი მზით შემოყვართული,
არა ღერეფან-ბაზარი.
თუკი კაცობა გაფლასდა.
კარის კაცს დარჩეს ზრდილობა:
ათასად კაცი დაფასდა
ათიათასად გმირობა!

26 მაისი, 1998 წელი.

# ტოტო-ლოტო

## შედეგები

05 ტირაჟი ჩატარდა 31.05.1998

### ლოტო 6-42

გათამაშებაში მონაწილეობდა 50109 ვარიანტი
საპრიზო ფონდი – 6263 ლარი (50%).
შენიშვნა: საპრიზო ფონდის 12% გამოიყენება სატელევიზიო შოუს პრიზებისათვის.

**მოგებახვედრილი რიცხვები**

| 2 | 4 | 8 | 15 | 19 | 24 |
|---|---|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | „ჯეკ-პოტი“ | 38.443 | ლარი |
| 1127 ლ. საპრიზო ფონდის 18% | | | |
| 5 რიცხვი | 4 | 234.80 | ლარი |
| 939 ლ. საპრიზო ფონდის 15% | | | |
| 4 რიცხვი | 120 | 10.40 | ლარი |
| 1252ლ. საპრიზო ფონდის 20% | | | |
| 3 რიცხვი | 1512 | 1.40 | ლარი |
| 2192 ლ. საპრიზო ფონდის 35% | | | |

მოგებები განაღდდება: 3 ივნისიდან 3 ივლისამდე.
06 ტირაჟი გაიმართება 7 ივნისს.

### სუპერ 7

გათამაშებაში მონაწილეობდა 6032 ბილეთი.

**მოგებახვედრილი რიცხვები**

| 7 | 9 | 9 | 1 | 5 | 9 | 4 |
|---|---|---|---|---|---|---|

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 ციფრი | 0 | 50.000 | ლარი |
| 6 ციფრი | 0 | 15.000 | ლარი |
| 5 ციფრი | 0 | 5.000 | ლარი |
| 4 ციფრი | 1 | 500 | ლარი |
| 3 ციფრი | 6 | 50 | ლარი |
| 2 ციფრი | 50 | 3 | ლარი |
| 1 ციფრი | 507 | 50 | თეთრი |

## ტოტო-ლოტოს მოყვარულთა საყურადღებოდ!

კვირას, 31 მაისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები თამაშით „სუპერ-7“-ის ტირაჟის მეხუთე გათამაშება.

„ლოტო 6-42“-ის ტირაჟში მონაწილეობდა 50109 ვარიანტი, საპრიზო ფონდი შეადგენდა 6 263 ლარს.

მოგებახვედრილი რიცხვები: 2. 4. 8. 15. 19. 24

6 რიცხვი ვერავინ გამოიცნო. ამ ჯგუფის გაუთამაშებელი საპრიზო ფონდი 38.443 ლარი, გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.

5 რიცხვი ამოიცნო ოთხმა მოთამაშემ — თითოეულს შეხვდა მოგება 234.80 ლარი.

4 რიცხვი ამოიცნო 120-მა მოთამაშემ, თითოეულს — 10.40 ლარი.

3 რიცხვი ამოცნობილია 1512 მოთამაშის მიერ. თითოეულს — 1.40 ლარი.

„სუპერ 7“-ის გათამაშებაში მონაწილეობდა 6032 ბილეთი, მომგებიანი ციფრებია: 7 9 9 1 5 9 4

4 ციფრი დაემთხვა 1 ბილეთში, მოგება — 500 ლარი.

3 ციფრი დაემთხვა 6 ბილეთში, თითოეულს 50 ლარი.

2 ციფრი — 50 ბილეთში, თითოეულს 3 ლარი.

1 ციფრი — 507 ბილეთში, თითოეულს 0.50 ლარი.

ტირაჟის დროს სატელევიზიო შოუში გათამაშდა შემდეგი პრიზები:

საფრანგეთში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე დასასწრები საგზური — (დავით ვაშაკიძე) — სამტრედია)
ტელევიზორი — (მიშიკო იოსებაშვილი — თბილისი)
მუსიკალური ცენტრი — (მიხეილ სულაძე — თბილისი)
ტელევიზორი — (მერაბ კოტარია — თბილისი)
ელექტრო ღუმელი — (ზაზა კანდელაკი — თბილისი)
ტელევიზორი — (დავით კანდელაკიშვილი — თბილისი)
ტელევიზორი — (რეზო კეთილაძე — ხონი)
მაჯის საათი — (ნუგზარ ლონდარიძე — ბორჯომი)

შემდეგი ტირაჟი შედგება 7 ივნისს, ჯეკ-პოტი 38.443 ლარი

ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია!

გისურვებთ წარმატებას!

**საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი.**


## აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

**თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5**
**ტელ: 99-60-20, 93-36-93, 99-59-09, 79-50-05 (საღამოს)**

**აბიტურიენტთა საყურადღებოდ!**

თუ გსურთ:

საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე დაეუფლოთ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს;

მოისმინოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოეთში სერთიფიცირებული პროფესორ-მასწავლებლების ლექცია-სემინარები;

ისწავლოთ თანამედროვე კომპიუტერული სისტემით აღჭურვილ უმაღლეს სასწავლებელში;

შეისწავლოთ უცხო ენები თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;

ისწავლოთ ქალაქის ცენტრში;

მიმართეთ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახ. საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ინსტიტუტს, რომელიც აცხადებს მიღებას 1998-99 სასწ. წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. **სამართალმცოდნეობა** (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სამეურნეო სამართალი, საერთაშორისო სამართალი); 2. **ავტოტექნიკური ექსპერტი;** 3. **საგარეო უწყებათა მომსახურება;** 4. **ფინანსები და კრედიტი** (საგადასახადო საქმე, საბანკო საქმე, საბაჟო საქმე, სახ. ბიუჯეტი, სადაზღვევო საქმე); 5. **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები** (საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მენეჯერი, საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობები); 6. **საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი;** 7. **წარმოების ეკონომიკა და მართვა** (მარკეტინგი, მენეჯმენტი); 8. **საზღვარგარეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა** (ინგლისური, გერმანული, თურქული); 9. **ჟურნალისტიკა;** 10. **ისტორია;** 11. **ქართული ენა და ლიტერატურა;** 12. **დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა;** 13. **პედაგოგის ფსიქოლოგია — სკოლამდელი;** 14. **ხელოვნებათმცოდნეობა.**

**ინსტიტუტში სწავლის ხანგრძლივობა ოთხი წელი.**

**საბუთები** მიიღება 2 აგვისტომდე, ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა) 11-დან 17-საათამდე III სართ. ოთახი 507. მისაღები გამოცდები დაიწყება 3 აგვისტოდან. II ეტაპზე საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე. გამოცდები 26-30 აგვისტოს.

**საბუთები** — საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები გადაიხდიან სწავლის საფასურის 80%-ს. წარჩინებული სტუდენტები განთავისუფლდებიან გადასახადისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია. ინსტიტუტში ფუნქციონირებს ბუღალტერიისა და უცხო ენების შემსწავლელი კურსები. მომავალში გათვალისწინებულია ბაზრის კონიუქტურის შემსწავლელი ცენტრის დაარსება და მასში ინსტიტუტის სტუდენტების დასაქმება.

**უმაღლეს** დამთავრებულები გასაუბრებით ჩაირიცხებიან შესაბამის კურსზე.

**საბუთები** — უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი და ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი.

**ინსტიტუტის დამფუძნებელია საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია.**

რექტორია ამ აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. **ლეო ჩიქავა.**

**შენიშვნა:** ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე იქნება სპეციალიზაცია შემდეგი განხრით: ჟურნალისტი-ეკონომისტი, ჟურნალისტი-უცხო ენების გაძლიერებული სწავლებით, ტელეჟურნალისტი, რადიოჟურნალისტი და საგაზეთო საქმე.

**სტუდენტები** ხელშეკრულების საფუძველზე საგაზეთო საქმეს პრაქტიკულად შეისწავლიან გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის ბაზაზე. ტელე-რადიოჟურნალისტიკას შესაბამის ტელე-რადიოკორპორაციებთან შეთანხმების საფუძველზე.

**სათანადო მონაცემების მქონე სტუდენტებს (შერჩევით) შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში. რედაქციის ტელ: 93-20-36, 93-18-41.**


**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

1-2. თაბახი; 2-3. ირონია; 3-5. ალი; 4-6. ლიტურგია; 6-8. არვე; 7-9. ვერ; 9-10. რომ; 10-12. „მშვილდოსანი“; 11-13. სანიკიძე; 13-14. ეშაფოტი; 14-16. იკვი; 15-17.„ვითა“; 18-20. დამასხი; 19-22. ხიფათი; 21-24. ათინათი; 23-26. თიბვა; 25-28. ვაკუოლი; 27-30. ლიმონა; 29-31. ნაბული; 31-33. იარლიყი; 32-34. ყიყლიყო; 34-35. ოდა.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. სამკურნაო თვისებების მქონე ორგანული წარმოშობის კლდის ფისი; 5. სათვალის კარკასი, რომელშიც ისმება ლინზები; 8. სიკეთე, კეთილი საქმე; 9. სპორტული ნაგებობა,მოტო-ველო შეჯიბრისათვის; 10. ალპური ზონის ბინადარი გარეული თხა, ფსიტი; 11. საყანედ გაკაფული ტყე; 13. წინა წლებში მოდური ლათინურ-ამერიკული ცეკვა; 15. წითელი საღებავის მომცემი აზიური მცენარე; 17. ესპანელი მამაკაცის და ინდიელი ქალის ნაშიერი; 18. ძველბერძნული ქალაქ-სახელმწიფო; 20. მარადმწვანე ბუჩქი, რომლის ფოთლების ნაყენი ფართოდ გამოიყენება კვების პროდუქტად; 22. აზიის ისლამური სახელმწიფო; 23. ყელი, ყანყრატო; 25. ქალაქის თვითმმართველობის ორგანო; 27. ბატკანი; 28. ბისტი, თეთრი ლაქა თვალის გუგაზე; 29. ქრისტიანობისათვის წამებული მინდა ჰაბოს ეროვნება; 30. პრესტიჟის გამოვლენა.

**შვეულად:** 1. მღვდელმთავრის ქუდი; 2. მწვანე ველი; 3. საბრძოლველად შებმა; 4. გამონათქვამი, რომელიც სხვა ენაზე სიტყვასიტყვით ვერ ითარგმნება; 5. პატარა და გამხდარი ადამიანი; 6. შეკრთომით გამოწვეული გულის შეტოკება; 7. სელის ან კანაფის მოხარშული ზეთი, ტექნიკური დანიშნულებისა; 12. ნარინჯისფერყვითელი აღმოსავლური ხილი, კარგი საჩირე; 13. რკინიგზის ლიანდაგის ფოლადის მალა; 14. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 16. ტენი, სინოტივე; 19. ფიცრის დასაკეცი საფარი კარზე ან ფანჯარაზე; 20. დიდი ღრმა კოვზი ქვაბიდან წვნიანის ამოსაღებად; 21. კონუსის ან ნახევარსფეროს ფორმის შუააზიური გადასატანი სახლი; 23. დიდხანს მცხოვრები შავი ფრინველი; 24. დანაშაულის ჩადენისას ეჭვმიტანილის სხვაგან ყოფნის მტკიცება; 26. ცეცხლის ანადენი ენა; 27. ბილიარდის სათამაშო ჯოხი.


## ბუღალტერთა და ბუღალტერიით დაინტერესებულთა საყურადღებოდ!

**თუ გსურთ:**

— **ღრმად და საფუძვლიანად** უმოკლეს დროში დაეუფლოთ თანამედროვე ბუღალტერიას (მასთან ერთად, ეკონომიკურ ანალიზს, აუდიტს, საგადასახადო საქმეს...);

— **მოისმინოთ** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ლექცია-სემინარები;

— **დაზოგოთ დრო** და ისწავლოთ ქალაქის ცენტრში მდებარე პრესტიჟულ ინსტიტუტთან არსებულ აპრობირებულ ბუღალტერთა მომზადება-გადამზადების ცენტრში.

**მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:**

თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ № 5 მე-5 სართული ტელ.: 99-60-20; 93-36-93; 79-50-05 (საღამოს) 22-29-81 (საღამოს); აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი.

**სწავლა დაიწყება 3 ივნისს 15 00 სთ-ზე.**


## მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „საქართველოს“ მე-20 ნომერში გამოცხადდა კონკურსი მკითხველთათვის — ვინც მე-20 ნომრის შემდეგ გაზეთ „საქართველოს“ 25 ნომერს შეიძენდა და რედაქციაში პირველი წარმოგვიდგენდა, დასაჩუქრდებოდა ფერადი ტელევიზორით ან მუსიკალური ცენტრით.

დიდი ბოდიშის მოხდით გვინდა მკითხველებს ვაუწყოთ, რომ გარკვეული ფინანსური სიძნელეების გამო, კონკურსი არ შედგება. მისი განახლების საშუალება თუ მოგვეცა, ახლო მომავალში გაზეთის საშუალებით გაცნობებთ.

რედაქცია


მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444